ეროვნული ბიბლიოთეკა



# არსენალი

23 (118). 12 – 25 ნოემბერი, 2010 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



ომავლის საბრძოლო ომალდები...

1425
2010

ქართველი ქალები სამხედრო სამსახურში

ტერორისტები „ჰეზბოლადან"

ბაქო-კიევის სამხედრო თანამშრომლობა



ჯაშუშური ისტორია ქართულად, ანუ საით მიფრინავს „თუთიყუში"?!.

როგორ და რისთვის ატარებენ აღლუმებს მსოფლიოში...



ეროვნული ბიბლიოთეკა



ნაგინები და ნაცემი მეომარი ბრძოლის სურვილს კარგავს 11



სამხედრო აღლუმები 36



ჯაშუშური ისტორია ანუ საით მიფრინავს „თუთიყუში"? 8

თურქული ტანკები — ჯავშანტექნიკის წარმოების ერთ-ერთი ევროპული ლიდერი 30





რუსეთის ავიაცია — რეალობა და პერსპექტივები 22



„ქალი ხაკისფერში" — ქალი და სამხედრო სამსახური 12

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

### კალეიდოსკოპი
4 ახალი ამბები

### საიდუმლო ომი
8 საით მიფრინავს „თუთიყუში"?

### არმია
11 ნაგინები და ნაცემი მეომარი ბრძოლის სურვილს კარგავს

### პროფესია სამხედრო
12 „ქალი ხაკისფერში" – ქალი და სამხედრო სამსახური

### ქალი არმიაში
12 ქართველი ქალი და სამხედრო საქმე

### რეგიონი
18 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

### ტერაქტები
20 ვის აფრთხილებენ უცნობი ტერორისტები

### ავიაცია
22 რუსეთის ავიაცია – რეალობა და პერსპექტივები

### ტანკმშენებელი ქვეყნები
30 თურქული ტანკები – ჯავშანტექნიკის წარმოების ერთ-ერთი ევროპული ლიდერი

### სამხედრო ტრადიციები
36 სამხედრო აღლუმები

### საჰაერო დაზვერვა
42 „ღია ცა" – ანუ მეზობელი სახელმწიფოს დაზვერვის ოფიციალური მეთოდი

### საზღვაო სალონი
46 **Euronaval 2010**

### ტერორისტული ორგანიზაციები
48 „ჰეზბოლა" – ალაჰის რჩეული შიიტი შაჰიდები

### მონადირის მონათხრობიდან
52 „არწივი ვნახე დაჭრილი..."

### „არსენალის" იარაღის მაღაზია
54 მაყუჩიანი „მაკაროვი" **ГРУ**-სთვის

პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

თითქოს პრობლემები — რუსული ოკუპაცია, დევნილები, ეკონომიკური გაჭირვება — გვაკლდა, ახალი რომ არ დაგვმატებოდა. მსოფლიო პრესა საქართველოს უკვე მოიხსენიებს როგორც ბირთვული მასალების სატრანზიტო ქვეყნად. პრეზიდენტმა სააკაშვილმა აპრილში ვაშინგტონში ბირთვულ სამიტზე პირველად გაახმაურა, რომ საქართველოში საშიში ბირთვული მასალების გადამტანები დააკავეს. ახლა კი ირკვევა, რომ ეს კონტრაბანდული და თითქმის 90%-მდე გამდიდრებული 18 გ ურანი სომეხმა ბიზნესმენმა და ფიზიკოსმა ერევნიდან თბილისში ჩამოიტანეს და ისლამური დაჯგუფებისთვის მიყიდვას ცდილობდნენ, მაგრამ ქართველ პოლიციელებს გადაეყარნენ.

ბოლო წლებში სამჯერ მაინც აღკვეთეს საქართველოში საიარაღო ურანის კონტრაბანდის მცდელობა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ არის დიდი საშიშროება ჩვენი ქვეყანა მსოფლიო დონის ბირთვულ არაკანონიერ გარიგებებში ჩათრეული აღმოჩნდეს.

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი" და მიიღეთ შინ, ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად 8.10.2010

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება: ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის ორ კვირაში ერთხელ პარასკევს

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავღანეთში უპილოტო შვეულმფრენებს გამოიყენებენ



კომპანია Lockheed Martin-ის სპეციალისტები უპილოტო შვეულმფრენის შექმნას ესწრაფვიან, რომელიც ავღანეთში ჯარისკაცებისთვის აღჭურვილობისა და სხვადასხვა სახის საჭირო პროდუქტების ტრანსპორტირებას შეძლებს. მოდელი სამოქალაქო შვეულმფრენის Kaman K-MAX-ის ბაზაზე დამზადდება. უკვე ცნობილია, რომ აპარატი 2,7 ტონა ტვირთს გადაიტანს, რაც თავად შვეულმფრენის მასას აღემატება.

ამერიკის სამხედრო უწყების წარმომადგენელთა თქმით, ავღანეთში NATO-ს ჯარებისთვის ამ სახის შვეულმფრენი ძალზე საჭიროა და სამომავლოდ არაერთი ჯარისკაცის სიცოცხლეს გადაარჩენს. აღნიშნული აპარატის მართვა ნოუტბუკის მეშვეობით დისტანციურად მოხდება და ფრენებს იმ ტერიტორიებზე შეასრულებს, სადაც ყველაზე ხშირია თალიბ ბოევიკთა თავდასხმები.

მოდერნიზებულ K-MAX-ს სხვადასხვა სახის ტვირთის ზიდვა და დანიშნულების ადგილზე ჩამოგდება შეეძლება. ცნობილია, რომ მისი მაქსიმალური სიჩქარე საათში 148 კმ-ს მიაღწევს. თუ მოდელის გამოცდა წარმატებით დასრულდა, ავღანეთში მისი გამოყენება მომავალი წლიდან დაიწყება.

# ფრანგ მებრძოლებს მომავლის აღჭურვილობა დაურიგდათ

საფრანგეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ნაწილებისთვის „მომავლის ჯარისკაცის“ აღჭურვილობის FELIN (Fantassin a Equipements et Liaisons Integres) გადაცემა დაიწყო. ახალი ეკიპირება უკვე მიიღო სარებურგის პირველი ქვეითი პოლკის 875 მებრძოლმა.

საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს გეგმის თანახმად, მომავალი წლის გაზაფხულიდან პირველი ქვეითი პოლკის ჯარისკაცები უახლესი ეკიპირების საბრძოლო პირობებში გამოყენებას დაეუფლებიან და ამის შემდეგ ავღანეთში გაემგზავრებიან. ფრანგულმა არმიამ სულ 22688 კომპლექტი შეუკვეთა, რაც ჯამში მილიარდი ევროს ღირებულებისაა. ტექნოლოგიურად რთული ეკიპირების წარმოებაზე 25 კომპანია მუშაობს, რომელთაგან მთავარი ფირმა Sagem-ია.

„ფელინის“ შემადგენლობაში შედის: იარაღი და საბრძოლო მასალები, ჯავშანჟილეტი, ჩაფხუტი ორი დისპლეითა და მიკროფონით, კავშირისა და მონაცემთა გადამცემი აპარატები, პორტატული კომპიუტერი, GPS-მიმღები, აკუმულატორები, კვების პროდუქტებისა და წყლის დღიური ულუფა. ერთი კომპლექტის მთლიანი მასა 25 კგ-მდეა, ასევე ცნობილია, რომ „საგემი“ „ფელინისათვის“ აკუმულატორთა დამტენ კომპლექტსაც გამოუშვებს, რომელიც ჯავშანმანქანებზე დამონტაჟდება.



# გერმანელ პოლიციელთა ფორმას მარიხუანას ფოთოლი ამშვენებს




გერმანელ პოლიციელებს, რომელთა მთავარი ამოცანა ქვეყნის გზებზე ნარკოტრაფიკთან ბრძოლაა, ახალი უნიფორმა დაურიგეს. ნარკოპოლიციელთა ფორმას სხვა დანარჩენისგან კოსტიუმზე მარიხუანას ფოთლის გამოსახულებიანი ემბლემა განასხვავებს.

მთლიანობაში ნარკოპოლიციელთა ფორმა საკმაოდ მკაცრი და პირქუში შესახედაობისაა და შავი პერანგის, შარვლისა და ქუდისგან შედგება. თეთრი მარიხუანას ფოთლის ემბლემა კი კოსტიუმის სამხრეებსა და სამკლავურზეა გამოსახული.

გერმანელ სამართალდამცველებს ამით „პლანის" პოპულარიზება სულაც არ სურთ და ემბლემა მხოლოდ პოლიციელთა მიერ გაჩერებული ავტომობილების მძღოლებზეა გათვლილი, რათა ისინი თავიდანვე გაერკვნენ, თუ ვისთან აქვთ საქმე.

საგულისხმოა, რომ გერმანიის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში პირადი მოხმარებისთვის 6 გრამამდე მარიხუანას შენახვა დასაშვებია.

# ეგზოჩონჩხი მყვინთავი მებრძოლებისთვის



27398

უახლესი ტექნოლოგიები უკვე იძლევა ისეთი ელექტრომექანიკური საშუალებების შექმნის პირობას, რომელიც ადამიანის ბუნებრივ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს. ასეთი ეგზოჩონჩხების მიმართ დიდ ინტერესს სამხედროები იჩენენ.

აშშ-ის პერსპექტიული კვლევების სააგენტომ ეგზოჩონჩხის რამდენიმე პროტოტიპი შექმნა და ამჟამად კონსტრუქციათა დახვეწაზე მუშაობს. პირველი მოდელების საკმაოდ წარმატებულმა ცდებმა ამერიკელ სამხედროებს სამხედრო მყვინთავებისათვის გამოსადეგი წყალქვეშა ეგზოჩონჩხის შექმნის სურვილი აღუძრა.

წყალქვეშ ცურვისთვის გამოსადეგი ეგზოჩონჩხის პროექტზე (PISCES) მუშაობა დაწყებულია და სისტემის ორი კონცეფცია ჩამოყალიბდა: პირველი — მოცურავის სხეულის მხოლოდ ქვედა ნაწილის ძალისხმევაზეა გათვლილი, ხოლო მეორე კი — პინგვინებისა და დელფინების ცურვის იმიტირებას შეძლებს. მეორე კონცეფცია მოცურავის მთლიანი სხეულის მოქმედებას შეესაბამება, ამიტომ უფრო პერსპექტიულად გამოიყურება.

სამხედროთა აზრით, წყალქვეშა ეგზოჩონჩხი მყვინთავ მებრძოლებს სწრაფად, უხმაუროდ, ჟანგბადისა და ენერგიის მაქსიმალური დაზოგვით მოწინააღმდეგის ობიექტებთან მიახლოების საშუალებას მისცემს.

# იტალიური ტანკები მზვერავი უპილოტოებით აღიჭურვებიან

იტალიურმა კომპანია Oto Melara-მა მინიატურული ერთჯერადი მოხმარების უპილოტო საფრენი აპარატი Horus შექმნა, რომელიც ტანკის 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხიდან გაშვებაზეა გათვლილი. იტალიის თავდაცვის სამინისტროს შეკვეთით ორი აპარატი და ამდენივე სამართავი სადგური უკვე მომზადდა.

აპარატს ნახშირბადის მინაბოჭკოსაგან დამზადებული კორპუსი, 'იხვის" მსგავსი აეროდინამიკური სქემა და დასაკეცი სტაბილიზატორი და ფრთები აქვს. იწონის 1,3 კგ-ს და ელექტროძრავის დახმარებით საათში 21,6-დან 108 კმ-ს ავითარებს.

Horus-ი საათში 21,6-დან 108 კმ-ს ავითარებს და ნახევარი საათის განმავლობაში ფრენა შეუძლია. სავარაუდოდ, უპილოტო საფრენი აპარატებით იტალიის ძირითადი საბრძოლო ტანკი (C1 Ariete) აღიჭურვება და ეკიპაჟებს სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაში დაეხმარება.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# MI-6-ის შეფის ქალიშვილი თავს სადამ ჰუსეინის „ოქროს კალაშნიკოვით" იწონებს

ბრიტანეთის დაზვერვის (MI-6) შეფის ჯონ სოერსის ქალიშვილმა - კორინმა „ფეისბუქში" ფოტოსურათი გამოაქვეყნა, სადაც ხელში მოოქრული ავტომატი „კალაშნიკოვი" უჭირავს. ფოტოზე კორინ სოერსი საახალწლო ნაძვის ხის ფონზეა გამოსახული.

ანალოგიური იარაღი 2003 წელს ერაყში, სადამ ჰუსეინის რეზიდენციაში ნახეს.

როგორც ამბობენ, ჯონმა აღნიშნული ავტომატი ბაღდადიდან სამახსოვროდ წამოიღო, სადაც ის დიდი ბრიტანეთის მთავრობის წარმომადგენლად 3 თვეს მუშაობდა.

ქალიშვილის „ტუტუცობის" გამო MI-6-ის ხელმძღვანელს სახალხოდ ბოდიშის მოხდა მოუხდა. გაბრაზებული მამა თავის ასულსაც გადასწვდა: „ეს მისი მხრიდან ძალიან სულელური საქციელია. სანამ ფოტოს გამოაქვეყნებდა, ჯერ კარგად უნდა დაფიქრებულიყო და გაეთვალისწინებინა, სად მუშაობს მამამისი".

არადა, ბედის ირონიით, პრესაში ფოტოსურათის გამოჩენამდე ერთი კვირით ადრე სოერსი სიტყვით გამოვიდა და უსაფრთხო ინტერნეტის პრიორიტეტზე ისაუბრა. რაც შეეხება კორინს, „ფეისბუქში" გოგონას გვერდი მისმა 873-მა მეგობარმა და ათიათასობით მეგობრის მეგობარმა უკვე დაათვალიერა.

# პენტაგონი გეებსა და ლესბოსელებს ისევ არ სწყალობს



ახლახან აშშ-ის ფედერალურმა სააპელაციო სასამართლომ ქვეყნის ჯარში ჰომოსექსუალების მიმართ დაწესებული პრინციპი „არ გეკითხებიან, ნუ იტყვი" კვლავ ძალაში დატოვა, რითაც შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მსურველ გეებსა და ლესბოსელებს იმედი კიდევ ერთხელ გაუცრუა.

არადა, ერთი თვის წინ სექსუალური უმცირესობების რესპუბლიკელმა წარმომადგენლებმა სასამართლოში იჩივლეს და ამერიკის შეიარაღებულ ძალებში დამკვიდრებული წესის შეცვლა მოითხოვეს, რომელიც სამხედრო მოსამსახურეებს არატრადიციულ სექსუალურ ორიენტაციაზე ღიად საუბარს უკვე 17 წელია უკრძალავს.

საკუთარი კონსტიტუციური უფლებების დამცველ „ცისფერებს" მხარი მოსამართლე ვირჯინია ფილიპსმაც აუბა და იმ არგუმენტით, რომ „შეზღუდვა სამხედროების ფუნდამენტურ უფლებაზე ვრცელდება", მათი მოსაწონი გადაწყვეტილება მიიღო. გეები და ლესბოსელები ობამას ადმინისტრაციაშიც წააზალისეს, სადაც წესის „არ გეკითხებიან, ნუ იტყვი" გაუქმებისთვის საკითხის სენატში განხილვაზე ალაპარაკდნენ.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის არმიაში წესი „არ გეკითხებიან, ნუ იტყვი" 1993 წლიდან მოქმედებს. მანამდე სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს შეიარაღებულ ძალებში სამსახური საერთოდ ეკრძალებოდათ, მათი გამოვლენა კი სპეციალური ტესტით ხდებოდა. 17 წლის წინ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ სამხედროთა სექსუალურ ორიენტაციას ტესტით აღარავინ იკვლევს, სამაგიეროდ, ამ საკითხზე ღიად საუბარი სასტიკად აიკრძალა. ექსპერტთა ცნობით, სწორედ ამ წესის დარღვევისთვის თავის დროზე 14 000 ამერიკელი სამხედრო სამსახურიდან დაითხოვეს.

# სომალიში მიხვდნენ, რომ ომი ბავშვების საქმე არაა

სომალის გარდამავალი მთავრობის ახალმა პრემიერ-მინისტრმა მოჰამედ აბდულაჰი მოჰამედმა თანამდებობის დაკავებისთანავე პირობა დადო, რომ ქვეყანაში მეომრებად ბავშვების დაქირავებას აღკვეთავს. ამის შესახებ მოჰამედმა გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურ წარმომადგენელს აცნობა, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ბავშვთა უფლებების დაცვაზეც მუშაობს.

სომალიში შეიარაღებული კონფლიქტი უკვე ორი ათეული წელია გრძელდება. ბრძოლა სამთავრობო ჯარებსა და ისლამისტ რადიკალებს შორის მიმდინარეობს, რომლებიც ქვეყნის თითქმის ყველა სამხრეთ და ცენტრალურ რაიონს აკონტროლებენ.

გაეროში იმედოვნებენ, რომ სომალის ახალი პრემიერ-მინისტრის ძალისხმევით ავტომატიანი მოზარდები აღარ იქნებიან როგორც სამთავრობო ძალების, ისე მისი მოკავშირე დაჯგუფებების მებრძოლთა რიგებში.

# ნორვეგიაში პოლკოვნიკი პინგვინი რაინდად აკურთხეს



რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ნორვეგიის არმიაში საიმპერატორო პინგვინი ნილს ოლაფ მესამე „მსახურობს“ და მას პოლკოვნიკის წოდება აქვს. თუმცა, ნორვეგიის მეფის ჰერალდ მეხუთესთვის ეს წოდება არასაკმარისი აღმოჩნდა და მისი გადაწყვეტილებით, ედინბურგის ზოოპარკის მკვიდრი რაინდად აკურთხა.

რა თქმა უნდა, პინგვინს საომარი მოქმედებები და ანტიტერორისტული ოპერაციები თვალით არ უნახავს და მისი კარიერა მხოლოდ ზოოპარკსა და შტაბში „მოღვაწეობით“ შემოიფარგლება.

პინგვინებისა და ნორვეგიელი სამხედროების ისტორია ჯერ კიდევ 1962 წლიდან იწყება, როცა ქვეყნის სამეფო გვარდიის უმცროსმა ლეიტენანტმა ნილს ეგილიენმა ედინბურგის ზოოპარკში პინგვინები „გაიცნო“ და იმდენად მოიხიბლა, რომ ხელმძღვანელობას ამ ფრინველთა მეურვეობა სთხოვა. ერთ-ერთ მათგანს ჯარისკაცებმა, თავად ეგიენისა და ნორვეგიის მეფე ოლაფის პატივსაცემად ნილს ოლაფი შეარქვეს და კაპრალის წოდებაც მიანიჭეს.

ნილს ოლაფმა 1987 წლამდე იცოცხლა. მისი სიკვდილით დამწუხრებულმა ნორვეგიელმა სამხედროებმა უმალ ახალი თილისმა-პინგვინის ძიება დაიწყეს და ასეთად 2 წლის ფრინველი შეარჩიეს, რომელსაც ნილს ოლაფ II დაარქვეს.

1993 წლიდან ნორვეგიელთა რიგებში ნილს ოლაფ III გამოჩნდა, რომელიც ჯერ სერჟანტად, 2001 წელს კი მაიორად გამოაცხადეს. პინგვინის სამხედრო კარიერული წინსვლა ამით არ დასრულებულა — რამდენიმე წლის წინ ის უკვე პოლკოვნიკი გახდა.

ნილს ოლაფ მესამის რაინდად კურთხევა პომპეზური ღონისძიების თანხლებითა და ყველა წესის დაცვით წარიმართა. როგორც თვითმხილველები ამბობენ, პინგვინი სამაგალითო ქცევით გამოირჩევა და თავი ჩინისა და წოდების შესაბამისად უჭირავს.

# ირანი იარაღს ვერ ყიდულობს, მაგრამ ყიდის

მართალია, აშშ-ისა და გაეროს ძალისხმევით მრავალი სახელმწიფო, მათ შორის რუსეთი, ირანს სამხედრო სფეროში თანამშრომლობასა და იარაღის მიწოდებაზე უარით ისტუმრებს, მსოფლიოში მაინც მოიძებნებიან სახელმწიფოები, რომლებსაც თეირანთან მჭიდრო ურთიერთობის გამო სინდისი სულაც არ ქენჯნით და მისგან შეიარაღების შეძენასაც ცდილობენ.

ირანული სამხედრო თვითმფრინავებითა და შვეულმფრენებით ბოლივია დაინტერესდა. თეირანში ვიზიტით მყოფმა სამხრეთამერიკული სახელმწიფოს პრეზიდენტმა ევო მორალესმა შეთანხმებას უკვე მოაწერა ხელი.

ჯერჯერობით კონტრაქტის მოცულობა და ღირებულება გაურკვეველია, მაგრამ ცნობილია, რომ ირანელი სპეციალისტები ბოლივიელ სამხედროებს სამხედრო ტექნიკის ათვისებაში დაეხმარებიან.





ეროვნული ბიბლიოთეკა





# საით მიფრინავს „თუთიყუშში"?

2010 წლის 29 ოქტომბერს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახურის სასარგებლოდ მუშაობის ბრალდებით 20 პირი დააკავა. ითქვა, რომ ისინი ცდილობდნენ ინფორმაციის მოპოვებას საქართველოს შსს-სა და თავდაცვის სამინისტროს შესყიდვებზე, ძალოვანი სტრუქტურების მაღალჩინოსნების პირადი მონაცემების შესახებ და ა.შ.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციას 5 ნოემბრისთვის დაგვპირდნენ. ყველა ახალი „ჯაშუშური სკანდალის" მოლოდინში იყო.

მართლაც, 2010 წლის 5 ნოემბერს, 13 საათზე, შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯაშუშების დაკავების შესახებ პირველი ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. სამინისტროში კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილემ ოთარ ორჯონიკიძემ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა ჩაატარა სპეცოპერაცია კოდური სახელწოდებით „ენვერი", რომლის შედეგადაც გამოავლინეს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბის მთავარ სადაზვერვო სამმართველოსთან (გე-ერ-უ) ფარულ კავშირში მყოფი ათეულობით მოქალაქე.

თუ ადრე ჯაშუშების „პატრონად" რუსეთის საგარეო დაზვერვის სამსახური სახელდებოდა, ბრიფინგზე ითქვა, რომ დაკავებულები რუსეთის გე-ერ-უს გადაუბირებია.

## მცირე ისტორიული გადახვევა

რუსეთის სამხედრო დაზვერვა საბჭოთა სამხედრო დაზვერვის პირდაპირი მემკვიდრეა და მისი ისტორია 1918 წლის 21 ოქტომბრიდან იწყება. 1917 წლის ოქტომბრის სამხედრო გადატრიალების შემდეგ ლენინმა, ტროცკიმ და სხვა ბოლშევიკებმა ძალაუფლების შესანარჩუნებლად აქცენტი ძალისმიერ მეთოდებზე გააკეთეს. განსაკუთრებული ფუნქცია „საგანგებო კომისიას" (ჩეკას) უნდა შეესრულებინა, სამხედრო დაზვერვას კი შემდეგი ამოცანები დაუსახეს:

სხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების შესწავლა;

სხვა ქვეყნების სამხედრო ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა;

უცხო ქვეყნების თავდაცვითი გეგმების მოპოვება და ანალიზი;

სხვა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ანალიზი;

ლენინის ბრძანებით მეფის რუსეთის ყოფილი სამხედრო სპეციალისტები, მათ შორის — სამხედრო დაზვერვის ხაზით, ახალშექმნილ სპეცსამსახურებში დატოვეს. ეს ლენინის ეშმაკური ჩანაფიქრი იყო — პირველ ეტაპზე მაქსიმალურად გამოეყენებინა ძველი ოფიცრების ცოდნა და გამოცდილება, შემდეგ კი... შემდეგ ეს „პრობლემა" სტალინმა „მოაგვარა" და თითქმის ყველა მეფის ოფიცერი 30-იანი წლების სისხლიანი რეპრესიების მსხვერპლი გახდა.

დღეისათვის რუსეთის სამხედრო დაზვერვა „დაბადების დღეს" სწორედ 5 ნოემბერს აღნიშნავს (ძველი სტილით 21 ოქტომბერს). ამის შემდეგ ძნელი აღარ იყო იმის გამოცნობა, თუ რატომ გადადო ჩვენმა კონტრდაზვერვამ 5 ნოემბრამდე ოფიციალური ინფორმაციის გავრცელება — მტერს ზეიმი ხომ უნდა ჩაამწარო?!

ქვემოთ უფრო დაწვრილებით გავეცნოთ, რა ოპერატიულ-აგენტურული მეთოდებით შეძლეს ჩვენმა „შერლოკ ჰოლმსებმა" მოწინააღმდეგის გაცურება, როგორ გადმოიბირეს ყოფილი რუსეთის არმიის ოფიცერი და ვინ არიან ჯაშუშები, რომლებიც თურმე წლების (ზოგი კი ათწლეულების) მანძილზე დაპარპაშობდნენ ჩვენს მიწაზე.

შევეცდებით მკითხველს ამომწურავი ინფორმაცია მივაწოდოთ, მაგრამ ჯერ იმ ცნობებს გავეცნოთ, რომლებიც საქართველოს შსს-მ ოფიციალურად გაავრცელა, ხოლო შემდეგ კი გავაანალიზოთ ოპერაცია „ენვერი".

## ის, რაც ოფიციალურად ითქვა
### (მცირეოდენი კომენტარებით)

საქართველოს შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენის ინფორმაციით, კონტრდაზვერვის დეპარტამენტმა გე-ერ-უში ჩანერგა საბჭოთა არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელმაც რუსული სამხედრო დაზვერვის თანამშრომლების ნდობა მოიპოვა და მათ სტრუქტურაში მეკავშირედ დაიწყო მუშაობა. ჯაშუშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი საქმიანობისთვის მას გადასცეს სპეციალური აპარატურა და კომპიუტერული პროგრამა, რომლითაც საიდუმლო ინფორმაციის დაშიფვრა ხდებოდა. მან აპარატურა და კომპიუტერული პროგრამა კონტრდაზვერვის დეპარტამენტს გადასცა, რის შემდგომაც მათი მუშაობის სპეციფიკის შესწავლა გახდა შესაძლებელი.

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად დაკავებული არის 15 პირი, რომელთაგან ორს გაუფორმდა საპროცესო შეთანხმება და ისინი გაათავისუფლეს. დანარჩენ 13-ს კი ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 311. და მუხლი 314. მიხედვით წაუყენეს. საინტერესოა, რა სასჯელს ითვალისწინებს თითოეული მუხლი?

მუხლი 311. უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა (ცვლილება შევიდა 28.04.2006)

უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა ან საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათიდან თხუთმეტ წლამდე.

მუხლი 314. ჯაშუშობა (ცვლილება შევიდა 8.04, .2006)

1. უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა, ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე.

2. ჯაშუშობა, ჩადენილი ომიანობის ან შეიარაღებული კონფლიქტის დროს, ან რამაც საქართველოს ინტერესისათვის მძიმე შედეგი გამოიწვია, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით თორმეტიდან ოც წლამდე.

### ჯაშუშობაში ეჭვმიტანილები

კონტრდაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციით, დაკავებული 13 პირიდან ცხრა — საქართველოს, ხოლო ოთხი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა.

საქართველოს მოქალაქეები არიან:

1. ბაკურ შალვას ძე კილურაძე, გლობალიზაციის ინსტიტუტის დამფუძნებელი, ბიზნესმენი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას უცხო ქვეყნებთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის შესახებ.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, კომპანია „ნიბა-ინვესტის“ ხელმძღვანელი ბაკურ კილურაძე ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 13 ივლისს დააკავეს. ძალიან მალე მას შემდეგ, რაც საერთაშორისო პენკლუბის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისა და საერთაშორისო მდივან იუჯინ შულგინის საქართველოში ვიზიტი დასრულდა. ნორვეგიელმა მწერალმა თბილისში რამდენიმე დღე დაყო. საერთაშორისო პენკლუბის თავმჯდომარე ქართველ მწერლებს და ჟურნალისტებს გამომცემლობა „სიესტის“ ოფისში შეხვდა, რომლის დამფუძნებელიც ბაკურ კილურაძეა.

ყველა ამ შეხვედრისა და კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორი გამომცემლობა „სიესტის“ ხელმძღვანელი ქეთი კილურაძე იყო და გავრცელებული ინფორმაციით, ბაკურ კილურაძის თანამონაწილეობა იმაში გამოიხატა, რომ შეხვედრები მის კუთვნილ შენობებში გაიმართა.

ჯაშუშობის ბრალდებით კილურაძის დაკავება ბევრს საეჭვოდ მოეჩვენა. ამ ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორ, ირაკლი კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ კილურაძის დაკავება ნორვეგიელი სტუმრის წასვლიდან ორ დღეში და თანაც ჯაშუშობის ბრალდებით, ბევრ კითხვის ნიშანს ბადებს.

დაკავებამდე ბაკურ კილურაძის გვარ-სახელმა რამდენჯერმე გაიჟღერა ქართულ მედიაში. თბილისში მეტრო „დელისთან“ მშენებარე 40-სართულიან გრანდიოზულ სავაჭრო ცენტრ „ნიბა-დელისს“, რომელსაც „ნიბა ინვესტი“ აშენებდა, ნიკო ლეკიშვილისა და ბაკურ კილურაძის სახელს უკავშირებდნენ.

ეს პროექტი 2008 წლის თებერვალში დაიწყო. სავაჭრო ცენტრის მშენებლობა 2010 წლის დეკემბერში უნდა დასრულებულიყო, მაგრამ მიზეზთა გამო შეფერხებით მიდიოდა და 2010 წლის ზაფხულში სულ გაჩერდა.

2. „ვიაჩესლავ იურის ძე პლუჟნიკოვი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო ავიაციის ეკიპაჟებისა და საფრენი საშუალებების ფრენების განრიგების შესახებ.






ჯაშუშობაში ეჭვმიტანილები

ეროვნული ბიბლიოთეკა







**ამოღებულ დოკუმენტებში კარგად ცნობილი გენერალ ბორისოვის სავიზიტო ბარათიც აღმოჩნდა, რაც თავისთავად რაიმე დანაშაულზე სულაც არ მეტყველებს**

3. გაბრიელ მერაბის ძე უსტალიშვილი, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო შენაერთების სამობილიზაციო რესურსების შესახებ.

4. დავით ენვერის ძე მესხიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჩატარებული სწავლებებისა და ინსპექციების შესახებ.

5. გელა იასონის ძე კაკაბაძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის რიცხოვნობის, შეიარაღების, სამხედრო ტექნიკისა და ტრანსპორტის ოდენობის შესახებ.

6. გოჩა ზურაბის ძე დიასამიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო-ოპერატიული მომზადების დონის შესახებ.

7. ტარიელ ისმაილის ძე აბაშიძე, საქართველოს შეიარაღებული ძალების მფრინავი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას განსაკუთრებით დაცული სამხედრო და სამოქალაქო ობიექტების სამუშაო რეჟიმის, სტრუქტურისა და თანამშრომლების შესახებ.

8. რუსლან მიხეილის ძე გალოგრე, ბიზნესმენი.

ბრალი ედება ს.ს.კ-ს 311 მუხლით (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა). გრუ-ს დავალებების შესაბამისად, კონკრეტულ პირებზე ახორციელებდა მეთვალყურეობას.

ჩვენთვის ცნობილია, რომ რუსლან გალოგრე ბათუმში მდებარე სასტუმრო „ო. გალოგრეს" ტექნიკური მენეჯერი იყო. მისი დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია ოქტომბერში გავრცელდა, თუმცა კონკრეტული ბრალდება არ იყო ცნობილი. რუსლან გალოგრე ბიზნესმენ ომარ გალოგრეს ძმაა. ომარ გალოგრე რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა, ხოლო მისი ოჯახი რუსეთში ცხოვრობს.

საინფორმაციო სააგენტოებისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსლან გალოგრეს მეუღლე ოლგა გალოგრე ქმრის დამნაშავეობას კატეგორიულად გამორიცხავს. მისივე თქმით, ჯაშუშობის ბრალდებით კიდევ ერთი დაკავებული არმენ გევორქიანი მათი მეზობელი იყო. ის ადრე მოსკოვში ცხოვრობდა და მცირე ხნის წინ გადმოვიდა საქართველოში.

9. ედუარდ გიორგის ძე აბდულაევი, მეზღვაური, რადიოსპეციალისტი.

ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას სამხედრო კავშირისა და რადიოსახმისების შესახებ.

***ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული არიან რუსეთის მოქალაქეები:***

10. არმენ ვაგანის ძე გევორქიანი, კომპანია „სეიბოლტის" საქართველოს ფილიალის გენერალური დირექტორი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას საქართველოსა და სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებს შორის ოპერატიული თანამშრომლობის შესახებ.

11. რუბენ ლეონის ძე შიკოიანი, კომპანია „სეიბოლტის" საქართველოს ფილიალის დირექტორის მოადგილე. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 314 მუხლით (ჯაშუშობა). გრუ-ს გადასცემდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სხვადასხვა კომპანიას შორის დადებულ ხელშეკრულებებს საიდუმლო შესყიდვების შესახებ.

არსებული ინფორმაციით, არმენ გევორქიანი და რუბენ შიკოიანი ჯერ კიდევ 17 ოქტომბერს დააკავეს. არმენ გევორქიანი ასლან აბაშიძის მმართველობის დროს აჭარაში სომხურ დიასპორას ხელმძღვანელობდა.

12. პეტრე ნურის ძე დევრიშაძე, ბიზნესმენი. ბრალი ედება ს.ს.კ-ს 311 მუხლით (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა). გრუ-ს დავალებების შესაბამისად, კონკრეტულ პირებზე ახორციელებდა მეთვალყურეობას.

13. იური დიმიტრის ძე სკრილრპნიკოვი, გრუ-ს მეკავშირე.

ბრალი ედება ს.ს.კ-ს 311 მუხლი (უცხოეთის სადაზვერვო სამსახურშ შესვლა). ორგანიზებას უკეთებდ საქართველოს ტერიტორიაზე გრუ-სთა ფარულ კავშირში მყოფ პირებთან შე ვედრებსა და საიდუმლო ინფორმაციი საქართველოს ფარგლებს გარეთ გატა ნას.

რუსეთში არსებული „ჯავახქის" დი ასპორის განცხადებით, სომეხი ეროვნებ ის ბიზნესმენების დაკავება შეიძლებ საქართველო-სომხეთის ურთიერთობი გაუარესების მიზეზი გახდეს.

*ბესიკ ალადაშვილ*

*ექსპერტი ეროვნულ*
*უსაფრთხოების საკითხებშ*
*უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკ*

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

# ნაგინები და ნაცემი მეომარი ბრძოლის სურვილს კარგავს

5 ნოემბერს არასამთავრობო ორგანიზაციის — „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ — ხელმძღვანელმა ნანა კაკაბაძემ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ვაზიანში დისლოცირებული მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში თხუთმეტ სამხედროს სცემეს, მათ შორის — ჩოჩელსა და ნადირაძეს, ხოლო შეურაცხყოფილმა სერჟანტმა კიკნაძემ ცემის შემდეგ ვენები გადაიჭრა.

ნანა კაკაბაძემ ეს ინფორმაცია თავად სამხედროებისაგან მოკლეტექსტური შეტყობინებით მიიღო, სადაც ნათქვამი იყო, რომ 4 ნოემბრის საღამოს შვიდი საათიდან 5 ნოემბრის დილის ხუთ საათამდე ეს სამხედროები გარეთ, სიცივეში ჰყავდათ და სცემდნენ.

სავარაუდოდ, 42-ე ბატალიონის ასეულ „ალფას“ სამხედროებს ასე იარაღის დაკარგვის გამო მოექცნენ.

მოგვიანებით, 5 ნოემბერს, მედიაში გავრცელებულ ამ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო გამოეხმაურა. მათ განცხადებაში ნათქვამი იყო, რომ მე-4 ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონში შეიარაღების საწყობის მორიგი აღრიცხვის დროს სერჟანტმა აღმოაჩინა ერთი ავტომატური იარაღის დანაკლისი. აღნიშნულ ფაქტზე რამდენიმე კაპრალს შორის შელაპარაკება მოხდა, მაგრამ ინციდენტი მალევე ამოიწურა.

5 ნოემბერს, დღის ბოლოს, მე-4 ქვეით ბრიგადას სახალხო დამცველი გიორგი ტუღუში ეწვია, რომელმაც განაცხადა, რომ სამხედროებს — ჩოჩელს, კიკნაძეს, ნადირაძესა და დათუნაშვილს სხეულის დაზიანებები აღენიშნებოდათ, ხოლო კიკნაძეს ხელი შეხვეული ჰქონდა და ამბობდა, რომ ხელი თავად დაისერა.

ჩვენ ვეცადეთ, თანამიმდევრულად და დეტალურად გადმოგვეცა, თუ რა ხდებოდა 5 ნოემბერს 42-ე ბატალიონში, რათა მკითხველი დარწმუნდეს — რომ არა სამხედროების მიერ ნანა კაკაბაძისათვის დროულად მიწოდებული ინფორმაცია ინციდენტის შესახებ, ეს ფაქტი საზოგადოებისთვის უცნობი დარჩებოდა, არც თავდაცვის სამინისტრო გააკეთებდა განცხადებას და არც სახალხო დამცველი ეწვეოდა ვაზიანის ბაზას.

ამით იმის თქმა გვსურს, რომ სამხედრო ნაწილებში, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ხდება მსგავსი არასაწესდებო შემთხვევები, რომელთა უდიდესი ნაწილი უცნობი რჩება საზოგადოებისათვის, რადგან თავად შეურაცხყოფილი სამხედროები ვერ ბედავენ ამ ამბის გახმაურებას.

მართალია, თავდაცვის სამინისტრო ამტკიცებს, რომ იარაღის დაკარგვის გამო შეხლა-შემოხლა თავად კაპრალებს შორის მოხდა, მაგრამ ეს ძნელი დასაჯერებელია, მით უმეტეს, რომ კიკნაძეს ხელი შემთხვევით არ დაუსერავს, სავარაუდოდ, მან მეთაურთა მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ვერ აიტანა, შეურაცხყოფა კი დღევანდელ ქართულ არმიაში, ძირითადად, ერთი სახისაა — პლაცზე ყველას თვალწინ გინება და ზოგჯერ მოფარებულში ცემაც კი. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ამ კონკრეტული ინციდენტის დროს სამხედროები მე-4 ბრიგადის შტაბის სარდაფში ჩაიყვანეს და პოლიციური რეზინის ხელკეტებით სცემეს...



## მეთაურისგან სახალხოდ შეურაცხყოფილი სამხედრო სამშობლოსთვის თავის დადების წინ კარგად დაფიქრდება

როგორ ფიქრობთ, ქართველი სამხედრო (მით უმეტეს, ჯარში კონტრაქტით წასული), რომელსაც ასობით ადამიანის თვალწინ აგინებ და მერე ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებ, გამბედავ და უშიშარ მებრძოლად გამოდგება? ან ბრძოლაში გადაეფარება იმ მეთაურს, რომელმაც დედა შეაგინა?

რაც ყველაზე წარმოუდგენელია სახალხოდ დამცირების მიზანი არა მარტო კაპრალები ხდებიან. ათობით (და უკვე ასობით) ოფიცერმა, მათ შორის — პოლკოვნიკებმაც, გამოცადეს, რას ნიშნავს პლაცზე, სახალხოდ, დამცირება. მაგალითად, გასულ თვეს უკვე სახმელეთო ჯარებში გადასული სამხედრო ავიაციის შემადგენლობა ღამით მოულოდნელად მოაწყვეს ალექსეევკის საჰაერო ბაზაში, სადაც ერთ წუთში წერტილი დაესვა რამდენიმე სამხედრო მფრინავის მრავალწლიან კარიერას — ისინი ჯარიდან გაყარეს, სამხედრო ავიაციის უფროსი კი დააქვეითეს. სხვათა შორის, ერთ-ერთი გაგდებული პილოტი აგვისტოს ომის შემდგომ ხელისუფლებამ სახელობითი პისტოლეტით დააჯილდოვა რუსების ჯავშანკოლონის მოიერიშე თვითმფრინავით დაბომბვის გამო.

უფრო ადრე კი ვაზიანში ახალგახსნილი პირველი საარტილერიო ბრიგადის ბაზაში საბოლოოდ ჩაკვდა ქართული არტილერიის ყველაზე მსხვილკალიბრიანი „პიონების“ ისტორია. ამ „პიონებმა“ და, რა თქმა უნდა, მათზე მომსახურე არტილერისტებმა აგვისტოს ომის დროს მტერს ექვსასზე მეტი ჭურვი ესროლეს და მუდმივი საჰაერო დაბომბვის მიუხედავად, ბრძოლიდან უდანაკარგოდ გამოვიდნენ. მოგვიანებით ტყეში გადამალული ხუთი „პიონი“ მოწინააღმდეგემ დაწვა.

ტექნიკა მაინც რკინაა და ბოლოს და ბოლოს შეიძლებოდა მისი ჩანაცვლება, მაგრამ ომიდან ორი წლის შემდეგ ჯარიდან დაითხოვეს „პიონების“ დივიზიონის თითქმის მთელი შემადგენლობა. იმ დღეს პირველი საარტილერიო ბრიგადის ტერიტორიაზე საშინელი ტრაგედია დატრიალდა, როდესაც ერთმა კაპრალმა მეორეს ავტომატის ჯერი დაახალა. ამ ტრაგედიის გამო პლაცზე მოწყობილ არტილერისტებს თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ჯერ უშვერად აგინა, შემდეგ კი თითქმის 80 ომგამოვლილი და საბრძოლო გამოცდილებამიღებული არტილერისტი გაყარა ჯარიდან, მიუხედავად იმისა, რომ ამ ტრაგედიაში ბრალი არ მიუძღოდათ.

**ირაკლი ალადაშვილი**

# „ქალი ხაკისფერში“ — ქალი და სამხედრო სამსახური

*„ქალი გაპატიებს ყველაფერს უარყოფის გარდა“*

*ალფრედ დე მიუსე*

მსოფლიოში არ წყდება კამათი სამხედრო სამსახურში ქალის ადგილისა და ფუნქციების შესახებ. მოკამათეების სპექტრი მოიცავს როგორც მომხრეებს, ასევე მოწინააღმდეგეებსაც, აღტაცებულ ფემინისტებსა და მოქირქილე ცინიკოსებს.

საქმე ეხება ქალ სამხედრო მოსამსახურეს და არა პარტიზანული რაზმის წევრს ან წინააღმდეგობის მებრძოლს, რომელთაც ერნესტო ჩე გევარამ თავისი წიგნის „პარტიზანული ომის“ ფურცლებზე განსაკუთრებული ფუნქციაც კი მიანიჭა აჯანყებულთა რაზმებში. ერთია იარაღით ხელში იდეის გამო გაერთიანება და მეორე ყოველდღიური მკაცრად რეგულირებული ცხოვრების წესი. პირველ შემთხვევაში ქალი იარაღს უმეტესად საყვარელი მამაკაცის გვერდით ყოფნის, შურისძიების ან რომანტიკულობისა და ავანტიურის მაცდური ხიბლის გამო იღებს ხელში, მაშინ როცა რეგულარულ სამხედრო სამსახურში ქალის წასვლის მიზანი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაღალი ხელფასი და სოციალური გარანტიებია.

გასამხედროებულ (პარამილიტარულ) ან პარტიზანულ რაზმში ყველა წევრი დამოუკიდებელი ინდივიდია, თანაც როგორც წესი, ასეთი ორგანიზაცია გულისხმობს დიდი ოჯახის სტრუქტურას, სადაც ფუნქციები ნაცნობი სქემით არის განაწილებული. თავის მხრივ, ჯარის მთელი აპარატი მიმართულია პიროვნების დეინდივიზებისკენ (დამეთანხმებით, ამ დროს ერთ-ერთი ურთულესი ფსიქოლოგიური პრობლემაა, ქალი დაარწმუნო, რომ ის არაფრით არ უნდა გამოირჩეოდეს სხვა სამხედრო მოსამსახურეებისგან).

განვიხილოთ ამ პრობლემის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა არგუმენტები.

თავდაპირველად გადავხედოთ ქალების სამხედრო სამსახურში დამკვიდრების მოკლე ისტორიას და გავეცნოთ დღევანდელ მდგომარეობას მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში.

სამხედრო ფორმირებებში ქალების მონაწილეობას დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ძველ ჩინეთში იმპერატორის სიცოცხლეს ქალ მცველთა რაზმები იცავდნენ. პელოპონესისა და კორინთოს ომებში ქალებმა პირველად მიიღეს მონაწილეობა სამხედრო ლაშქრობებში. ძვ.წ. IV საუკუნეში ათენსა და სპარტაში ისინი მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ. პლატონი ამტკიცებდა, რომ მშვენიერი სქესი ბრძოლის ველზე მეომრების ფსიქოლოგიური მხარდასაჭერად შეუცვლელი



# ქართველი ქალი და სამხედრო საქმე

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახურის მსურველი ქალების გამოჩენას საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. მართალია, ჩვენი ქვეყნის ისტორიამ თავდადებით, მხედრული მამაცობითა და საზრიანობით გამორჩეული არაერთი ქალის სახელი შემოგვინახა, მაგრამ მავანთ მიაჩნიათ, რომ ეს ქალის საქმე არ არის და სუსტი სქესის არჩევანს ფინანსური დაინტერესებით ხსნიან. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც: ზოგიერთის აზრით, ბევრ ქალს ამ ნაბიჯისკენ სახელმწიფოს იდეოლოგიამ უბიძგა, ზოგს კი — რომანტიზმმა.

ასეა თუ ისე, საქართველოს შეიარაღებულ ძალებში არცთუ ცოტა ქალი მსახურობს. „არსენალის“ მკითხველს რამდენიმე მათგანზე ვუამბეთ. ჩვენმა რესპონდენტებმა თავიანთ სისუსტეებზე დაუფარავად ისაუბრეს და ისიც დასძინეს, რომ მათთვის მთავარი დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულებაა. იყვნენ ისეთებიც, ვისაც ცოდნისა და გამოცდილების ფრონტის ხაზზე გამოყენების საშუალება არ მიეცათ. მართალია, რამდენიმე რესპონდენტის მონათხრობით საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამხედრო ქალის ფუნქციის მხოლოდ დადებით მხარეებზე ლაპარაკი არ შეიძლება, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში სამსახურის პოტენციალი ნამდვილად აქვთ.

ქართველი ქალები ავღანეთში სამშვიდობო მისიით წასულ ქართულ ბატალიონშიც მსახურობენ, ოღონდ მხოლოდ მედიცინის მუშაკები.

კითხვაზე, მკაცრ, ჯარისკაცურ პირობებში როგორ ახერხებენ თავის მოვლას, ყველამ ერთნაირი პასუხი გამცა: „რაც უნდა დაღლილი ვიყო, რამდენიმე წუთით გვიან ვწვები, რომ თავი მოვიწესრიგო. ამის ენერგია და სურვილი ყოველთვის მაქვს. დილითაც 10-15 წუთით ადრე ვდგები და ეს დრო მაკიაჟისა და უბრალო ვარცხნილობის გასაკეთებლად სავსებით საკმარისია. ქალი ყოველთვის კარგად უნდა გამოიყურებოდეს. რაც უნდა მძიმე საქმეს ვემსახურებოდე, არ მავიწყდება, რომ ქალი ვარ და არცთუ ადვილი საქმის შესრულებაში ხელს სულაც არ მიშლის“.

**ნანა ცხადაძე,** 42-ე ბატალიონის სერჟანტი, სამედიცინო პუნქტის უფროსი, 2006 წელს ძმასთან, სერჟანტ ზვიად ცხადაძესთან ერთად კოჯრის სპეცდანიშნულების ბრიგადის შემადგენლობაში




ჩავირიცხე. მერე ერაყში, ბაქუბაში, წითელ ზოლში შვიდი თვე ვიმსახურე. ადვილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ რახან სხვები უძლებდნენ, მეც ვიტანდი. ერაყიდან დაბრუნების შემდეგ, მესამე სამშვიდობო ბატალიონში გადავედი და ცხინვალის რეგიონში ექიმის მოვალეობის შემსრულებლად წავედი. იქ 6 თვე გავატარე. კარავში ვცხოვრობდით. ისე ციოდა, რომ დილას კარვის კალთებზე ყინულის ლოლუები გვხვდებოდა. ხუთწლიანი სამხედრო გამოცდილება დამიგროვდა და ამ ხნის განმავლობაში ყველა წვრთნა და სწავლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ. მათ თვალწინ მამაკაცი უკან ვერ იხევდა და შიშს არ გამოხატავდა. შესაბამისად, დაასკვნიდა დიდი ფილოსოფოსი, ქალისა და მამაკაცის ერთად სამხედრო სამსახური არა მარტო შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც კი იყო (ეტყობა, ქალები ძველი დროიდან არა მარტო ფსიქოლოგიური მხარდაჭერისთვის იყვნენ ჯარში. ცნობილია, რომ სციპიონ აფრიკელმა ერთხელ თავისი ჯარიდან 2000-მდე მეძავი გაყარა; კარლ IV-ის არმიაში 4000-მდე, ხოლო ჰერცოგ ალბას ჯარში 400 ცხენოსანი და 800-ზე მეტი იმავე პროფესიის ქალი იყო).

ჟანა დ'არკის ამბავი ყველამ იცის, მაგრამ ცოტას თუ გაუგია, რომ შოტლანდიელ უილიამ უოლესის თანამებრძოლებთან ერთად 1297 წელს ინგლისელებს გმირულად ებრძოდა გრაფინია როსი თავისი პირადი რაზმით.

რუსეთში, ჯერ კიდევ პეტრე I-ის დროს, 1716 წლის სამხედრო წესდებაში ჩამოწერილი იყო ქალების მოვალეობა სამხედრო ჰოსპიტლებში, სამეურნეო და სანიტართა თანამდებობებზე.

აშშ-ის არმიაში ქალებმა სანიტრებად, მრეცხავებად და მზარეულებად სამსახური 1775 წლიდან დაიწყეს.

ეკატერინე II-ის ფავორიტმა პოტიომკინმა ოფიცერთა შვილებისა და ცოლებისგან ყირიმში ჩამოაყალიბა „ამორძალთ ასეული“. მისი წევრები კარგი მსროლელები და მხედრები იყვნენ. ხელისუფლების ცვლილებისთანავე ქვედანაყოფი დაიშალა.

1854 წელს ყირიმში რუსეთის არმიის დაჭრილების მოსავლელად ჩავიდა 120 მოწყალების და, ხოლო 1877 წლიდან, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, ქალებმა ოფიციალურად მოიპოვეს მოქმედ არმიაში სამსახურის უფლება და 1878 წლიდან იმავე ომის ფრონტზე დაახლოებით 1500-მდე მოწყალების და იმყოფებოდა.

1857 წელს ინდოეთში სიპაების აჯანყებას სათავეში ედგა და ბრძოლაში დაიღუპა მაჰარაჯას ქვრივი ლაქშმი ბაი.

1885 წლიდან კანადის არმიაში დაიწყეს სპეციალური სამედიცინო მომზადებაგავლილი ქალების მიღება.

მიუხედავად ამისა, XX საუკუნემდე ქალებს ეკრძალებოდათ ოფიცრის ჩინების მიღება და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა და თუკი რომელიმე მოინდომებდა სამშობლოს სამსახურში ბრძოლას, იძულებული იყო, ტყუილისთვის მიემართა (ხშირად მამაკაცის ტანსაცმელს იცვამდნენ). ამის მაგალითია მაია წყნეთელი, თამარ ვაშლოვანელი, ალექსანდრა ტიხომიროვა (სამხედრო სამსახური დაიწყო ომში დაღუპული ძმის გვარით და კავალერიაში მთელი 15 წელი იმსახურა), ბოროდინოს ბრძოლის მონაწილე კავალერისტი ნადეჟდა დუროვა (მიაღწია შტაბროტმისტრის თანამდებობას) და სხვ.

1904-1905 წლებში, რუსეთ-იაპონიის ომის დროს, უკვე 3000 ქალი მედდა იყო.

პირველ მსოფლიო ომში მონაწილე ქვეყნების არმიებში ქალები საბრძოლო დანაყოფებშიც იყვნენ. მაგალითად, კერენსკის მხარდაჭერით 28-ე პოლოცკის პოლკის უმცროსმა უნტერ-ოფიცერმა მარია ბოჩკარიოვამ ჩამოაყალიბა ქალთა „სიკვდილის ბატალიონი“.

ბევრი ქალი მსახურობდა ჯარში მეორე მსოფლიო ომის დროს. მაგალითად, სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში ფრონტისთვის მომზადდა 300000 მედდა, 300000 სანიტარი, 222000 სნაიპერი, მეკავშირე და სხვ. ქალებით კომპლექტდებოდა არა მარტო უზრუნველყოფის

ბა გავიარე. 2008 წლის 8 აგვისტოს დილით ცხინვალისკენ წავედით. ხეთაგუროვში ვიყავით, როცა ხელის რადიოსადგურზე მივიღე შეტყობინება, დაჭრილები გამოიყვანეთო. დიდი წვალებით შევედით ქალაქში, სადაც ჯოჯოხეთი ტრიალებდა. დაჭრილებამდე მისასვლელი ყოველი ნაბიჯი სიკვდილისთვის თვალებში ჩახედვას უდრიდა. ბიჭები გვაჩვენებდნენ, სად იყვნენ დაჭრილები და მათ პირველად სამედიცინო დახმარებას ვუწევდით, სისხლდენას შევუჩერებდით და გადასხმებს ვუკეთებდით. როცა ჩვენს ბიჭებს დაჭრილები მთავარ საველე პუნქტამდე მიჰყავდათ, უსაფრთხოების დერეფანს ვუკეთებდით.

როცა ბრძოლაში რუსული ავიაცია ჩაერთო, დაჭრილების რაოდენობა ისე გაიზარდა, ამოსუნთქვის საშუალება აღარ გვქონდა. ქუჩებში დაჭრილებს ვაგროვებდით. ერთ-ერთ აფეთქებულ ავტოგასამართ სადგურთან შენობის ნანგრევი იყო და იმას შევაფარეთ თავი. ქუჩაში სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მიდიოდა. ვცდილობდით, შედარებით უსაფრთხო გზა მოგვეძებნა და როგორმე ჩვენს სამედიცინო პუნქტამდე მიგვეღწია. სრული საბრძოლო აღჭურვილობა მქონდა და ხელში სამედიცინო ჩანთაც მეჭირა. ჩემს უკან ჯარისკაცი ფეხში დაიჭრა, მოვბრუნდი და ბუჩქებში შევათრიე. სისხლდენა შევუჩერე, ამასობაში ჩვენი ბიჭებიც მოვიდნენ და საველე პუნქტამდე მივიყვანეთ. ამ დროს რუსულმა თვითმფრინავმა გადაიფრინა და ნაძვნართან ბომბი ჩამოაგდო. იქ ჩვენები იყვნენ გამაგრებულები და სასწრაფოდ ექიმი სჭირდებოდათ. ჩანთა და ავტომატი ავიღე და მათკენ გავიქეცი. ის იყო, დაჭრილებისათვის საკაცე უნდა მოეტანათ, რომ უეცრად ცა განათდა, იქაურობა გამაყრუებელმა ხმაურმა შეაზანზარა. მარცხენა მხარში ძლიერი დარტყმა და აუტანელი ტკივილი ვიგრძენი. მახსოვს, რომ ზურგზე გადაჩეხილი ფიჭვებისა და ნაძვების ტოტები და მიწა მეყარა. მარცხენა ხელს ვერ ვგრძნობდი. შემეშინდა, ვაითუ აფეთქების წნევამ მომაწყვიტა-მეთქი. სიკვდილის ისე არ მეშინოდა, როგორც დასახიჩრებისა. თავში ერთადერთი აზრი მიტრიალებდა, როგორმე გამეღწია აქედან. იარაღს დავუწყე ძებნა. მტკიოდა, მაგრამ იმაზეც ვფიქრობდი, რომ ქალი ვიყავი და მტერს ხელში არ უნდა ჩავვარდნოდი. სანამ ტყვია და ძალა მეყოფოდა, წინააღმდეგობას გავუწევდი და ტყვედ არ ჩავბარდებოდი. უცებ ქართული ლაპარაკი შემომესმა, ჩვენები იყვნენ. ჩემი სამედიცინო ჩანთა ნაკუწებად იყო ქცეული, როგორღაც ერთი ამპულა ტკივილგამაყუჩებელი იპოვეს და ვენაში გამიკეთეს. შემდეგ კი სხვა დაჭრილებთან ერთად „ჰაილუქსით“ გადამიყვანეს. დაჭრილი ბიჭების გვერდით ვიწექი, სისხლისგან სველი ვიყავი და ვეხვეწებოდი, თუ ჩემს წაყვანას ვერ მოახერხებთ, აქვე მომკალით, მტერს ტყვედ არ უნდა ჩავუვარდე-მეთქი, მაგრამ გადავრჩი...

## ქალი არმიაში

**ნანა ბასლანიძე,** საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის სამედიცინო ოცეულის სერჟანტი, ექთანი:

— ექვსთვიანი სამედიცინო კურსები უკრაინაში გავიარე, მერე კი საქართველოში ჩამოვედი და შეიარაღებულ ძალებში გავაფორმე კონტრაქტი. ვიცოდი, რომ ომში მივდიოდი და ძალიან მძიმე დღეები მელოდა. ომამდე ცხინვალის სამშვიდობო ბატალიონში ვიყავით და ექვსი თვე კარავში ვიცხოვრეთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთვის ოთახი იყო გამოყოფილი, საკუთარი თავისთვისა და სხვებისთვისაც იმის დამტკიცება გვინდოდა, რომ ქალს დაკ-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვედანაყოფები, არამედ შეიქმნა ცალკეულ მოხალისეთა მსროლელი ბრიგადა, ბომბდამშენთა და გამანადგურებელთა ქალთა საავიაციო პოლკები. მეორე მსოფლიო ომში გამოჩენილი გმირობისა და ვაჟკაცობისთვის 90 მათგანს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

დღეს დემოგრაფიული და ეკონომიკური, კომპლექტაციის ახალი პრინციპებისა და სოციალურ-ფსიქოლოგიური განვითარების გამო NATO-ს და სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში სულ უფრო იზრდება ქალ სამხედრო მოსამსახურეთა რიცხვი. საამისოდ მათთვის ყველა პირობაა შექმნილი: გაფართოვდა მათთვის ხელმისაწვდომი სამხედრო სპეციალობების წრე; აქვთ დაწინაურების პერსპექტივა, საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის უფლება. 140 ქვეყნის მონაცემებით, სუსტი სქესის სამხედრო მოსამსახურეების წილი 4,5%-ს შეადგენს. „NATO-ს ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში ქალთა საკითხთა ორგანიზაციის" ინფორმაციით, ალიანსის არმიების რიგებში ქალთა რაოდენობა ბოლო 5 წლის განმავლობაში გაიზარდა 10-ჯერ და დღეს 300000-ს აღწევს.

აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო თანამდებობების 14% ქალებს უკავიათ. მათგან 11200 NATO-ს სამშვიდობო, ხოლო 37000 ოპერაცია „უდაბნოს ქარიშხალში" მონაწილეობდა (21 ქალი გენერლის თანამდებობაზეა, ხოლო სახმელეთო ძალების ტექნიკური სარდლობის ხელმძღვანელი ენ დენვუდი ოთხვარსკვლავიანი გენერალია); კანადაში 9%-ს, დიდ ბრიტანეთში კი 5%-ს შეადგენს; ნორვეგიაში ქალი შეიძლება იყოს წყალქვეშა ნავის მეთაურიც. პორტუგალიაში, საფრანგეთში, საბერძნეთსა და თურქეთში ქალებს შეუძლიათ იმუშაონ ნებისმიერ სამხედრო თანამდებობაზე, საბრძოლოს გარდა. ბუნდესვერში მათ ეკრძალებათ იარაღთან დაკავშირებული თანამდებობების დაკავება. პაკისტანში ქალები მსახურობენ ჰოსპიტლებსა და საინჟინრო ნაწილებში, ხოლო სამხედრო ექიმმა შაჰიდა მალიქმა გენერლობაც კი მიიღო. ლიბიის რევოლუციის ლიდერ კადაფის იცავს მუსლიმანურ სამყაროში ერთადერთი ქალთა სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებულთაგან ჩამოყალიბებული ე.წ. ჯამაჰირიის გვარდია. რუსეთის შეიარაღებულ ძალებში 15000 ქალი ოფიცერი და 25000 ქალი-ზემდეგია, ხოლო რიაზანის უმაღლეს საჰაერო-სადესანტო სასწავლებლის ბაზაზე ჩამოყალიბდა მსოფლიოში ერთადერთი ქალთა საპატიო ყარაულის ასეული.

ისრაელში ქალებიც ექვემდებარებიან საყოველთაო სამხედრო გაწვევას. სპეციალურ ქალთა დანაყოფებში 21 თვეს მსახურობენ 18-24 წლის ქალები. სამხედრო სამსახურისგან თავისუფლდებიან მხოლოდ ფეხმძიმობის, გათხოვების, ჯანმრთელობის ან რელიგიური მიზეზებით. სამსახურის დამთავრების შემდეგ ქალების უმეტესობა თავისუფლდება ყოველწლიური სამხედრო გადასახადისგან. ქალების უმრავლესობა მსახურობს არასაბრძოლო ნაწილებში, თუმცა არიან საარტილერიო და სასაზღვრო დანაყოფებშიც. არსებობს ქალთა და მამაკაცთა შერეული ოცეულებიც (მაგ. ბატალიონი „კარაკალი").

ახლა განვიხილოთ ქალთა სამხედრო

## ქალი არმიაში

ისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულება შეუძლია. მოწყობაზე ზოგჯერ სიცხიანი გავდიოდით, მაგრამ შვებულებაში ერთი დღითაც არ გავსულვართ. თოვლსა და სიცივეში, ყველგან, სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად ვიყავით. ცხინვალის ომის დროს ბიჭები ხედავდნენ ჩვენს თავგანწირვას და უფრო თავდადებით იბრძოდნენ. ცხინვალის შესასვლელთან დაჭრილების ევაკუაცია დავიწყეთ. მებრძოლებს ჭრილობის სიმძიმის მიხედვით ვახარისხებდით. ინტენსიური სროლის გამო ბრიგადის მანქანებმა დაიგვიანეს და გადავწყვიტეთ, დაჭრილები საკუთარი ძალით გადაგვერჩინა და ავნევამდე ჩაგვეყვანა. ნებართვა სერჟანტ გიორგი ძებისაშვილისგან ავიღე და ბიჭები „ჰაილუქსზე" მოვათავსე. საევაკუაციო მანქანის ბორტზე იმათ ვსხამდით, ვინც შედარებით მსუბუქად იყვნენ დაჭრილი და საჭიროების შემთხვევაში, იარაღის გამოყენება და თავდაცვა შეეძლოთ, სხვებს შიგნით ვათავსებდით. რადგან მძიმედ დაჭრილი იყვნენ და გზაშიც სჭირდებოდათ სამედიცინო დახმარება, მეც გავყევი. ავნევამდე უნდა მიმეყვანა და უკან მოვბრუნებულიყავი. ამ დროს იქაურობას სნაიპერი ამუშავებდა და დავიჭერი. იმავე წუთში რუსულმა მოიერიშეებმა გადაგვიფრინეს და ბომბები ჩამოყარეს. ძლიერი აფეთქების ძალამ სადღაც გადამაგდო. იარაღი დავკარგე. ბომბი მანქანას მოხვდა და ბორტზე ყველა დაჭრილი დაიღუპა, შიგნით მსხდომნი კი, მძიმედ დაჭრილები, გადარჩნენ. მარჯვენა ხელის კიდურზე ნაკერს ადგილობრივი გაუტკივარებით მადებდნენ. ნეკა თითი მთლიანად დამსხვრეული (მაინც შევინარჩუნე, ომის შემდეგ ცრუსახსარი ჩამიდგეს), ორივე მკლავში კი გამჭოლი ჭრილობა მქონდა, ვერც ფეხს ვიმორჩილებდი. ახლა ხუმრობით ვიხსენებთ ხოლმე, როცა ჩემს გამოსაყვანად ჩვენი ქვედანაყოფის კაპიტანი მოვიდა და ხელში ამიყვანა, კივილი დავიწყე, მანდ არ შემეხოთ-მეთქი, ის კი გაბრაზდა, რაღა დროს გაპრანჭვის დროა ამ გაგანია ომშიო?.. არადა, მტკიოდა და ამიტომაც ვყვიროდი. ომის შემდეგ ხშირად უკითხავთ, სამხედრო კარიერას გააგრძელებო. მე არჩევანი ომამდე გავაკეთე და აზრის შეცვლას არ ვაპირებ. ისიც მითხრეს, ორი შვილი გყავს და რა გინდოდა ომშიო. მე პირველი ომი ჯერ კიდევ 17 წლის წინ ვნახე, ჩემი ძმა აფხაზეთის ომის მონაწილეა, დაიჭრა კიდეც. ასე რომ, სიკვდილის ფასიც ვიცი და სიცოცხლისაც. მინდოდა მეტი გამეკეთებინა, რომ არ ეთქვათ, ქალს რა უნდოდა ომშიო. ტყვედ არ ჩავვარდებოდი, ბოლო ტყვიას ჩემთვის დავიტოვებდი, რომ თავი მომეკლა.

**ლელა მჭედლიშვილი**, ლეიტენანტი, მეზენიტე:

— ბავშვობიდან მინდოდა, ძლიერი ქალი ვყოფილიყავი. როცა ჯარში წასვლა გადავწყვიტე, ვიცოდი, სადაც მივდიო-



დი, რაც მელოდა. ფიზიკურ ძლიერებაზე მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური მომენტია. ამ დროს უკვე ოჯახი მქონდა. როცა ჩემმა მეუღლემ თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ჩაბარება გადაწყვიტა და საბუთების მომზადებასა და ვარჯიშს შეუდგა, მეც დავინტერესდი. გამოცდებამდე ერთი თვე იყო დარჩენილი. დილაუთენია ვდგებოდი, დავრბოდი, ვვარჯიშობდი, აზიდვებს ვაკეთებდი. შემდეგ იყო კარანტინი, რომელსაც ბევრმა ბიჭმა ვერ გაუძლო. ხშირად ღამით 30-40 კილომეტრი მარშით გაგვფლია. ასე ალკაზმულები პაპანაქება სიცხეში, ცხელ ასფალტზე ვვარჯიშობდით. 30 გოგონადან მხოლოდ 6-მა გავიარეთ კარანტინი. შემდეგ კი თავდაცვის ოფიცრის ერთწლიანი საკარიერო კურსები გავიარე და ლეიტენანტის წოდებაც მივიღე.

სამსახურის მომხრეთა და მოწინააღმდეგეების არგუმენტები.

მომხრეებს მოჰყავთ ქალ-მებრძოლთა უამრავი მაგალითი და ამტკიცებენ, რომ ქალებს მამაკაცების დონეზე შეუძლიათ სამხედრო სამსახური. მამაკაცთან შედარებით ფიზიკური სისუსტის მიუხედავად, ქალი უფრო გამძლეა, უფრო იოლად ეგუება დატვირთვას. ექსპერტების აზრით, ქალს უფრო კარგად აქვს განვითარებული პერიფერიული მხედველობა. მისი მხერის კუთხე თითქმის 180 გრადუსს აღწევს, რაც საშუალებას აძლევს უფრო ფართოდ მოიცვას გარემოს ყველა დეტალი. ქალს ძალზე განვითარებული ინტუიცია აქვს. დეტალებისადმი ბუნებრივი ინტერესის წყალობით ქალი მამაკაცზე დაკვირვებულია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მამაკაცისგან განსხვავებით, ქალის ტვინის ორივე ნახევარსფერო ერთდროულად მუშაობს და ერთდროულად რამდენიმე საქმის გაკეთება შეუძლია. ქალი უფრო ყურადღებიანია და შეუძლია ერთ ადგილზე დიდხანს ყოფნა. სწორედ ამ თვისებების წყალობით ქალისგან კარგი სნაიპერი დგება (მეორე მსოფლიო ომის სახელგანთქმულმა სნაიპერმა ლიუდმილა პავლიჩენკომ 309 ფაშისტი, თითქმის ერთი ბატალიონი, სიცოცხლეს გამოასალმა. აფხაზეთში მდინარე გუმისთასთან ქართველებმა მოკლეს აფხაზების ქართველი ქალი-სნაიპერი. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს რუსი ჯარისკაცები ლეგენდებს ჰყვებოდნენ ბალტიისპირელ ქალ სნაიპერებზე, ე.წ. „თეთრი კოლგოტებზე“).

სუსტი სქესი შეუცვლელია მეკავშირის, ოპერატორისა და სამედიცინო პერსონალის თანამდებობებზე. ბრიტანელი ფელდმარშალ მონტგომერის თქმით, „ვერც ერთი სანიტარი მამაკაცი ვერ მოუვლის დაჭრილსა და ავადმყოფს ისე, როგორც ქალი“, ამიტომ ფელდმარშალი სანიტარი ქალების მოწინავე ხაზზე ყოფნა აუცილებლად მიაჩნდა.

ქალების სამხედრო სამსახურის მოწინააღმდეგეთა არგუმენტებიც ვნახოთ. ბრიტანელი სამხედრო ექიმების კვლევის მიხედვით, 1998 წელს, როდესაც ბრიტანეთის შეიარაღებულ ძალებში ქალებისთვის შემუშავდა წვრთნების უფრო მსუბუქი კურსი, ისინი მამაკაცებზე 3-ჯერ უფრო ხშირად იღებდნენ სხვადასხვა ტიპის ტრავმებს. მას შემდეგ, რაც 1999-2000 წლებში სამხედრო სამსახური და დატვირთვა გათანაბრდა, ქალთა ტრავმატიზმმა 6-ჯერ გადააჭარბა მამაკაცებისას. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ ქალთა ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს არა მარტო ვარჯიშები, არამედ სამხედრო ცხოვრების წესიც. მაგალითად, მწყობრში ქალებმა მამაკაცების ნაბიჯებს უნდა აუწყონ ფეხი, რაც ნაბიჯის სიგრძისა და ამპლიტუდის გაზრდას მოითხოვს. ამის გამო უვითარდებათ ფეხის კუნთების დაჭიმულობა და ეწყებათ ტკივილი ზურგის არეში. იმის გამო, რომ მამაკაცთა და ქალთა კუნთოვანი მასა მნიშვნელოვნად განსხვავდება, თანაც ქალთა ზედა კუნთები 20-30%-ით სუსტია ქვედაზე, სალაშქრო აღჭურვილობა, შეიარაღება და ამუნიცია, რომლის ზიდვა მამაკაცისთვის პრობლემას არ წარმოადგენს, ქალის კუნთებისთვის დამატებითი ტვირთია. შეიძლება მავანმა თქვას, რომ კუნთების დაყენება ინტენსიური ვარჯიშითაც შეიძლება, მაგრამ საქმე სხეულების საერთო მასის განსხვავებასა და ქალის კუნთების უფრო ვიწრო

## ქალი არმიაში

სულ რაღაც ორ თვეში კი ომიც დაიწყო. იარაღი ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ ყველაზე დიდი გამოცდილება კარანტინის დროს მივიღე. თვალს მოვხუჭავდით თუ არა, სერჟანტი ცდილობდა, იარაღი წაერთმია, ამოწმებდნენ, რამდენად ფხიზლად ვიყავით. ხშირად ამბობენ, ქალები კარგი მსროლელები არიანო, მაგრამ უკეთ ის ისვრის, ვინც კარგად არის მომზადებული. მითი, რომ ქალს სროლის დროს ხელი არ აუკანკალდება, სისულელეა, მაგრამ ქალს ომში მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. 8 აგვისტოს, როცა მტერი უკვე ინტენსიურ საჰაერო იერიშზე გადმოვიდა, ათეულობით თვითმფრინავმა ერთდროულად გადმოკვეთა საჰაერო სივრცე. გამიმართლა და იმ დღეს რუსული საფრენ აპარატს რაკეტა მოვარტყი. უფლება არ მაქვს, დავასახელო იმ იარაღის სახელი, რითაც მოიერიშეებს ვაგდებდი. მაშინ მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი: მიზნისთვის არ ამეცილებინა და ბრძანება უშეცდომოდ შემესრულებინა.

**თამუნა გასიტაშვილი,** სნაიპერი:

— მართალია, პედაგოგი ვარ, მაგრამ უწინაც და დღესაც, მხოლოდ სამხედრო ფორმაში მესახებოდა და მესახება საკუთარი თავი. ვიყო ჯარისკაცი — ამისთვის ვარ დაბადებული. ყველაზე მეტად სნაიპერობა მომწონს. თავიდან, როცა ვაზიანის სამხედრო ნაწილში კადრების განყოფილებაში მივედი, უარით გამომისტუმრეს. მაინც არ დავიშალე. ბრიგადის სერჟანტი დაჟინებით მიხსნიდა, ჯარისკაცობა დიდ ფიზიკურ და სულიერ გამძლეობას მოითხოვს და ეს ქალისთვის ძნელიაო. შემდეგ სამანდატო კომისიაში, ბრიგადის მეთაურისა და შტაბის წევრების წინაშე წარვდექი. ისინიც მარწმუნებდნენ, ჯარისკაცური ცხოვრების სიმძიმეს ვერ გაუძლებო. მაგრამ კატეგორიულად განვაცხადე, მირჩევნია, მციოდეს და მშიოდეს, ვიღლებოდე ვარჯიშისგან, ძილი და დასვენება მენატრებოდეს, მაგრამ საყვარელ საქმეს ვემსახურებოდე-მეთქი. საბოლოოდ მაინც ჩემს სასარგებლოდ გადაწყვიტეს საქმე. ყველა პირადი ნივთი ჩამომართვეს და პირდაპირ კარანტინში გამიშვეს. ეს იყო ყველაზე ბედნიერი დღე ჩემს ცხოვრებაში. დილის 6 საათზე ვდგებოდი და ჩემს ასეულთან ერთად გავდიოდი წვრთნას. მიჭირდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი. მთელი დღე, ხანმოკლე შესვენებებით, თაკარა მზის გულზე ვვარჯიშობდით. ერთხელაც სიცხემ და უწყლობამ თავისი ქნა — თვალთ დამიბნელდა და გონება დავკარგე. მაშინვე ექიმს უხმეს. თავიდან ეგონათ, რთული პირობების გამო გავხდი ცუდად და სამხედრო სამსახურისთვის თავის დანებება მირჩიეს, მაგრამ მოვსულიერდი თუ არა, მაშინვე ჩემს ასეულს დავუბრუნდი. კარანტინში მყავდა სერჟანტი ბაქრაძე, პროფესიონალი სნაიპერი იყო და ხშირად მარიგებდა, სნაიპერობა ყველაზე რთული პროფესიაა სამხედრო საქმეში და მისი დაუფლებისთვის ურთულესი კურსების



გავლა მოგიწევს, რომელიც დიდ ნებისყოფას, მოთმინებასა და გამძლეობას მოითხოვსო. ძალიან მკაცრი იყო, არაფერი გამოეპარებოდა. მუშტებით აზიდვების დროს მე ქვიშიან ადგილს ვირჩევდი, ხელები რომ არ მტკენოდა, მიხვდა და კენჭები დამიყარა, — თუ გინდა, რამეს მიაღწიო, ვარჯიშის დროს იოლი გზა არ უნდა ეძებოო. საბოლოოდ, მეოთხე ბრიგადის საშტაბო ასეულში მსროლელად მიმიღეს. ყაზარმაში გამამწესეს, მომცეს ფორმა და მოძველებული, თითქმის უვარგისი, მაგრამ ჩემთვის მაინც საოცნებო იარაღი — AK-47 იყო, რომლის ნომერი ახლაც მახსოვს. ჩვენი ასეული ხშირად გადიოდა ყარაულში. ერთ დღეს ასეულის მეთაურმა, უფროსმა ლეიტენანტმა გეწაძემ მკითხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოჭკოებშია, თანაც კუნთის ზრდას ხელს უწყობს ჰორმონები, რომლებიც მამაკაცებს 10-ჯერ მეტი აქვთ. რა თქმა უნდა, ამ ფემინიზაციის ეპოქაში ქალები თამაშობენ რაგბის, არიან მოკრივეები, მოჭიდავეები, მძიმეწონოსნები... მაგრამ არსებობს ერთი „მაგრამ" — ისინი ეჯიბრებიან ქალებს, ხოლო საბრძოლო მოქმედებები ქალთა და კაცთა ბრძოლად ჯერჯერობით არავის დაუყვია. ჯარი შექმნილია მამაკაცთა ფიზიოლოგიური თავისებურებების გათვალისწინებით. ქალებს სხვა ტიპის ჰიგიენური გარემო სჭირდებათ. გარდა ამისა, მამაკაცს შეუძლია წყლიან სანგარში კვირაობით იჯდეს და ბრძოლისუნარიანობა შეინარჩუნოს, ქალი კი რამდენიმე დღის შემდეგ სამკურნალო გახდება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შერეულ ქვედანაყოფებში საბრძოლო მარაგი და დატვირთვა განისაზღვრება მთელ დანაყოფზე ამოცანისა და არა სქესის მიხედვით. თუკი ქალი ვერ შეძლებს ტვირთის ტარებას ან ამოცანის შესრულებას, ის უნდა გადანაწილდეს სხვა მებრძოლებზე, რაც მათ გადაჭარბებულ გადაღლას და ბრძოლისუნარიანობის დაქვეითებას იწვევს. ვინაიდან ქალებისთვის დედობის უფლება არავის აუკრძალავს, დეკრეტული შვებულებებითა და ბავშვის ავადმყოფობის გამო დათხოვნის უფლებით უამრავ პრობლემას უქმნიან მეთაურებსა და თანამებრძოლებს. შემთხვევითი არ არის, რომ აშშ-ისა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში ქალ სამხედრო მოსამსახურეებს პირველი საჯარისო კონტრაქტის პერიოდში არ აქვთ გათხოვებისა და ბავშვის გაჩენის უფლება. კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს არგუმენტს მინდა გავუსვა ხაზი: კერძოდ, ყველაზე საშინელ ღამის კოშმარშიც კი არ შეიძლება დაგესიზმროს ის საშინელი დამცირება და წვალება, რაც შეიძლება მიაყენონ ტყვედ ჩავარდნილ ქალ სამხედრო მოსამსახურეს მოწინააღმდეგის, განსაკუთრებით გასამხედროებული ფორმირებების მებრძოლებმა.

ჩემი აზრით, ქალებს აქვთ სრული უფლება, იმსახურონ სამხედრო ნაწილებში, თუმცა ვფიქრობ, მათი თანამდებობები უნდა იყოს სპეციფიკური და არასაბრძოლო. საქართველოს პირობებისთვის აუცილებლად გასათვალისწინებელია ეროვნული მენტალიტეტი, ფსიქოლოგიური და ფსიქიკის ტიპი, ტრადიციები. ქართველი ქალი უფრო მდგრადია ხანგრძლივი, ქრონიკული სტრესების მიმართ, უფრო ადვილად ეჩვევა გაჭირვებას, მწუხარებას, ადვილად ექვემდებარება პანიკას. შესაბამისად, ქალების წინა ხაზზე იარაღით ხელში გაშვება არ მიმაჩნია მართებულად (ეს შეიძლება ნაწილობრივ არ ეხებოდეს სნაიპერებს, რომელთა ქმედება მოითხოვს წყნარ ხასიათსა და ხანგრძლივი ლოდინის უნარს). რა თქმა უნდა, არიან გამონაკლისები, თუმცა ისინი ისეთივე იშვიათობაა, როგორც კულტურისტი ქალი. ქართულ შეიარაღებულ ძალებში სამხედრო სამსახურის მსურველი ქალებისთვის ყოველთვის მოიძებნება მეკავშირეების, ოპერატორების, მედიკოსების, სანიტრებისა და სხვა სპეციალისტების ადგილები შტაბებში, საბრძოლო მხარდაჭერის უზრუნველყოფისა და ლოგისტიკის დანაყოფებში, თუმცა ნამდვილად არ მინდა ბავშვების მოვლა, სამზარეულოში ტრიალი ქართველი კაცების საზრუნავი გახდეს.

*ვახტანგ კაპანაძე*

## ქალი არმიაში

თუ შევძლებდი ასეულის მორიგედ გასვლას. ყველაზე ბედნიერი ვიყავი მაშინ, როცა ჯავშანჟილეტსა და ჩაფხუტში გამოწყობილი პოლიგონზე სროლაში სავარჯიშოდ მივდიოდი. ჩემი ბედნიერება 2008 წლის გაზაფხულზე დასრულდა. ჯერ იყო და, მეთაურობა შეიცვალა, ახალმა ასმეთაურმა კი ვერ გააცნობიერა, რომ მე იქ ჯარისკაცი ვიყავი და არა ქალი და კაბინეტურ სამუშაოზე დამიპირა გადაყვანა. იმავე პერიოდში შეიარაღებულ ძალებში საკადრო ცვლილებები დაიწყო და შემცირებაში მეც მოვყევი. იმ დღიდან ძალღონე არ დამიშურებია, რომ ისევ ჯარში დავბრუნებულიყავი, მაგრამ ამაოდ... ზაფხულში ავადსახსენებელი ომი დაიწყო სამაჩაბლოში. მაშინვე კომისარიატში გავიქეცი, მოხალისეთა რიგებში მინდოდა ჩაწერა. კომისარი არ დამხვდა. ამაოდ ვცდილობდი მასთან დაკავშირებას. თავდაცვის სამინისტროშიც მივედი, ვისაც კი ვიცნობდი, ყველა შევაწუხე, იქნებ დამეხმაროთ და ომში გამიშვათ-მეთქი, მაგრამ არაფერი გამოვიდა...

**ნინო კეკელიძვილი,** სერჟანტი, სამხედრო პილოტი:

— უკვე წლებია, რაც სამხედრო საქმეს ვემსახურები. ავიაციაში პილოტობამდეც ვმუშაობდი, მთავარ დეპარტამენტში, ოპერატიულ განყოფილებაში. როცა შევიტყვე, რომ სამხედრო ავიაციაში ქალების მიღება დაიწყეს, შესარჩევ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. ჯერ შვეულმფრენებით დავიწყე, შემდეგ თვითმფრინავებზეც დაგვიშვეს. 2007 წელს ჯერ ნატახტარში 4-თვიანი სასწავლო კურსები გავიარეთ, უკრაინულ ულტრამსუბუქ X-32 „ბეკასზე" გვავარჯიშებდნენ. ამ კურსის გავლის შემდეგ 22-კაციანი ჯგუფი უკრაინაში წაგვიყვანეს, სადაც რვათვიანი თეორიული კურსი დავამტავრეთ. იქ საშტურმანო მომზადება გავიარეთ, გვიკითხავდნენ ლექციებს ნავიგაციაში, აეროდინამიკასა და სხვა საგნებში. გვასწავლიდნენ ჩეხური წარმოების L-39 Albatros-ის პილოტირებას. საქართველოში 2008 წლის მაისში დავბრუნდით. რუსეთ-საქართველოს ომის დროს კონკრეტული საბრძოლო ბრძანება არ გვქონია. ამისთვის ჯერ მზად არ ვიყავით. ასე რომ, საბრძოლო ნათლობა არ მიმიღია... მე იმ საქმეს ვემსახურები, რომელისკენაც წლების განმავლობაში მივილტვოდი, თუმცა, როცა ამ პროფესიის უარყოფით მხარეზე ვსაუბრობ, მაინც რისკფაქტორს დავასახელებდი. ფაქტობრივად, სიცოცხლეს ყოველდღიურად საფრთხეში ვიგდებ. რაც შეეხება სირთულეებს, სანამ სწავლობ, ყველაფერი რთული გეჩვენება. ძნელია დატვირთულ დღის რეჟიმთან შეგუება, მაგრამ ჩემთვის დღემდე ყველაზე რთული მაინც დაჯდომაა.



ყველა პროფესია დასაფასებელია, მაგრამ სამხედრო საქმე, ალბათ, მაინც გამორჩეულია. არა აქვს მნიშვნელობა, პილოტი იქნები თუ რიგითი ქვეითი, როცა სამშობლოს ემსახურები და მის სადარაჯოზე დგახარ, ეს უკვე პრივილეგიაა. ჩემთვის ჩემი პროფესია ნომერი პირველია ყველა სხვა პროფესიას შორის. ძალიან სასიამოვნოა გამოცდილ პილოტებთან მუშაობა. ისე, ამბობენ, პილოტს იუმორის დიდი გრძნობა უნდა ჰქონდეს, თუ იუმორით არ შეხედა თავის საქმეს, გაუჭირდებაო.

*ლალი პაპასკირი*


„მსოფლიო დეტექტივების სერია"
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან" ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
ცნობილი ავტორები,
კლასიკა და
ბესტსელერები
ჟორჟ სიმენონი
ბუალო – ნარსეჟაკი
ეჯი ედიგეი
ფრედ ვარგასი
ედგარ ალან პო
ჯონ ლე კარე
ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
27388

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯან-უკრაინა-სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთობლივი მოდერნიზაციის შედეგი — შვეულმფრენი Ми-24G

## აზერბაიჯანი

● თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრომ გასულ წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება 3,2-ჯერ გაზარდა და ძალოვან სამინისტროებთან 82 მლნ მანათის ხელშეკრულებები გააფორმა. იმავდროულად, წარმოებულია 19,3 მლნ მანათის სამოქალაქო პროდუქცია. სამინისტრო 2005 წელს შეიქმნა და 413 დასახელების პროდუქციას აწარმოებს.

● იგეგმება უკრაინასთან შვეულმფრენების ერთობლივი წარმოება. ასეთი წინადადებით მიმართა უკრაინის პრემიერმა ნიკოლაი აზაროვმა პრეზიდენტ ილჰამ ალიევს და მისგან სიტყვიერი დასტური მიიღო. 2006-07 წლებში უკრაინამ აზერბაიჯანს 14 ავიაგამანადგურებელი МиГ-29 სათადარიგო ნაწილებსა და საბრძოლო საშუალებებთან ერთად მიჰყიდა. უკრაინა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ერთად აზერბაიჯანული Ми-24G-ის მოდერნიზაციაში მონაწილეობს.

● 1-ელ ნოემბერს აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ სომხური მხარე გააფრთხილა, რომ მიღწეულ ურთიერთშეთანხმებათა დაუცველობის შემთხვევაში აზერბაიჯანი საპასუხო ცეცხლს გახსნის. ამის მიზეზი გახდა 31 ოქტომბრის შემთხვევა, როცა სომხებმა აზერბაიჯანის არმიის ჯარისკაცი დაჭრეს. ეს პირველი შემთხვევაა მას შემდეგ, რაც 27 ოქტომბერს რუსეთის პრეზიდენტ დმიტრი მედვედევის თაოსნობით ასტრახანში აზერბაიჯანისა და სომხეთის პრეზიდენტები შეხვდნენ ერთმანეთს.

● მომავალი წლიდან აზერბაიჯანული წარმოების სანადირო თოფები ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება. პირველ რიგში ეს იქნება 12 და 16 კალიბრის სანადირო თოფები. ამჟამად თავდაცვითი მრეწველობის სამინისტრო 16 კალიბრის მასრებს ამზადებს და მისი ექსპორტი რუსეთიდან შეჩერებულია.

● განაჩენი გამოუტანეს სამხედრო-საჰაერო ძალებისა და საჰაერო თავდაცვის ძალების ყოფილი სარდლის, გენერალ-ლეიტენანტ რაილ რზაევის ყოფილ ხელქვეითებს. გენერლის მკვლელობის შემდეგ მისმა თანაშემწემ აიდინ რაფიევმა და ადიუტანტმა ანარ გაშიმოვმა გენერლის კაბინეტიდან ძვირფასეულობა და 200 ათასი ევრო გაიტანეს. სასამართლომ აიდინ რაფიევს 9, ხოლო ანარ გაშიმოვს კი 7 წელი მიუსაჯა. მოკლული გენერლის ქურთუკის მითვისებისათვის აიდინ რაფიევის შვილი — ანარ რაფიევი საპყრობილეში შვიდნახევარ წელს გაატარებს. გენერალი ავტომობილში ჩაცხრილეს და მისი მკვლელები დღემდე დაკავებული არ არიან.

## სომხეთი

● თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა მედლებით „ვაზგენ სარქისიანი“ და „ადმირალი ისაკოვი“ უფროსი პრაპორშჩიკი არტურ არაქელიანი და კონტრაქტით მომსახურე ჰენრიხ მანუკიანი დააჯილდოვა. მანუკიანმა



ასტრახანში პრეზიდენტების შეხვედრა ცეცხლის შეწყვეტას არ შველის

# მიმოხილვა...

გმირობა სამხედრო სამსახურის დროს ჩაიდინა, ხოლო არაქელიანმა კი ადამიანი დაღუპვას გადაარჩინა.

● მე-4 საარმიო კორპუსის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი გრიშა ხაჩატუროვი (შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსის გენერალ-პოლკოვნიკ იური ხაჩატუროვის შვილი) თანამდებობიდან გადადგა. ამის მიზეზი გახდა მისი მეგობრის, ერთ-ერთი ნაწილის მეთაურის ვარდან მარტიროსიანის დაკავება, რომელსაც სამხედრო მოსამსახურეებისაგან ფულის უკანონო შეგროვებაში ადანაშაულებენ. მარტიროსიანი ჯარისკაცებს კრედიტების აღებაში ეხმარებოდა. ადრე ამ ნაწილის მეთაური პოლკოვნიკი გრიშა ხაჩატუროვი იყო.

● ჩატარდა სამოქალაქო თავდაცვის სამეთაურო-საშტაბო სწავლება თემაზე — „ქალაქ ერევანზე მოულოდნელი თავდასხმის შემთხვევაში სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაცია-რეალიზაციის ღონისძიებები“. სწავლებისას დამუშავებული ამოცანები თავდასხმის დროს დაზიანებულ სტრატეგიული და სამოქალაქო ობიექტებისათვის დახმარების აღმოჩენას შეეხებოდა. სამოქალაქო თავდაცვის სამედიცინო სამსახურმა და სახანძრო ქვედანაყოფებმა გაითამაშეს მოქმედებები ამიაკით დატვირთული ავტომობილისა და სამგზავრო ავტობუსის დაჯახების დროს, ხანძრის ლოკალიზაცია „ზვარტნოცის“ აეროპორტში და სხვ.

● 2 ნოემბერს თავდაცვის მინისტრი სეირან ოგანიანი შეხვდა დაღუპული არტაკ ნაზარიანისა და სამველ ხაჩატრიანის ახლობლებს. ლეიტენანტმა ნაზარიანმა 27 ივლისს სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, ხოლო რიგითმა ხაჩატრიანმა 3 ოქტომბერს ყაზარმის სარდაფში თავი ჩამოიხრჩო. მინისტრის თქმით, პირველ საქმესთან დაკავშირებით 4 პირია დაკავებული, ხოლო მეორის გამო პატიმრობაში 7 სამხედროა აყვანილი.

● სომხეთის არმიის ასეულმა, რომელიც მონაწილეობდა 12-29 ოქტომბერს რუსეთში ჩელიაბინსკის მახლობლად „ჩებარკულის“ პოლიგონზე სწავლება „ურთიერთქმედება-2010“-ში საბრძოლო სროლაში საუკეთესო შედეგისათვის თასი დაიმსახურა.

● გიუმრიში რუსული სასაზღვრო ნაწილის დასასვენებელ ოთახში საკონტრაქტო სამსახურის ორი სამხედრო მოსამსახურის — რუსეთის მოქალაქეების, 27 წლის არმენ ზახარიანისა და 39 წლის არტურ ენოკიანის ცხედრებია ნაპოვნი. გამოძიებას რუსეთის შესაბამისი სამსახურები აწარმოებენ.

## ჩრდილო კავკასია

● ყოფილი ბოევიკების სამოქალაქო ცხოვრებაში ადაპტირებისათვის დაღესტნის პრეზიდენტმა მაგომედსალამ მაგომედოვმა კომისია შექმნა. ამ საქმეში ყოფილ ბოევიკებს შინაგან საქმეთა და უშიშროების ფედერალური სამსახურების ადგილობრივი ხელმძღვანელები, რელიგიური მოძრაობის წარმომადგენლები დაეხმარებიან. დაღესტანი მრავალრიცხოვანი ტერაქტებით გამოირჩევა. რესპუბლიკის ტერიტორიაზე სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად 16 ბოევიკია მოკლული.

● რუსეთის გენპროკურორის მოადგილის ივან სიდორუკის თქმით, სამხრეთის ფედერალურ ოლქში კორუფციას ფესვები ღრმად აქვს გადგმული და ამის გამო ბოევიკები იარაღს, ძირითადად, იქ განლაგებულ სამხედრო ნაწილებში იღებენ. მისივე ინფორმაციით, გასულ წელთან შედარებით ექსტრემისტული ხასიათის დანაშაული 4-ჯერ გაიზარდა და 352-ს მიაღწია, საიდანაც 254 ჩეჩნეთში მოხდა. გავლილ 9 თვეში ჩრდილო კავკასიაში 400 ბოევიკია ლიკვიდირებული, ხოლო მართლწესრიგისა და სამხედროების მხრიდან 209 კაცია მოკლული და 489 კი დაჭრილი.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● 27-29 ოქტომბერს მორიგი საბატალიონო ტაქტიკური სწავლება საბრძოლო სროლების შესრულებით ჩატარდა. გენშტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, პოლკოვნიკ ასლან ანქვაბის თქმით, სწავლების თემა იყო „მოწინააღმდეგის საზღვაო დესანტის მოგერიება“.

● საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზას ყოველკვირეული გაზეთი „იუჟნი რუბეჟი“ შეემატა, რომლის რედაქტორია თადარიგის პოლკოვნიკი იგორ მელნიკოვი.

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● 26 ოქტომბერს საოკუპაციო რეჟიმმა სამ სადამკვირვებლო პოსტზე საინჟინრო ნაგებობათა მშენებლობა დაასრულა და უახლეს დროში კიდევ ორი პოსტისათვის მსგავს ნაგებობათა დასრულება არის დაგეგმილი. ე.წ. „სამხრეთის მიწაყრილის“ შექმნით რუსები ცხინვალის საქართველოსაგან იზოლირებას, ხოლო ადამიანებისა და ტრანსპორტის გადაადგილებისათვის ხელის შეშლას ცდილობენ.

● ადგილობრივი რეჟიმის ე.წ. თავდაცვის სამინისტრომ სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილებს საკომპენსაციო თანხა 14-დან 108 ათასი რუბლი გადაუხადა. სავარაუდოდ, დათხოვნილ სამხედროებს სამსახურითაც უზრუნველყოფენ.

### ყარაბაღი

● 25 ოქტომბერს ყარაბაღის არმიის სამხედრო მოსამსახურე 20 წლის არუტ გრიგორიანი ყარაბაღ-აზერბაიჯანის შეხების ხაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთზე სროლის დროს დაიღუპა.




გუდაუთაში საოკუპაციო ჯარების მე-7 ბაზას გაზეთი დაემატა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვის აფრთხილებენ უცნობი ტერორისტები



(დასასრული)

### პროვოკაციები საქართველოში

საბჭოთა კავშირი კარგა ხანია „მიიცვალა“, ამჟამად მისი სპეცსამსახურების „ღირსეული“ მემკვიდრეები რუსეთის სპეცსამსახურები არიან, რომლებიც იმავე მეთოდებით ცდილობენ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა შორის შუღლის ჩამოგდებას.

ალბათ, ყველას ახსოვს გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს თბილისში ებრაელთა სასაფლაოს დარბევის რამდენიმე შემთხვევა. მაშინ ეს დანაშაულები გაუხსნელი დარჩა, დამნაშავეებს ხელჩასაჭიდი კვალი არ დაუტოვებიათ, ჩანდა, რომ პროფესიონალების ნამოქმედართან გვქონდა საქმე.

ქართველთა და სომეხთა შორის შუღლის გაღვივებას ისახავდა მიზნად 2005 წელს ახალქალაქსა და ახალციხეში პროვოკაციული პროკლამაციების გავრცელება. ანტისომხურ მუქარაშემცველ პროკლამაციებს მითური „ახალციხის განმათავისუფლებელი ბრიგადა“ აწერდა ხელს. საზოგადოდ, პროვოკატორებს პატარა ნაპერწკალი სჭირდებათ, რომ შემდგომ დიდ ცეცხლზე „მოითბონ ხელი“. სამწუხაროდ ეს ფაქტებიც რეაგირების გარეშე დარჩათ ჩვენს სპეცსამსახურებს. ბოლო წლებში კი შედარებით „უწყინარი“ პროკლამაციები ტერაქტებმა და დივერსიებმა შეცვალა.

### გაუხსნელი აფეთქებების მოკლე ქრონიკა

2009 წლის 2 ივნისიდან 2010 წლის 22 ოქტომბრის ჩათვლით საქართველოში ათამდე აფეთქება მოხდა და ყველა სტრატეგიული ობიექტების მახლობლად. ეს ტერაქტები უსწრაფესად გაახმოვანეს რუსეთის მედიასაშუალებებმა და მთელ მსოფლიოს მოსდეს.

2009 წლის 2 ივნისს, გამთენიისას, ხობი-ზუგდიდის რკინიგზის მონაკვეთზე, სოფელ ინგირთან აფეთქება მოხდა, დაზიანდა რკინიგზის ლიანდაგის ექვსმეტრიანი მონაკვეთი. ორი საათის შემდეგ აქ თბილისი-ზუგდიდის სამგზავრო მატარებელს უნდა გაევლო. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ მინები ჩაიმსხვრა რამდენიმე ათეული მეტრით დაშორებულ შენობებში.

2009 წლის 11 ივნისს გამთენიისას ზუგდიდში სამი აფეთქება მოხდა. აფეთქდა ზუგდიდის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდგარი სატვირთო შემადგენლობის ერთ ვაგონში. დაშავდა რკინიგზის ელექტრიკოსი.

მეორე აფეთქება რამდენიმე საათის შემდეგ მოხდა ისევ რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე, ნაგვის ყუთში.

მესამედ ზუგდიდის ქაღალდკომბინატის ტერიტორიაზე იქვე არსებული პოლიციის შენობის წინ მდგარი სატვირთო ავტომობილი აფეთქდა. 2009 წლის 21 ოქტომბერს ღამით ფოთთან ახლოს აფეთქდა რკინიგზის შემადგენლობა, რომელსაც ნავთობპროდუქტები გადაჰქონდა. გადაბრუნდა 12 ვაგონი, დაიღვარა ნავთობი.

2010 წლის 21 სექტემბერს ღამით, თბილისში, აშშ-ის საელჩოსთან მძლავრი აფეთქება მოხდა.

ორი კვირის შემდეგ, 7 ოქტომბერს, ფოთი-სენაკის მაგისტრალის ჭალადიდის მონაკვეთზე აღმოაჩინეს წებოვანი ლენტით შეფუთული ნატურალური წვენის ყუთი.

2010 წლის 22 ოქტომბერს, თბილისის რკინიგზის სადგურის მახლობლად ორი აფეთქების ხმა გაისმა. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა.

აშშ-ის საელჩოსთან ორი ასაფეთქებელი მოწყობილობა ტკბილეულის ყუთებში იყო მოთავსებული. მათგან მხოლოდ ერთი აფეთქდა, რომლის ძალა 1,5 კგ ტროტილის ეკვივალენტს აჭარბებდა. მეორე ასაფეთქებელი მოწყობილობა ქართველმა გამნაღმველებმა გააუვნებლეს.

ყუთში 2 კგ-მდე ჰექსოგენის ნარევი იყო, რომელშიც ამფეთქი იყო ჩამონტაჟებული. შენელებული მოქმედების ამფეთქი გარემოს ტემპერატურის შესაბამისად, მომართვიდან რამდენიმე ათეულ წუთში ან საათში ფეთქდება, რაც საშუალებას აძლევს თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობის დამდებს დროულად გაეცალოს აფეთქების ადგილს.

საქართველოს რკინიგზის ჭალადიდის მონაკვეთზე აღმოჩენილი ასაფეთქებელი მოწყობილობის განაღმვისა და დეტალურად შესწავლის შემდეგ გაირკვა, რომ ყუთში მოთავსებული იყო 2 კგ-მდე ჰექსოგენის ნარევი, რომელიც შეყოვნებითი მოქმედების ამფეთქით უნდა აფეთქებულიყო.

საინტერესოა, რომ ჭალადიდთან ნაპოვნი ასაფეთქებელი მოწყობილობა ძალიან ჰგავდა დილომში, აშშ-ის საელჩოსთან ნაპოვნ მოწყობილობას, რომელიც არ აფეთქებულა. ორივე მათგანში ასაფეთქებელი ნივთიერება ჰექსოგენის ნარევი იყო, ამფეთქებლადაც ერთი ტიპის შენელებული მოქმედების ქარხნული წარმოების ამფეთქი იყო გამოყენებული.

22 ოქტომბერს, დილით, თითქმის ერთსაათიანი ინტერვალით, ბორჯომის ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე ორი აფეთქების ხმა გაისმა. აფეთქებებმა, საბედნიეროდ, კვლავ უმსხვერპლოდ ჩაიარა. ამან ხალხი გვარიანად შეაშფოთა და ამით აფეთქებების ავტორებმა მიზანს მიაღწიეს — საზოგადოებისა და სამართალდამცველების ყურადღება მიიქციეს.

ეს ტერაქტები (სხვანაირ კვალიფიკაციას ნამდვილად ვერ მივცემთ) ჯერაც გაუხსნელია. საფიქრებელია, რომ ჩვენი ქვეყნის დასავლეთისკენ სწრაფვა კიდევ უფრო გაახშირებს პროვოკაციებს, რისთვისაც უფრო მეტი მობილიზება დასჭირდებათ საქართველოს შესაბამის სტრუქტურებს.

ამ ტერაქტით ჩვენი „მეგობრები“ მიზნად ისახავდნენ მსოფლიოს გასაგონად კიდევ ერთხელ განეცხადებინათ, რომ „საქართველო არშემდგარი სახელმწიფოა“. საყურადღებოა, რომ თითქმის პარალელურად ორი ტერაქტი მოხდა თბილისიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით – ბელორუსიაში. ორივე შემთხვევაში ხელწერა იგივე იყო. ბელორუსიაში ტერაქტების შემკვეთად ექსპერტების უმრავლესობამ რუსეთის სპეცსამსახურები დაასახელა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

## მოსკოვი ლუკაშენკოს ჩამოგდებას ცდილობს

რუსეთ-ბელორუსიის ბოლოდროინდელი დაპირისპირება უკვე გასცდა ფარულ ომს და ყველას დასანახად იფეთქა. რუსეთის ხელისუფლება გაღიზიანებას ვერ მალავს ლუკაშენკოს სიჯიუტის გამო. ჯერჯერობით ბელორუსიის პრეზიდენტი უფრო მეტ გონიერებას იჩენს, ვიდრე მისი ვენესუელელი და ნიკარაგუელი კოლეგები, და არ ჩქარობს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების დამოუკიდებლობის ცნობას. სწორედ ეს არის დაპირისპირების მთავარი მიზეზი. საინტერესოა, რომ რუსეთში ჩატარებული ერთ-ერთი სოციოლოგიური გამოკითხვის თანახმად რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობა ალექსანდრ ლუკაშენკოს წინააღმდეგ არის განწყობილი. ამგვარია ტელევიზიაში, ელექტრონულ და ბეჭდვით მედიაში რუსული „პროპაგანდისტულ-დეზინფორმაციული მანქანის“ მოქმედების შედეგი. თუმცა არც ის არის დასამალი, რომ მრავალსაუკუნოვანი პროპაგანდისტული მუშაობის შედეგად „მესიანური ფანტაზიები“ რუსი საზოგადოების ყველა ფენაშია ღრმად გამჯდარი. იქნება ის ხელისუფლების, ინტელეგენციის წარმომადგენელი თუ „მუჟიკი“, ყველა თვლის, რომ ახალი ტერიტორიების დაპყრობის (მათი აზრით, „ნებაყოფლობითი შემოერთების“) შედეგად მათ „მისიონერული გმირობა“ ჩაიდინეს: ფიზიკურ განადგურებას გადაარჩინეს და „კულტურა შეიტანეს“ სლავებსა თუ არასლავებში, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის ხალხებში, შუა აზიისა და სამხრეთ კავკასიის ერებში. ამგვარი მიდგომის ცინიზმი იმაში მდგომარეობს, რომ ამ ერებს, როგორც წესი, გაცილებით დიდი კულტურული, რელიგიური და სახელმწიფოებრიობის ისტორია ჰქონდათ, ვიდრე შედარებით ახალგაზრდა რუს ერს.

ბელორუსიაში კი საპრეზიდენტო არჩევნები 2010 წლის 19 დეკემბრისთვის არის დანიშნული და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი ყველაფერს იღონებს, რათა „ამბოხებული“ ლუკაშენკო პრეზიდენტი ვეღარ გახდეს. ამისთვის კი შედარებით „მშვიდობიან“ მეთოდებთან ერთად „აქტიურ ღონისძიებებსაც“ მიმართავენ.

ორიოდე თვის წინ მსოფლიო საინფორმაციო არხებით გავრცელდა ცნობა, რომ რუსეთის ხელისუფლება ლუკაშენკოს ლიკვიდაციას გეგმავს, რისთვისაც რუსეთში შეიქმნა სრულიად საიდუმლო სპეციალური ჯგუფი, რომელსაც დავალებული აქვს ლუკაშენკოს სალიკვიდაციო გზების მოძებნა: ავტოსაგზაო ან ავიაკატასტროფის მოწყობა, მოწამვლა ან რომელიმე ხალხმრავალ წინასაარჩევნო ღონისძიებაზე ტერაქტის ორგანიზება. ეს ყველაფერი კი ბელორუსიის ოპოზიციას დაბრალდება.

ამ ინფორმაციაში სენსაციური და დაუჯერებელი არაფერია, თუ რუსეთის სპეცსამსახურების მოქმედების მეთოდებს გავიხსენებთ.

## კვლავ საბჭოთა მეთოდები

პროვოკაციების მოწყობის „ხელოვნება“ რუსეთის სპეცსამსახურებს მემკვიდრეობით ერგოთ „ბოროტების იმპერიის“ — საბჭოთა კავშირის — სპეცსამსახურებისგან. ამის დასადასტურებლად შემოგთავაზებთ ციტატას ყოფილი საბჭოთა სამხედრო მზვერავის, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში გაქცეული ვიქტორ სუვოროვის ერთ-ერთი წიგნიდან.

### მცირე დოსიე:

ვიქტორ სუვოროვი (სუვოროვი ლიტერატურული ფსევდონიმია, ნამდვილი გვარია რეზუნი) 1947 წელს დაიბადა. დაამთავრა კიევის უმაღლესი სამხედრო საერთო-საჯარისო სამეთაურო სასწავლებელი. წლების მანძილზე იყო სამხედრო ოლქის სადაზვერვო სამმართველოს ოფიცერი.

1970 წლიდან იგი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის მთავარი სადაზვერვო სამმართველოს (გე-ერ-უ) ოფიცერია. 1974 წელს დაამთავრა სამხედრო-დიპლომატიური აკადემია. იმავე წელს მიავლინეს გე-ერ-უს ჟენევის რეზიდენციაში.

1978 წელს გაიქცა დიდ ბრიტანეთში. საბჭოთა კავშირის მთავარი სამხედრო პროკურატურის მოთხოვნით დაუსწრებლად მიესაჯა დახვრეტა. ეს განაჩენი დღესაც ძალაშია.

ვიქტორ სუვოროვმა ძალზე საინტერესო დოკუმენტური წიგნი დაწერა საბჭოთა კავშირის სამხედრო დაზვერვაზე („აკვარიუმი“), სადაც ამ სპეცსამსახურის მოქმედების მეთოდები მაქსიმალურად ზუსტადაა აღწერილი. გვინდა მკითხველს ამ წიგნიდან ერთი ამონარიდი შევთავაზოთ. ის ასახავს, თუ როგორ გეგმავდა გე-ერ-უ პროვოკაციებს საბჭოთა კავშირში ეროვნებათაშორის შუღლის გასაღვივებლად.

სამხედრო დაზვერვის ოფიცერს (რომელიც ავტორის, ვიქტორ სუვოროვის პროტოტიპია) მისი უშუალო მეთაური, გე-ერ-უს პოლკოვნიკი ამგვარ დავალებას აძლევს: „კიშინიოვში უნდა ჩახვიდე. იმგზავრე მხოლოდ სატვირთო მატარებლით, მხოლოდ ღამით. კიშინიოვში არის პედაგოგიური ინსტიტუტი. ღამით მის კედელზე დაწერ ლოზუნგს: „ნაციონალიზმის დონე ინსტიტუტში საშუალოზე მაღალია“. შენ მოლდავური არ იცი, ამიტომ ტექსტი ზეპირად დაიმახსოვრე და რამდენჯერმე დაწერე. ლოზუნგი 15-20 სანტიმეტრის ასოებით უნდა დაწერო. ეს საკმარისი იქნება, რომ მოლდავეთის კა-გე-ბეს თავმჯდომარე თანამდებობიდან გაათავისუფლონ“. ეს პროვოკაცია იმდენად მოლდავეთის კა-გე-ბეს თავმჯდომარის წინააღმდეგ კი არ იყო მიმართული, რამდენადაც ამ რესპუბლიკაში ეროვნებათაშორისი შუღლის დასათესად. ათწლეულების შემდეგ რუსეთის სპეცსამსახურები იყენებდნენ და დღესაც იყენებენ პროვოკაციისა და დეზინფორმაციის ამ მეთოდებს.

## ვინ დგას ტერაქტების და დივერსიების უკან

ბოლო დროს საქართველოში გახშირებული ტერაქტებისა და დივერსიების ორგანიზატორად რუსეთის სპეცსამსახურები რომ ვივარაუდოთ, არავის არ უნდა გაუკვირდეს. აბა, სხვას ვის აძლევს ხელს ჩვენი ქვეყნის შეუმდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა?

უნდა ვივარაუდოთ, რომ ტერაქტებისა და დივერსიების მთავარი მიზანი ჩვენს საზოგადოებაში ურთიერთდაპირისპირების გამწვავება, საქართველოს ხელისუფლების შანტაჟირება და დესტაბილიზაციის გამოწვევაა. მოსალოდნელია, პროვოკაციები მომავალშიც გაგრძელდეს. ამ ვითარებაში კი საქართველოს სპეცსამსახურების „ოლიმპიური სიმშვიდე“, მართლაც რომ გასაკვირია. არ არის გამორიცხული, პროვოკაციები ჩვენმა მტერმა სულ მალე ხელისუფლებისა და ოპოზიციის დასაპირისპირებლადაც გამოიყენოს. მიაღწევენ თუ არა საწადელს, დრო გვიჩვენებს, თუმცა ყველაფერი მაინც ჩვენს კეთილგონიერებაზე იქნება დამოკიდებული.

**ბესიკ ალადაშვილი**

*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*



# რუსეთის ავიაცია — რეალობა და პერსპექტივები

საბჭოთა კავშირის დაშლის დროისთვის ამ ქვეყანას მსოფლიოში ყველაზე მრავალრიცხოვანი სამხედრო-საჰაერო ძალები და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები ჰყავდა. დიდი საავიაციო პარკის შენახვა 90-იანი წლების დასაწყისში მძიმე ეკონომიკური ვითარების გამო შეუძლებელი იყო. დაიწყო სამხედრო-საჰაერო ძალების შემცირება, რაც დღემდე გრძელდება. 1991 წლისთვის საბჭოთა სამხედრო-საჰაერო ძალები 211 საავიაციო პოლკსა და 14000-ზე მეტ თვითმფრინავს ითვლიდა, მათ შორის — დაახლოებით 7000 საბრძოლოს, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ავიაცია კი — 70 პოლკსა და 3000 საბრძოლო თვითმფრინავს. კიდევ 5000 შვეულმფრენი სახმელეთო ჯარების განკარგულებაში არსებულ საარმიო ავიაციას ჰყავდა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთს საავიაციო პარკის 40% და პირადი შემადგენლობის 65% დარჩა. ახლა ის პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, რომლის განკარგულებაშიც სტრატეგიული ბომბდამშენებია. ამასთან, დამოუკიდებლობა გამოცხადებულ ბევრ სახელმწიფოს არ ჰქონდა მის ტერიტორიაზე დარჩენილი თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების შენახვის თავი და ნაწილი ისევ რუსეთს დაუბრუნდა.

რუსეთის სამხედრო ავიაცია 1992-98 წლებში მასშტაბურად შეამცირეს, ყველა მოძველებული ტიპის საფრენი აპარატები ჩამოწერეს. ჯართად არა მხოლოდ მოძველებულ თვითმფრინავებს ჭრიდნენ, — გერმანიიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ, იქ არსებულ უამრავ МиГ-27-ისა და Су-17 ტიპის





ალჟირელების დაწუნებული МиГ-29СМТ-ები რუსი მფრინავებისთვის ნამდვილი საჩუქარი იყო




გამანადგურებელ-ბომბდამშენებს, რომელთა ნაწილის საფრენოსნო რესურსი ნახევრადაც არ იყო ამოწურული, აკონსერვებდნენ, ნაწილს კი ჭრიდნენ. საავიაციო პოლკების რაოდენობა თითქმის სამჯერ, 281-დან 102-მდე შემცირდა. 1995 წლისთვის სავსებით შეწყდა რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის თვითმფრინავების სერიული წარმოება. 1992-დან 1995 წლამდე რუსებმა შეიარაღებაში მხოლოდ 132 თვითმფრინავი და 64 შვეულმფრენი მიიღეს. შედარებისთვის: 2009 წელს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალმა ალექსანდრ ზელინმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ საბჭოთა პერიოდში ყოველწლიურად შეიარაღებაში 400-600 თვითმფრინავსა და შვეულმფრენს იღებდნენ.

1998 წლისთვის თავდაცვის ბიუჯეტიდან სამხედრო-საჰაერო ძალებზე მხოლოდ 9% მოდიოდა, რის გამოც იმ წელს საფრონტო ავიაციის მფრინავებ-ის საშუალოდ მხოლოდ 20 სთ ჰქონდათ ნაფრენი. ამასთან, დაბალი ხელფასებისა და ცუდი საყოფაცხოვრებო პირობების გამო საფრენოსნო და ტექნიკურმა შემადგენლობებმა სამსახურები მასობრივად მიატოვეს. სარემონტო და ახალი ნაწილების შესაძენად თანხების უქონლობის გამო, გაუარესდა საავიაციო ტექნიკის მდგომარეობა. სახსრების დაზოგვის მიზნით სამხედრო-საჰაერო ძალები და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარები გააერთიანეს და პარალელურად შემცირება დაიწყეს. ერთი წლის შემდეგ, „ახალი“ სამხედრო-საჰაერო ძალების პირადი შემადგენლობა 318000 კაცის ნაცვლად მხოლოდ 192000-ს ითვლიდა, საავიაციო პარკის რიცხვი კი თითქმის განახევრდა. უსახსრობის გამო რეზერვში მეოთხე თაობის გამანადგურებლების МиГ-29-ებისა და МиГ-31 და Су-27-ების გადაყვანაც დაიწყეს.

სამხედრო-საჰაერო ძალებში კრიზისულ ვითარებაზე რუსი სამხედრო მაღალჩინოსნები უკვე საჯაროდ ლაპარაკობენ. 2003 წლის ბოლოს ბალტიის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების სარდალმა, გენერალ-მაიორმა ვიქტორ სოკერინმა თანამდებობის დატოვებაზე პატაკი დაწერა და თავის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურა ასე დაახასიათა: „ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში საბრძოლო ავიაციის უკონტროლო რღვევა მიდის. საავიაციო პოლკები დაკომპლექტებულია ოფიცრებით, რომლებსაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მხოლოდ რამდენიმე ათეული საათი აქვთ ნაფრენი და ისიც უმეტესად ინსტრუქტორებთან ერთად. ბალტიის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების საფრენოსნო შემადგენლობის მხოლოდ 1-ელი და მე-2 კლასის მფრინავების 3%-ის ასაკი 36 წელზე ნაკლებია, შტურმანებისა — 40 წელზე, ახალგაზრდა კადრების საერთო რაოდენობა მხოლოდ 1%-ია. ეკიპაჟების მეთაურების 60%-ის ასაკი კი 35 წელზე მეტია“. სარდალი სავსებით მართალი იყო.

რუსეთის საფრენოსნო შემადგენლობის ასაკს რომ თავი დავანებოთ, კატასტროფულად არის შემცირებული ფრენების ხანგრძლივობა და რაოდენობა. 1990-დან 1995 წლამდე საფრონტო ავიაციაში ფრენების საშუალო ხანგრძლივობა 100 სთ-დან 13 საათამდე შემცირდა. 2006 წლის მონაცემებით კი ფრენის საშუალო ხანგრძლივობამ მხოლოდ 40 სთ შეადგინა. ეს მაჩვენებელი ავიაციის სახეობაზეა დამოკიდებული და სამხედრო-სატრანსპორტოს შემთხვევაში — 60 სთ, საგამანადგურებლოში

**ჩვენი დოსიე:**

მოდიფიკაცია — **МиГ-29СМТ**

თვითმფრინავის: სიგრძე – 17,32მ

სიმაღლე – 4,73მ

ფრთის გაქანი – 11,36მ

წონა: ცარიელის – 11600კგ

ნორმალური ასაფრენი – 16850კგ

მაქსიმალური ასაფრენი – 21000კგ

ძრავას ტიპი: ორი ტურბორეაქტიული ფორსირებული – **РД-33**

წევის ვექტორის გადახრის სიჩქარე — 60°/წმ

წევა – 2x8300კგძალა

მაქსიმალური სიჩქარე: მიწასთან – 1500კმ/სთ

სიმაღლეზე – 2450კმ/სთ

მაქსიმალური სიჩქარე ფორსაჟის გარეშე — 1300 კმ/სთ

პრაქტიკული ჭერი – 18000მ

ფრენის მანძილი დიდ სიმაღლეზე — 2200 კმ

ეკიპაჟი – 1 კაცი

საბრძოლო დატვირთვა 7 საკიდზე — 4000 კგ

**უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შემცირების დინამიკა**

| | 1991 წელი | 1995 წელი | 1999 წელი | 2009 წელი |
|---|---|---|---|---|
| პირადი შემადგენლობა | 318000 | – | 192000 | 148000 |
| პოლკების რაოდენობა | 221 | 102 | 85 | 72 |
| საფრენი აპარატების რაოდენობა | 14000 | – | თითქმის 7000 | თითქმის 4000 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



მრავალფუნქციური გამანადგურებელი Су-35С



კი მხოლოდ 20-25 სთ შეადგინა. შედარებისთვის: 2006 წლის განმავლობაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში იგივე მაჩვენებელმა 189 სთ, საფრანგეთში — 180 სთ, რუმინეთში კი 120 სთ შეადგინა.

რა თქმა უნდა, სამხედრო-საჰაერო ძალების მდგომარეობა საფრენოსნო შემადგენლობის მომზადებისა და პროფესიონალიზმის გარდა, მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საავიაციო პარკზეც. დღეს ზოგიერთი თვითმფრინავი რუსეთს უფრო მეტი დაკონსერვებული ჰყავს, ვიდრე შეიარაღებაში. მაგალითად, МиГ-29 — 266 შეიარაღებაშია, 300 — დაკონსერვებული; МиГ-31 — 188 შეიარაღებაშია, 200 — დაკონსერვებული, Су-27 — 302 შეიარაღებაშია, 100 — დაკონსერვებული; Ту-22М3 — 124 შეიარაღებაშია, 90 — დაკონსერვებული.



მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლისთვის სამხედრო დანიშნულების საფრენი აპარატების წარმოება უკვე ოთხი წლის განმავლობაში შეჩერებული იყო, საკონსტრუქტორო ბიუროები თავიანთი სახსრებით ცდილობდნენ ტექნიკის მოდერნიზაციას. ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობდა ახალი გამანადგურებლების: МиГ-29М, МиГ-31М, Су-27М, Су-30 და მოიერიშეების Су-25Т/ТМ გამოცდა. იყო მათი სერიულ წარმოებაშიც ჩაშვების მცდელობაც, მაგრამ უშედეგოდ. სერიულ წარმოებამდე მხოლოდ რამდენიმე საფრენმა აპარატმა მიაღწია, ყველა მათგანზე ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში დაიწყეს მუშაობა, ან საბჭოთა პერიოდში შექმნილი თვითმფრინავების მოდიფიკაციები იყო. მათ შორისაა გამანადგურებლები МиГ-29СМТ და Су-35С, ბომბდამშენი Су-34, სასწავლო თვითმფრინავი Як-130, დამრტყმელი შვეულმფრენები Ка-50, Ка-52, Ми-28. თუმცა ჩამოთვლილი საავიაციო ტექნიკიდან პირველი სამი უკვე არსებულის მოდიფიკაციაა.

საკმაოდ საინტერესოა მოდერნიზებული МиГ-29СМТ-ის ისტორია, რომელსაც მიქოიანის საკონსტრუქტორო ბიურო აქტიურად უკეთებს რეკლამას. მასზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო და ციფრული ელექტრონული შიგთავსის გამოყენებას ისახავ-

**ჩვენი დოსიე**

მოდიფიკაცია — **Су-35С**
თვითმფრინავის: სიგრძე — 21,95მ
სიმაღლე — 5,92მ
ფრთის გაქანი — 14,75მ
წონა: ცარიელის — 19000კგ
ნორმალური ასაფრენი — 25500კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 38800კგ
ძრავის ტიპი: ორი ტურბორეაქტიული ფორსირებული — **АЛ-41Ф1С**
წევის ვექტორის გადახრის სიჩქარე — 60°/წმ
წევა: მაქსიმალური — 2x8800კგძალა
ფორსაჟზე — 2x14500კგძალა
მაქსიმალური სიჩქარე: მიწასთან — 1400კმ/სთ
სიმაღლეზე — 2500კმ/სთ
მაქსიმალური სიჩქარე ფორსაჟის გარეშე — 1300 კმ/სთ
პრაქტიკული ჭერი — 19000მ
ფრენის მანძილი დიდ სიმაღლეზე — 3600 კმ
ეკიპაჟი — 1 კაცი
საბრძოლო დატვირთვა 12 საკიდზე — 8000 კგ

და მიზნად. პარალელურად გაიზარდა შეიარაღების ნომენკლატურა და საწვავის მოცულობა. ახალი თვითმფრინავის პლანერზე „9-17“, ფიუზელაჟის ზემოთ ორი დამატებითი საწვავის ავზი განათავსეს, წინა — 1400 ლ-იანი და უკანა — 480 ლ-იანი. ახალ თვითმფრინავში მთავარი მაინც ელექტრონიკა იყო. მფრინავის კაბინაში ორი ფერადეკრანიანი თხევადკრისტალური დისპლეი დამონტაჟდა, თუმცა, როგორც ჩანს, რუსები მათ არ ენდობიან და დისპლეებს

МиГ-35-ის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ინდური ტენდერის შედეგებზეა დამოკიდებული






**მიუხედავად იმისა, რომ M-346 წმინდა სასწავლო თვითმფრინავის კონცეფციით შეიქმნა და Як-130-ისგან განსხვავებით არ შეუძლია დარტყმითი ამოცანების შესრულება, ეს იტალიური „კლონი“ რუსულ თვითმფრინავს ბაზარზე მაინც დიდ კონკურენციას უწევს**

შორის ტრადიციული ანალოგიური მოწყობილობებიც არის. თვითმფრინავის ელექტრონიკას ღია არქიტექტურა აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ მასზე როგორც რუსული, ასევე დასავლური წარმოების ელექტრონიკის განთავსება შეიძლება. თუმცა რუსეთი კარგა ხანია ელექტრონიკასა და მიკროსქემებს საფრანგეთში ყიდულობს, რადგან ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქაში, როცა ქვეყანას გაცილებით დიდი სამრეწველო რესურსები ჰქონდა, წარმოებული ელექტრონიკის ხარისხი არც ისე მაღალი იყო. მოკლედ, ჩამორჩენა დასავლეთთან შედარებით ამ სფეროში კოლოსალური იყო. საბჭოთა პერიოდში ამის თაობაზე ანეკდოტიც არსებობდა: „ერთი საბჭოთა ინჟინერი მეორეს ეკითხება: — როდის დავეწევით იაპონიას მიკროელექტრონიკის სფეროში? — ვერასდროს, ჩვენკენ სირბილითაც რომ გამოიქცეს“. ასე რომ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთმა ორიენტაცია დასავლეთზე აიღო და ციფრული ტექნიკის შეძენა თვითმფრინავებისთვის იქ დაიწყო. მგალითად, МиГ-29СМТ-ის ცეცხლის მართვის სისტემა CLDP-CT ფრანგული ფირმა Thompson-CSF-ის შექმნილია. ის სპეციალურ კონტეინერშია მოთავსებული და ლაზერული დამიზნების იარაღისთვისაა განკუთვნილი. რა თქმა უნდა, თხევადკრისტალური დისპლეებიც ფრანგულია. საბაზო ვარიანტთან შედარებით, თანამედროვე ელექტრონული სისტემების გამოყენების წყალობით ინდიკატორების რაოდენობა 30-დან 16-მდე, მართვის ორგანოებისა კი — 193-დან 136-მდე შემცირდა.

ყველა ამ გაუმჯობესების წყალობით რუსეთი მსოფლიო ბაზარზე МиГ-29СМТ-ს აქტიურ რეკლამას უწევდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, ზედმეტი მოუვიდა და მალე სამხედრო-ეკონომიკურ და შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ სკანდალშიც გაეხვია. 2006 წლის მარტში რუსეთსა და ალჟირს შორის 28 МиГ-29СМТ-სა და 6 МиГ-29УБ-ს შესყიდვაზე 1.286 მლრდ დოლარის ოდენობის კონტრაქტი გაფორმდა. როდესაც შემკვეთმა პირველი 15 გამანადგურებელი მიიღო, დიდი სკანდალი დაიწყო. ალჟირელებმა თვითმფრინავებზე უარი თქვეს, რადგან მათ ახლების ნაცვლად ძველი და ნახმარი დეტალები ჰქონდა დაყენებული. თავიდან რუსები ყველაფერს ფრანგებს აბრალებდნენ, რომლებიც ალჟირს МиГ-ების სანაცვლოდ „მირაჟებს“ სთავაზობდნენ, მაგრამ ფაქტს ვერსად გაექცეოდნენ და რუსებმა აღიარეს, რომ ალჟირისთვის მიყიდულ МиГ-ებზე ნახმარი დეტალები და კვანძები იყო დაყენებული. МиГ-29 რუსეთში სერიულად კარგა ხანია აღარ იწარმოება და შესაბამისად, ახალი დეტალებიც ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა?! ის, რასაც რუსები „ღრმა მოდერნიზაციას“ უწოდებენ, მოძველებული თვითმფრინავის გადაკეთებაა და არა ახლის წარმოება. ალჟირელების გასაჩუმებლად რუსებმა მათ იმავე ფასად სუპერთანამედროვე МиГ-35/35Д შესთავაზეს (შესაბამისად, ერთ და ორადგლიანი თვითმფრინავები). თუმცა ესეც დაცინვაა — МиГ-35 სერიულად არ იწარმოება, 2009 წელს საგამოცდოდ მხოლოდ 10 თვითმფრინავი გამოუშვეს. ნიჟნი-ნოვგოროდის ქარხანა „სოკოლი“ მათ წარმოებას მხოლოდ 2013-14 წლებში გეგმავს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავი 126 გამანადგურებლის შეძენაზე გამოცხადებულ ინდურ ტენდერში გაიმარჯვებს. რაც შეეხება მის შესაძლებლობებს, მწარმოებლის ინფორმაციის თანახმად, მასზე არსებულ ფაზირებულცხაურიან რადიოლოკაციურ სადგურ Жук-А-ს საჰაერო სამიზ-

**ჩვენი დოსიე**

მოდიფიკაცია — Як-130

თვითმფრინავის: სიგრძე – 11,49მ

სიმაღლე – 4,76მ

ფრთის გაქანი – 9,72მ

წონა: ცარიელის – 4500კგ

ნორმალური ასაფრენი – 6350კგ

მაქსიმალური ასაფრენი – 9000კგ

ძრავის ტიპი: ორი ტურბორეაქტიული – РД-35

წევა – 2х2000კგძალა

მაქსიმალური სიჩქარე – 1000კმ/სთ

პრაქტიკული ჭერი – 12500მ

მოქმედების საბრძოლო რადიუსი — 1315 კმ

ეკიპაჟი – 2 კაცი

საბრძოლო დატვირთვა 6 საკიდზე — 3000 კგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

Як-130-ის წინა და უკანა (მარცხენა ფოტო) კაბინები





ნის აღმოჩენა 148 კმ-ზე და ერთდროულად 30 სამიზნის გაცილება შეუძლია. საესკადრო ნაღმოსნის აღმოჩენის დისტანცია 250 კმ-ია. მისი საბრძოლო დატვირთვა 10 საკიდზე 6500 კგ-ია და მრავალფეროვანი არსენალი აქვს. რუსეთი ამ სუპერთანამედროვე მრავალფუნქციური თვითმფრინავის შექმნაზე ჯერჯერობით თავს იკავებს.

ალჟირთან საქმის გაფუჭებამ МиГ-ს კოლოსალური — 320 მლნ დოლარის ზარალი მიაყენა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ გამოძიება ეფ-ეს-ბემ დაიწყო. ასეთივე შემთხვევა 2005-2006 წლებშიც მოხდა, როდესაც რუსები პოლონელებისთვის ვადაგასული და ნახმარი დეტალების მიყიდვას ცდილობდნენ. მაქინატორებმა აიღეს ძველი დეტალები, ხელახლა შეღებეს, გააყალბეს საბუთები და სცადეს 3 მლნ დოლარად მიეყიდათ პოლონელებისთვის. სწორედ იგივე გაუკეთეს ალჟირსაც. ეს სკანდალი ვლადიმირ პუტინისთვის სილის გაწვნის ტოლფასი იყო. მართალია, ფუჭ დეტალებთან მას კავშირი არა აქვს, მაგრამ 2006 წელს სწორედ მან მოაწერა ხელი კონტრაქტს ალჟირში ვიზიტის დროს.

გამანადგურებლების დაბრუნების შემდეგ, მათი შეძენა გადაწყვიტა რუსეთმა და 24 გამანადგურებელში 25 მლრდ რუბლი გადაიხადა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ რუსეთის შეიარაღებაში არსებული МиГ-29-ების მესამედი ჯართში ჩასაბარებლად თუ ივარგებს, ეს 24 თვითმფრინავი რუსი მფრინავებისთვის ნამდვილი საჩუქარია.

2008 წლის 17 ოქტომბერს რუსეთში МиГ-29 ჩამოვარდა, მაშინ პილოტმა მოასწრო კატაპულტირება, თუმცა 5 დეკემბერს მომხდარი კიდევ ერთი ინციდენტის დროს მფრინავი დაიღუპა. როგორც გამოძიებამ დაადგინა, მიზეზი თვითმფრინავის კუდის ფრთასხმულობის ძალური ელემენტების კოროზია იყო. სიძველის გამო კონსტრუქციამ ვერ გაუძლო საჰაერო დატვირთვებს და დაიშალა. 2009 წლის 4 თებერვლისთვის ჰაერში აფრენის ნებართვა ამ ტიპის თვითმფრინავების პარკის მხოლოდ 30%-ს მისცეს. ამ თვითმფრინავის პლანერის რესურსი 2.5 ათას საფრენოსნო საათს, ანუ 20 წელს შეადგენს. შარშანდელი მდგომარეობით კი ექსპლუატაციაში არსებული თვითმფრინავების უმეტესობის ასაკმა 25 წელს გადააბიჯა. თვითმფრინავები ჰაერში სიძველისგან იშლება.

2009 წლის მონაცემებით, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების განკარგულებაში 270 ამ ტიპის თვითმფრინავია, კიდევ 40 ცალი საზღვაო ფლოტის ავიაციას ჰყავს. თუმცა მათი უმეტესობა უკვე დიდი ხანია აღარ დაფრინავს. ნაწილების უკმარისობის გამო ტექნიკური პერსონალი მათ ბაზებშივე შლის და მოხსნილ ნაწილებს მოქმედ თვითმფრინავებზე აყენებს.

რუსეთის საგამანადგურებლო ავიაციის ერთადერთი იმედი მრავალმიზნობრივი გამანადგურებელი Су-35-ია, რომელიც „4++" თაობას მიეკუთვნება. ეს უკანასკნელი Су-27-ის მოდიფიკაციაა და ჰაერში პირველად ჯერ კიდევ 1988 წელს აფრინდა. მოდერნიზაციის მიზანი თვითმფრინავზე წინა ჰორიზონტალური ფრთასხმულობის დაყენების ხარჯზე მანევრირების გაზრდა იყო. 90-იანი წლების პირველ ნახევარში 12 პროტოტიპი აშენდა. შემდგომ პროგრამა Су-37-ის სასარგებლოდ დახურეს, რომელზეც ცვლადი წევის ვექტორის ძრავები გამოიყენებოდა. 2005 წელს Су-35С-ის პროგრამა განახლდა. თვითმფრინავით რუსეთის თავდაცვის სამინისტრო დაინტერესდა და სუხოის ფირმას მისი სერიულ დონემდე მიყვანა დაევალა. 2010-15 წლებში რუსეთი 48 ასეთი თვითმფრინავის შეძენას გეგმავს, თითოს ღირებულება 40 მლნ დოლარია. თუმცა, საკითხავია, რას შეცვლის 48 ცალი თუნდაც უახლესი ტექნოლოგიებით შექმნილი თვითმფრინავი რუსეთის სამხედრო ავიაციაში, როდესაც საავიაციო პარკის ნაწილს აფრენაც კი არ შეუძლია, რომ არაფერი ვთქვათ საბრძოლო დავალების შესრულებაზე.

რაც შეეხება თავად თვითმფრინავს, „ძველი" Су-35-სგან განსხვავებით, მას არა აქვს წინა ჰორიზონტალური ფრთასხმულობა. თუმცა „ახალ" ვარიანტში აქცენტი მანევრირებიდან ელექტრონიკაზეა გადატანილი. მის კაბინაში სამი თხევადკრისტალური ფერადი დისპლეია დამონტაჟებული, აქედან ორი — მოწყობილობათა დაფაზე. МиГ-29СМ-ისგან განსხვავებით მასზე არც ერთი ანალოგიური მოწყობილობა არ გამოიყენება. თვითმფრინავზე დღეისთვის არსებული ყველაზე ძლიერი პასიური, ან-

ტენის ფაზირებულცხაურიანი რადიოლოკაციური სადგური Ирбис-ი გამოიყენება, რომელსაც 1მ²-ის ტოლი ფართობის განფანტვის ეფექტური ზედაპირის მქონე სამიზნის აღმოჩენა 300 კმ-ზე შეუძლია. ძრავებად გამოიყენება საწვავის აალების პლაზმური და ვერტიკალურ სიბრტყეში წევის ვექტორის მართვის სისტემის მქონე АЛ-41Ф1, რომლის საშუალებითაც ზებგერით სიჩქარეზე ფრენა ფორსაჟული რეჟიმის გამოუყენებლადაც შეიძლება.

საბრძოლო-სასწავლო Як-130-ის სახით რუსეთმა მართლაც რომ თანამედროვე თვითმფრინავი შექმნა. ის სავსებით აკმაყოფილებს დღეისთვის მსოფლიო ბაზარზე არსებულ მოთხოვნებს. ის პირველი რუსული სამხედრო თვითმფრინავი იყო, რომელიც მთლიანად ციფრული ბორტის კონცეფციის გამოყენებით შექმნეს, მაგრამ რუსებს იალლიში მაინც მოუვიდათ, რის გამოც ამ თვითმფრინავებს მსოფლიო ბაზარზე ზუსტად მათივენაირი იტალიური კონკურენტი ჰყავს.

ყველაფერი კი ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, 1990 წელს დაიწყო, როცა მოძველებული ჩეხოსლოვაკიური L-39-ების შესაცვლელად ისეთი სასწავლო თვითმფრინავის შექმნა გადაწყდა, რომელიც მახასიათებლებით მე-4 თაობის გამანადგურებლების გვერდით თუ არა, 1-2 საფეხურით დაბლა იდგებოდა. მალე კონკურსი გამოცხადდა და მასში მონაწილეობა მესიჩევის, სუხოის, მიქოიანისა და იაკოვლევის ფირმებმა მიიღეს. პროტოტიპების შექმნამდე მხოლოდ უკანასკნელი ორი მივიდა. თავდაპირველად 1200-1400 თვითმფრინავის აშენება იგეგმებოდა, რომლებსაც 2000 „ალბატროსი“ უნდა ჩაენაცვლებინათ, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ ამ გეგმას წერტილი დაუსვა და მზარდი ეკონომიკური კრიზისის გამო იაკოვლევისა და მიქოიანის ფირმებმაც დასავლელი პარტნიორების დამოუკიდებლად ძებნა დაიწყეს. პროექტმა МиГ-АТ ფრანგების ყურადღება მიიქცია და რუსებს მასზე Turbomeca-ს ძრავებისა და Thompson-ის ავიონიკის დაყენება შესთავაზეს, Як-130-მა კი იტალიურ Aermacchi-ზე მოახდინა შთაბეჭდილება და ისინი ამ პროექტით დაინტერესდნენ, მაგრამ მასში ფულის ჩადებას არ ჩქარობდნენ და თვითმფრინავის პირველ აფრენას ელოდნენ.

მალე ნათელი შეიქნა, რომ იტალიელ და რუს შემკვეთებს სრულიად სხვადასხვა თვითმფრინავის მიღება სურდათ. რუსები ევროპული მაკომპლექტებლების გამოყენებაზე უარს ამბობდნენ, იტალიელები კი, თავის მხრივ, დსთ-ის სივრცეში წარმოებულ დეტალებს არ ენდობოდნენ. მალე იტალიურ-რუსულ მეგობრობას ბზარი გაუჩნდა და საბოლოოდ პარტნიორები თვითმფრინავის საბაზო ვერსიის შექმნაზე შეთანხმდნენ, შემდგომ კი ყოველი მხარე მის ბაზაზე საკუთარ პროექტს შექმნიდა. თუმცა რუსებისთვის ეს წამგებიანი იყო, რადგან თვითმფრინავი მხოლოდ მათი საინჟინრო რესურსებით შეიქმნა, სამაგიეროდ მათ ფული და თვითმფრინავის სერიულ წარმოებამდე მიყვანის იმედი გაუჩნდათ. სიმართლე ითქვას, იტალიელებს თვითმფრინავის პლანერის ტექნიკურ დოკუმენტაციაში 1 ცენტიც კი არ გადაუხდიათ. იმ პერიოდში რუსეთს იტალიის ვალი ჰქონდა და მისი დაქვითვა სწორედ ნახაზების ღირებულებით მოხდა. ასე გაჩნდა M-346, რომელსაც იტალიელები დღეს აქტიურ რეკლამას უწევენ.

რუსებმა, როგორც იქნა, შეძლეს თვითმფრინავის სერიულ წარმოებამდე მიყვანა. ეს პროცესი 2008 წელს დაიწყო, მას ნიჟნი-ნოვგოროდის ქარხანა „სოკოლი“ უშვებს. ამ თვითმფრინავის უპირატესობა ის არის, რომ მას მართვის ციფრული კომპლექსური სისტემა აქვს. თვითმფრინავის მდგრადობისა და მართვადობის სხვადასხვა მახასიათებლის წყალობით, მასზე სხვადასხვა თვითმფრინავის საფრენოსნო მახასიათებლების იმიტირება შეიძლება. მის ორივე კაბინაში სამ-სამი თხევადკრისტალური დისპლეია და არც ერთი ანალოგიური მოწყობილობა.

პირველი 4 თვითმფირნავი რუსებმა 2009 წელს მიიღეს, 2015 წლამდე კი კიდევ 62 ცალის შეძენა იგეგმება. თუმცა ეს აშკარად ცოტაა. დღეისთვის რუსეთს 300-ზე მეტი „ალბატროსი“ ჰყავს, რომელთა ნაწილი ნაკლებსავარაუდოა, ჰაერში აფრინდეს. თუმცა მფრინავების მომზადების დონეზე ეს არ იმოქმედებს, რადგან არსებული 12 სამხედრო-საფრენოსნო სასწავლებლიდან რუსეთში დღეს მხოლოდ სამი ფუნქციონირებს.

*თემურ პულუზაშვილი*



**რუსეთი მეხუთე თაობის ПАК ФА-ზე დიდ იმედს ამყარებს, მისი სერიული წარმოების დაწყების შესახებ გეგმა ოპტიმისტურია**


COBRA
არსენალი

# თურქული ტანკები



ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.

„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის, ინდოეთის ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში პაკისტანელთა მიღწევებზე გიამბობთ...



პირველი თურქული ჯავშანავტომობილი Hotchkiss M1909

ჩვენი სამხრეთული მეზობლის თურქეთის არმიის შეიარაღებაში პირველი ჯავშანავტომობილები საკმაოდ ადრე — 1910 წელს გამოჩნდა. მაშინდელი სამხედრო მინისტრის — წარმოშობით ჩეჩნის, მაჰმუდ შევქეთ ფაშას (მისივე ინიციატივით 1911 წელს საფუძველი ჩაეყარა თურქეთის სამხედრო-საჰაერო ძალებს) მონდომებით არმიამ ფრანგული Hotchkiss-ის ოთხი დაჯავშნული, 1909 წლის მოდელის ავტომობილი შეიძინა.

1912 წელს ალბანელები აჯანყდნენ და მაშინ თურქეთის არმიამ აჯანყებულების წინააღმდეგ ჯავშანავტომობილები გამოიყენა და რამდენიმე კიდევაც დაკარგა.

**Hotchkiss M1909**: მასა — 3 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, კარბურატორიანი ძრავა — 30-ცხ.ძალიანი, ჯავშანი — 5 მმ, შეიარაღება — 8 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;



ჯავშანავტომობილი БА-6

გამოიყენა თუ არა პირველ მსოფლიო ომში თურქეთმა დაჯავშნული ავტომობილები, ამის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება, მაგრამ არმიას ნაალაფარი ტექნიკა რომ ჰყოლოდა, სავსებით შესაძლებელია.

ომში დამარცხებულ თურქეთს 1919 წლის სევრის ხელშეკრულებამ დაჯავშნული საბრძოლო მანქანების ყიდვა-წარმოება აუკრძალა.

ამის გამო 1920 წელს ქემალ ათათურქმა საფრანგეთის წარმომადგენელს, ფრანკლინ ბუიონს (ეს პიროვნება მონაწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯავშანტექნიკის წარმოების ერთ-ერთი ევროპული ლიდერი

ილეობდა სევრის ხელშეკრულების მომზადებაში) შემდეგი სიტყვებით მიმართა: „სევრის შეთანხმება თურქეთის რესპუბლიკისათვის იმდენად გამანადგურებელი და სასიკვდილო განაჩენია, რომ ჩვენ მოვითხოვთ მისი დასახელება არ წარმოითქვას იმათი პირით, რომლებიც ახლა ამბობენ, რომ ჩვენი მეგობრები არიან".

ათათურქის ნათქვამმა, ეტყობა, საფრანგეთზე ზემოქმედება მოახდინა, რადგან თურქეთს პირველი ტანკები საფრანგეთმა მიაწოდა.

1919 წლის 5 მაისს საბერძნეთ-თურქეთის ომი დაიწყო და ბერძნების დასახმარებლად საფრანგეთიდან გაიგზავნა მე-5 სატანკო ბატალიონი, რომელიც „რენოს" FT-17 ტიპის მსუბუქი ტანკებით იყო დაკომპლექტებული.

ბატალიონი 1920 წლის მაისიდან 1921 წლის მარტამდე თურქებს ებრძოდა, მათ შორის — სირიის საზღვრების ახლოს, სადაც ერთი ასეული ტყვედ ჩავარდა.

სინამდვილეში კი ათათურქთან საიდუმლო შეთანხმების საფუძველზე ფრანგებმა თურქებს ერთი სატანკო ასეული (იმდროინდელი ფრანგული არმიის სატანკო ასეული შტატით 23-25 ტანკს ითვლიდა) გადასცეს, რითაც პარიზმა თურქების კეთილგანწყობა მოიპოვა და იმავდროულად ინგლისელთა გეგმისათვის ხელის შეშლას შეეცადა.

ტანკებმა ბერძნებთან ომში თურქებს არცთუ მცირე დახმარება გაუწია. გადარჩენილი ტექნიკა 1928 წელს იზმირში მალთეფეს ქვეითთა სკოლას გადაეცა.

აკრძალვის მიუხედავად, თურქეთი სხვადასხვა ქვეყანაში ჯავშანტექნიკის პატარ-პატარა პარტიების ყიდვას მაინც ახერხებდა.



მოდერნიზებული M48A5T1

30-იანი წლების პირველ ნახევარში ბრიტანეთმა თურქეთს Vickers-ის ოთხ ათეულამდე მსუბუქი ტანკი და ტანკეტი, ხოლო 1935 წელს საბჭოთა კავშირმა 5 ტანკეტი T-27, 2 საშუალო ტანკი T-28, 60 მსუბუქი ტანკი T-26 და 60 ჯავშანავტომობილი БА-6 მიჰყიდა.

1934 წელს ქალაქ ლულებურგაზში პირველი სატანკო ბატალიონი ჩამოყალიბდა.

ტექნიკის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად 1937 წელს ბატალიონი ჯერ სატანკო ბრიგადად, ხოლო შემდეგ მე-2 საკავალერიო დივიზიის შემადგენლობაში 1-ელ სატანკო პოლკად გადაკეთდა.

მეორე მსოფლიო ომის წლებში თურქეთის მხარდაჭერის მოსაპოვებლად მისთვის შეიარაღების მიწოდებაში ერთმანეთს ინგლის-საფრანგეთი და გერმანია ეჯიბრებოდნენ.

1939-40 წლებში ბრიტანეთმა თურქეთს „ვიკერსის" 16 მსუბუქი ტანკი Mk VIB და საფრანგეთმა „რენოს" 50 მსუბუქი ტანკი R-35, ხოლო 1943 წელს გერმანიამ სახმელეთო გზებით რამდენიმე პარტიად საშუალო ტანკები — 56 PzKpfw IIIJ და 15 PzKpfw IVG მიაწოდა.

მას შემდეგ, რაც გერმანიის საქმე დამარცხებისკენ წავიდა, დასავლეთის ქვეყნების უსასყიდლო სამხედრო დახმარების მოცულობამ მოიმატა.

ომის დასრულებამდე თურქეთმა ბრიტანეთიდან სხვადასხვა მოდიფიკაციის 122 ქვეითთა ტანკი Valentine და 48 ერთეული 88 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი-ჰაუბიცა Bishop-ი, ხოლო აშშ-დან 376 მსუბუქი ტანკი M3 Stuart-ი და 25 საშუალო ტანკი M4 Sherman-ი მიიღო.

ჩამოყალიბდა სამი ახალი ჯავშანსატანკო ბრიგადა და 1945 წლის თებერვალში ანკარამ გერმანიას ომი გამოუცხადა, მაგრამ საქმე საბრძოლო მოქმედებამდე არ მისულა.

თავის მხრივ, თურქეთმა დასავლეთისთვის მხარდასაჭერად კორეის ომში ერთი ბრიგადა გაგზავნა. ამან 1952 წელს ქვეყნის NATO-ში გაწევრებაში არცთუ მცირე როლი ითამაშა და არმიის გადაიარაღების პროცესს შეუწყო ხელი.



გერმანული „ლეოპარდები"

ეროვნული ბიბლიოთეკა



ძირითადი საბრძოლო ტანკის Altai-ს მაკეტი

სხვადასხვა წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთს გადასცა 3700-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის ტანკი (M24 Gereral Chaffe, M26 General Pershing, M41 Walker Bulldog, M47 Gereral Patton II, M48A1/A5 Gereral Patton III და სხვ.), რომლის უდიდეს ნაწილს — 2775 ერთეულს — M48A1 შეადგენდა.

1974 წლის ივნის-აგვისტოში თურქეთმა 200-მდე „პატონი“ კუნძულ კვიპროსზე შეჭრისათვის გამოიყენა. ამის გამო აშშ-მა 1974 წლის ბოლოდან სამხედრო დახმარება შეუჩერა და დაუწესა ემბარგო, რომელიც 1975 წლის ივლისიდან ნაწილობრივ გაუქმდა.

80-იან წლებში თანამშრომლობა გერმანიასთან გაღრმავდა, რაც 400-მდე „ლეოპარდის“ ტიპის ტანკის შეძენით აღინიშნა. 2006-09 წლებში თურქეთმა ბუნდესვერისაგან ისევ „ლეოპარდის“ 2A4 მოდელის 300-მდე ტანკი იყიდა.

90-იანი წლების პირველ ნახევარში ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თურქეთის არმიას დაახლოებით 1100 ტანკი M60A1/A3 მიაწოდა.

ამჟამად თურქეთის არმიის განკარგულებაში დაახლოებით 4500 ტანკია (298 Leopard 2A4, 170 Leopard 1A4, 227 Leopard 1A3, 274 M60A1, 658 M60A3, 2676 M48A5T1/M48A5T2). მრავალრიცხოვანი სატანკო პარკის განახლება-მოდერნიზაციის პროგრამებმა ადგილობრივ კომპანიებს წარმოების გაფართოებისათვის კარგი პირობები შეუქმნა.

კომპანია Aselsan-მა T1/T2 პროგრამებით „პატონებს“ ძრავები შეუცვალა, დაუყენა ღამის ხედვის პასიური ხელსაწყოები, თბოვიზორიანი სამიზნეები, ლაზერული მანძილმზომები და სხვ.



ჯავშანავტომობილი Akrep



ჯავშანავტომობილი Kaya

თურქმა სპეციალისტებმა „პატონის“ ბაზაზე საკუთარი კონსტრუქციის დაჯავშნული სარემონტო-საევაკუაციო მანქანა M48T5 Tamay-ი შექმნეს და სერიულად რამდენიმე ათეული დაამზადეს.

ტანკების მოდერნიზაციაში თურქეთი ისრაელის კომპანია Izrael Military Industries-ი თანამშრომლობს. ამ კომპანიას ამერიკული M60-ების მოდერნიზაციის რამდენიმე პროექტი აქვს და ამ საქმეში დიდი გამოცდილებაც აქვს.

თურქეთის შეკვეთით ისრაელის კომპანია Sabra-მ Mk.III პროექტით 687 მლნ 500 ათას დოლარად მოდერნიზაცია ჩაუტარა 170 M60-ს. ამ უკანასკნელმა მაღალი ღირებულების გამო თურქი სამხედროების უკმაყოფილება დაიმსახურა. თითოეული ტანკი საკ-

მაოდ ძვირი — დაახლოებით 4 მლნ დოლარი დაჯდა.

ეროვნული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარებასთან ერთად სამამულო წარმოების ტანკის შექმნის სურვილი გაჩნდა. თურქულ კომპანიებს სათანადო გამოცდილება არ ჰქონდათ, ამიტომ საუკეთესო ტანკის შესარჩევად ტექნიკურ-საექსპლუატაციო მოთხოვნები მომზადდა და 2000 წელს საერთაშორისო ტენდერი გამოცხადდა.



Arma 6X6



Ejder 6X6

ტენდერში მონაწილეობდა და ძირითად კონკურენტებად ამერიკული (Abrams M1A2), ფრანგული (Leklerk), გერმანული (Leopard 2A6) და უკრაინული (T-84 Iatagan) ტანკები განიხილებოდა.

შედეგებს ანულირება რამდენჯერმე გაუკეთდა და საბოლოოდ არჩევანი ბოლო დროს შექმნილი სამხრეთ კორეის (XK-2 Black Panther) ტანკზე შეაჩერეს.

თურქული ძირითადი საბრძოლო ტანკის Altai-ის მაკეტის დემონსტრირება 2010 წლის აპრილში შედგა. სახელი გენერალ ფაჰრეთინ ალთაის პატივსაცემად ეწოდა. ბერძნებთან ომის დროს ამ გენერლის ქვედანაყოფებმა ქალაქი იზმირი გაათავისუფლეს.

პროგრამის საწყის ეტაპზე გამოყოფილი 500 მლნ დოლარი პროექტირებას, საცდელი ნიმუშების დამზადებას, გამოცდებს, ტექნოლოგიური ხაზების მომზადებასა და სხვა სამუშაოებს მოხმარდება.

პირველი პროტოტიპი მზად 2015 წელს იქნება და გამოცდების შემდეგ პირველი პარტიის — 250 ტანკის შეძენა არის გადაწყვეტილი.

„ალთაის“ წარმოებაში მონაწილეობას გერმანიასა და სამხრეთ კორეასთან ერთად, სავარაუდოდ, აზერბაიჯანიც მიიღებს.



Pars 6X6

**Altai**: მასა — 60-65 ტონა, დიზელის ძრავა — 1500-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 70 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 700 კმ, შეიარაღება — 120 მმ-იანი ქვემეხი და 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი; არა აქვს ქვემეხის დამტენი ავტომატი;

თურქეთის არმიაში კარგა ხანს ქვეითთა ძირითადი სატრანსპორტო-საბრძოლო საშუალების დანიშნულებას მსუბუქად დაჯავშნული მუხლუხიანი ტექნიკა ასრულებდა.

კომპანია FNSS-ი ამერიკული ქვეითთა საბრძოლო მანქანა 765-ის საფუძველზე 1992 წლიდან ACV სერიის სხვადასხვა სახის მუხლუხიან მსუბუქ ჯავშანტექნიკას სერიულად აწარმოებდა.

მათ შორის იყო: ქვეითთა საბრძოლო მანქანა (ACV-IFV), ჯავშანტრანსპორტიორი (ACV-AAPC), თვითმავალი ტანკსაწინააღმდეგო დანადგარი (ACV-ATV), 81 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი (ACV-AMV), 120 მმ-იანი თვითმავალი ნაღმსატყორცნი (120 AMV) და სხვ.

ACV სერიის ჯავშანტექნიკაში გამოყენებულია ალუმინის შენადნობების ფურცლებისაგან დამზადებული კორპუსები, რომელთაც სიმტკიცისათვის გარედან ფოლადის ჯავშანი აქვს დამაგრებული.

კორპუსში წინ და მარცხნივ მძღოლ-მექანიკოსის, ხოლო უკან კი — მეთაურის ადგილია. ძრავას მძღოლ-მექანიკოსის მარჯვნივ არსებული სივრცე უკავია. კორპუსის შუა და უკანა ნაწილი მთლიანად საბრძოლო განყოფილებას დაეთმო.



უახლესი ჯავშანავტომობილი Kale

**ACV-IFV**: მასა — 14 ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 8 კაცი, ჯავშანი — 14,5 მმ, დიზელის ძრავა — 300-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 65 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 490 კმ, შეიარაღება — 25 მმ-იანი ავტომატი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;

კომპანიის ბოლო მოდელის ქვეითთა საბრძოლო მანქანაში (ACV-S) ავტომატურ გადაცემათა კოლოფი, კონდიციონერი, გადამეტებული წნევის შესაქმნელი სისტემა და სხვა სიახლეებია გამოყენებული.

გაუმჯობესდა სავალი ნაწილის ტორსიული დაკიდება, გაძლიერდა დაჯავშნა და დიზელის ძრავის სიმძლავრემ 350 ცხ. ძალას მიაღწია. შასიმ სიგრძეში მოიმატა და ამის გამო სავალ ნაწილს მეექვსე საყრდენი გორგოლაჭი დაემატა.

ACV-S-ი ამერიკული M2 Bradley-ს 25 მმ-იანი 242 Bushmaster-ს ტიპის ავტომატით არის აღჭურვილი, მაგრამ შესაძლებელია 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით, 30 მმ-იანი ქვემეხით, სარაკეტო სისტემებითა თუ 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნით შეიარაღებაც.

ბოლო 15 წლის განმავლობაში თურქეთის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსში დიდი ადგილი დაიკავა ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის წარმოებამ.

ერთხანს, როცა ასეთი ტექნიკის ნაკლებობა ჰქონდა, თურქეთის არმიამ ბუნდესვერისაგან ყოფილი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის 300 БТР-60ПБ/БТР-70 შეიძინა, ხოლო 1993-95 წლებში რუსეთისაგან კიდევ 239 БТР-80 იყიდა.

საბჭოთა წარმოების ჯავშანტრანსპორტიორები ჟანდარმერიის შეიარაღებაშია და ქურთების წინააღმდეგ წარმოებულ ოპერაციებში მონაწილეობენ.

1994 წლის მაისში კომპანია Otokar-ის პირველი დაჯავშნული ავტომობილ Akrep-ის (4X4) საჯარო დემონსტრირება შედგა.

„აკრეპი“ 70%-ით უნიფიცირებულია ბრიტანულ Land Rover Defender 90/100-თან, რომელსაც კომპანია ლიცენზიით სერიულად ამზადებს.

ჯავშანავტომობილის დანიშნულებაა დაზვერვა, სატრანსპორტო კოლონების თანხლება, ობიექტების დაცვა, პატრულირება და პარტიზანებთან ბრძოლა.



თურქეთსა და ინგლისში გავლილი საგამოცდო ციკლის შემდეგ, 1996 წლის ივნისიდან, „აკრეპის" სერიული წარმოება დაიწყო.

ორკარიანი კორპუსი ფოლადის ფურცლებისგან არის დამზადებული და 7,62 მმ-იან ტყვიებს უძლებს. კორპუსის ბორტებსა და უკანა მხარეს ამბრაზურებია, საიდანაც პირად შემადგენლობას ცეცხლის გახსნა შეუძლია.

პატარა წონის (3,6 ტონა) მიუხედავად, „აკრეპს" იყენებენ კომპაქტური საზენიტო-სარაკეტო ან ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის მატარებლად. შესაძლებელია სადაზვერვო დანიშნულების რადიოაპარატურით აღჭურვა.

„ოტოკარი" ამზადებს საკმაოდ პოპულარულ მსუბუქ ჯავშანავტომობილ Cobra-ს (4X4), რომელიც 10 ქვეყნის სამხედრო და საპოლიციო ქვედანაყოფებს ემსახურება.

„კობრაში" ავტომობილის ანალოგიური კომპონირება შენარჩუნდა. კორპუსი ფოლადის ჯავშანფურცლებისაგან შედუღებით არის დამზადებული და მცირეკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღისაგან იცავს.

მრავალმხრივი გამოყენებისათვის ჯავშანავტომობილის კორპუსზე სხვადასხვა შეიარაღების დაყენება არის შესაძლებელი.

**Cobra**: მასა — 6,2 ტონა, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 6 კაცი, დიზელის ძრავა — 190-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 110 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 550 კმ, შეიარაღება — 25 მმ-იანი ქვემეხი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;

2010 წლის ივნისში პარიზში საერთაშორისო გამოფენა „Eurosatory 2010"-ზე „ოტოკარმა" უახლესი ჯავშანტრანსპორტიორები Arma (6X6) და Kaya (4X4) წარმოადგინა.

„არმას" დაცვის მაღალი ხარისხი აქვს და ჯავშანტრანსპორტიორის პლატფორმა სხვადასხვა შეიარაღების მატარებლად გამოდგება.

**Arma** (6X6): მასა — 18,5 ტონა, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 8 კაცი, დიზელის ძრავა — 450-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 105 კმ/სთ-ში;

„კაიას" ნაღმსაწინააღმდეგო გაძლიერებული დაცვა აქვს და შვეიცარიული Unimog 500-ის შასის გამოყენებით ორ ვარიანტად მზადდება.

პირველი ვარიანტის კაბინა ძარასთან ერთად დაჯავშნულია. ძარაში სრულად ეკიპირებული 10 სამხედრო თავსდება. მოქნილი კონსტრუქციის წყალობით ძარის სასწრაფო დახმარების ან საკომანდო მანქანად გადაკეთებას ცოტა დრო სჭირდება.

მეორე ვარიანტის ძარა დაუჯავშნავია და, ფაქტობრივად, სატვირთო ავტომობილის დანიშნულებას ასრულებს.

„ოტოკარის" კიდევ ერთი უახლესი ნამუშევარი Kale ნაღმსაწინააღმდეგო გაძლიერებული დაცვის მქონე მძიმე ჯავშანავტომობილია.

კომპანიის ძალზე მრავალფეროვან პროდუქციაში არის სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებისათვის განკუთვნილი მაღალი გამავლობის ავტომობილი Engerek-ი, საპოლიციო დანიშნულების ავტომობილი IS-V და სხვ.

კომპანია FNSS-ის საწარმოო პროგრამის მეორე მიმართულება ბორბლებიანი ჯავშანტექნიკაა, სადაც დიდი ადგილი დაიკავა — Pars-ის სერიის ჯავშანტრანსპორტიორებმა.

„პარსი" სერიულად მზადდება და ცოტა ხნის წინ არმიამ 6X6/8X8 კონფიგურაციის 650 ჯავშანტრანსპორტიორი შეუკვეთა.

**Pars** (8X8): მასა — 24,5 ტონა, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 12 კაცი, დიზელის ძრავა — 600-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 100 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 100 კმ, შეიარაღება — 25 მმ-იანი ავტომატი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;

კომპანია Nurol-ი რამდენიმე წელია Ejder-ის (4X4, 6X6, 8X8) ტიპის ბორბლებიან მცურავ ჯავშანტექნიკას აწარმოებს.

„ეჯდერის" კონსტრუქცია ერთ შასიზე სხვადასხვა სახის თუ დანიშნულების ტექნიკის შესაქმნელად გამოიყენება, რისი წყალობითაც მოდერნიზაციისა და ტექმომსახურების ღირებულება მცირდება.

ჯავშანი ცეცხლსასროლი იარაღისაგან იცავს, ხოლო კორპუსის V-ებური ფსკერი პირად შემადგენლობას ნაღმებისა და თვითნაკეთი ფუგასებისაგან იცავს.

**Ejder** (6X6): მასა — 18 ტონა, ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 10 კაცი, დიზელის ძრავა — 402-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 110 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 7,62 ტყვიამფრქვევი და 40 მმ-იანი ყუმბარსატყორცნი, ან 25 მმ-იანი ავტომატი და 7,62 მმ-იანი შეწყვილებული ტყვიამფრქვევი.

საქართველო პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც „ეჯდერები" შეიარაღებაში მიიღო და 2008-09 წლებში ქართული არმია და პოლიცია 70-მდე ჯავშანტრანსპორტიორით შეივსო.

უფრო ადრე კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპოლიციო ქვედანაყოფები „კობრას" ტიპის დაჯავშნული ავტომობილებით აღიჭურვა.

„კობრების" რეკლამირებაში არცთუ მცირე როლი 2008 წლის ომმა ითამაშა. რუს აგრესორებთან ბრძოლაში მხოლოდ ორი თურქული წარმოების ჯავშანავტომობილი დაიკარგა.

თურქული სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი იმდენად მრავალფეროვან ჯავშანტექნიკას აწარმოებს, რომ ერთ სტატიაში მათი ჩამოთვლა შეუძლებელია.

*შალვა გომიბერიძე*




„კობრები" თბილისში 26 მაისის აღლუმზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



2004 წლის აღლუმი

# სამხედრო აღლუმები

**რა მიზნით ატარებენ სამხედრო აღლუმებს? გასართობად? სილამაზისთვის? შესაძლებელია, მაგრამ არა მხოლოდ ამ მიზნით... სამხედრო აღლუმები სახელმწიფოს ძლიერების დამადასტურებელია და პოტენციურ მოწინააღმდეგეს შიშის ჟრჟოლას ჰგვრის. ეს ძალიან კარგად იცოდნენ ძველ ეგვიპტეში, სპარსეთსა და რომის იმპერიაში. სწორედ უძველესი დროიდან დაიწყეს მეომრებმა სახალხოდ მწყობრად სიარული. აღლუმები, ანუ ტრიუმფები, სახელმწიფოს სიყვარულსა და სიამაყეს უნერგავდა ადამიანებს, ამაღლებდა პატრიოტულ სულს და უბრალოდართობდა მოქალაქეებს.**

დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან აღლუმები საქართველოში დროდადრო და სხვადასხვა შემადგენლობით იმართებოდა. მათ, ვისაც ცუდად ახსოვთ შევარდნაძის დროინდელი აღლუმები, შევახსენებთ, რომ მაშინ სახსრების დეფიციტისა და აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო ხშირად აღლუმზე ლაფეტზე დადებული სხვადასხვა ტიპის ჩამოწერილი დანადგარები გამოჰქონდათ.

2003 წლის შემდეგ აღლუმებისადმი მიდგომა მკვეთრად შეიცვალა. 2004 წელს დიდი აღლუმი ორთაჭალაში, სამასი არაგველის ძეგლთან გაიმართა. მას შემდეგ, რაც თბილისში გზების რეაბილიტაცია დაიწყო, გადაწყდა, რომ მძიმე მუხლუხიანი ტექნიკა აღლუმებში მონაწილეობას აღარ მიიღებდა და ღონისძიებამ ისევ რუსთაველის პროსპექტზე გადაინაცვლა. აღლუმები, ძირი-



სამხედრო აღლუმი თბილისში 2006 წ. 26 მაისი



სამხედრო აღლუმი თბილისში 2010 წ. 26 მაისი



შსს-ს ძალების პირველი აღლუმი თბილისში. 2010 წ. 6 მაისი



7 ნოემბრის აღლუმი წითელ მოედანზე 1941 წ



„გამარჯვების“ აღლუმი წითელ მოედანზე 1945 წ

თადად, 26 მაისს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად იმართება. გამონაკლისი მხოლოდ 2009 წელს, აგვისტოს ომისა და დედაქალაქის ცენტრში მიმდინარე საპროტესტო აქციების გამო დაუშვეს. 2010 წელს კი ორი აღლუმი გაიმართა: 6 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალების აღლუმი და 26 მაისს — სამხედრო აღლუმი. ამ აღლუმებზე საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ 2008 წელს წაგებული ომის მერე სამხედრო აღლუმი არ უნდა გამართულიყო და მისი ჩაშლითაც კი იმუქრებოდნენ. მომხრეები კი ამტკიცებდნენ, რომ აღლუმი ჯარისა და ერისთვის თავდაჯერების დასაბრუნებლად იყო აუცილებელი.

ჩვენ პოლიტიკურ დებატებში ჩართვას ნამდვილად არ ვაპირებთ, უბრალოდ გვინდა ვთქვათ, რომ აღლუმი ჯარისა და სამოქალაქო საზოგადოების დაახლოებისთვის ერთ-ერთი საჭირო ღონისძიებაა. სხვა საქმეა, როგორი ფორმითა და შინაარსით იმართება. გთავაზობთ მაგალითებს ისტორიიდან და თანამედროვე მსოფლიო პრაქტიკიდან, დასკვნის გამოტანა კი თქვენთვის მოგვინდვია.

შუა საუკუნეების შემდეგ, მე-18 საუკუნიდან, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში აღლუმებს ხშირად ატარებდნენ, განსაკუთრებით პრუსიაში, სადაც ეს სამხედრო სანახაობა წვრთნებისა და გართობის იშვიათი საშუალება იყო. აღლუმების დიდი სიყვარულით ჩვენი ჩრდილოელი მეზობელიც გამოირჩევა. რა გასაკვირია, რომ რუსეთის იმპერიაში, როგორც ყველაფერ ევროპულს, აღლუმსაც პეტრე პირველმა ჩაუყარა საფუძველი, ოღონდ რუსული ხასიათისთვის დამახასიათებელი სახეცვლილებებით: ციხესიმაგრე ნოტებურგის აღების შემდეგ იმპერატორის ბრძანებით მოსკოვში, მიასნიცკაიას ქუჩაზე, დააგეს წითელი მაუდი, რომელზეც გამარჯვებულებმა გაიარეს. პეტრე პირველი იჯდა მოოქრულ კარეტაში, რომელსაც უკან შვედების საბრძოლო დროშები დასთრევდა (მოწინააღმდეგის მიმართ ასეთი ცინიკური დამოკიდებულება ყოველთვის ახლდა და ახლაც ახლავს რუსულ აღლუმებს).



აღლუმებში რუსული არმიის და მილიციის საუკეთესო ნაწილები მონაწილეობენ...

მე-18 საუკუნის ბოლოს პეტერბურგში ყოველ წელს ტარდებოდა სამხედრო აღლუმები: ზამთრისა — სასახლის მოედანზე, საზაფხულო — მარსის ველზე, საგაზაფხულო კი — ცარსკოე სელოში. საქართველოში, როგორც იმპერიის პროვინციაში, აღლუმებს არ ატარებდნენ. მხოლოდ რომელიმე პოლკს ან მილიციის ასეულს ჩაახრიგინებდნენ რომელიმე ქალაქის ქუჩაზე და ამასაც ხალხის დათრგუნვის მიზნით აკეთებდნენ. სხვათა შორის, აღლუმებს დემოკრატიული საქართველოს მთავრობაც სწყალობდა. აღლუმები მაშინ დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად იმართებოდა. თუმცა ის აღლუმები რა მოსატანია საბჭოთა გრანდიოზულ ღონისძიებებთან. კომუნისტებს ხომ „პარადების“ გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინათ. საბჭოთა მთავრობამ პირველი სამხედრო აღლუმი 1918 წლის პირველ მაისს, ეგრეთ წოდებულ მსოფლიოს მშრომელთა სოლიდარობის დღეს მოაწყო წითელ მოედანზე. მასში მონაწილეობდნენ ქვეითთა ნაწილები, კავალერია, საბრძოლო ტექნიკა (არტილერია, დაჯავშნული მანქანები) და ავიაცია (ეგრეთ წოდებული რუსფანერები). შემდეგი სამხედრო აღლუმი ბოროტების იმპერიაში იმავე წლის 7 ნოემბერს გაიმართა, ბოლშევიკების მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების წლისთავზე. მას შემდეგ 7 ნოემბერს მოსკოვში წითელ მოედანზე აღლუმების ჩატარება ტრადიციად იქცა (გარდა 1942-44 წლებისა). მათგან აღსანიშნავია 1941 წლის 7 ნოემბერს ჩატარებული აღლუმი, როცა გერმანელები მოსკოვიდან სულ რამდენიმე ათეული კილომე-



ეროვნული ბიბლიოთეკა





ბასტილიის აღების დღე საფრანგეთში

ტრის მოშორებით იდგნენ და საბჭოეთის დედაქალაქის ბედი ბეწვზე ეკიდა. ამ დროს საბჭოთა მთავრობა კუიბიშევში იყო გახიზნული, კრემლში კი მხოლოდ სტალინი იყო დარჩენილი. მსოფლიო პროლეტარიატის დიდმა ბელადმა, მთავარსარდალმა, წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმი მიიღო, რითაც ადოლფ ჰიტლერს პირში ჩალა გამოავლო. საქმე ის არის, რომ ფიურერს ამ დროისათვის მოსკოვის აღება და 1941 წლის 7 ნოემბერს გერმანელთა გამარჯვების აღსანიშნავი აღლუმის ჩატარება ჰქონდა განზრახული. 1942-1944 წლებში მოსკოვს აღლუმისთვის არ ეცალა. მხოლოდ 1943 წელს ჩატარდა გერმანელთა ე.წ. სამხედრო აღლუმი მოსკოვში. სტალინის ბრძანებით ათიათასობით (ზოგი ცნობით, 80-მა ათასმა) თავჩაქინდრულმა გერმანელმა ტყვე ჯარისკაცმა, ოფიცერმა და გენერალმა ჩაიარა წითელ მოედანზე, რამაც სკეპტიკოსებსაც კი დაუბრუნა გამარჯვების რწმენა.

ყველაზე გრანდიოზული იყო ე.წ. სამამულო ომში გამარჯვებისადმი მიძღვნილი აღლუმი, რომელიც 1945 წლის 24 ივნისს გაიმართა. ეს იყო ყველაზე მასობრივი და ყველაზე ხანგრძლივი საზეიმო სვლა რუსეთის იმპერიის ისტორიაში. ორი საათის განმავლობაში წითელ მოედანზე ჩაიარა ორმოც ათასზე მეტმა სამხედრო მოსამსახურემ და 1850-მა ერთეულმა სამხედრო ტექნიკამ. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სახმელეთო ჯარები, სამხედრო ტექნიკა და ავიაცია. აღლუმისათვის ჯარებს ხოდინკის აეროდრომზე და გორკის სახელობის კულტურის პარკში ამზადებდნენ. შემდეგ ერთ-ორ რეპეტიციას ღამით წითელ მოედანზეც ატარებდნენ. აღლუმში მონაწილე ტექნიკას ზედმიწევნით ყურადღებით ამოწმებდნენ, მიუხედავად ამისა, მაინც იყო გაუთვალისწინებელი შემთხვევები. მაგალითად, ავია და სახმელეთო კატასტროფები (რამდენიმე ჯავშანმანქანა და ტანკი მდინარე მოსკვაში ჩავარდა).

როგორც ზემოთ ითქვა, სამხედრო აღლუმები არა მხოლოდ გასართობად და სილამაზისთვის, არამედ მოწინააღმდეგისათვის შიშისა და ძრწოლის მოსაგვრელად ტარდებოდა. სწორედ ამ მიზანს ისახავდა 1962 წელს წითელ მოედანზე ბოროტების იმპერიის შეუზღუდავი ძალაუფლების მქონე ლიდერის, ნიკიტა ხრუშჩოვის ბრძანებით ჩატარებული სამხედრო აღლუმი. ეს სუბიექ-

აღლუმი ირანში, ისპაჰანსა და თეირანში...





ინდოეთში აღლუმში მონაწილეობენ სპილოებსა და აქლემებზე ამხედრებული ჯარისკაცები, სამოქალაქო ორკესტრები, მოსწავლეთა კოლონები და მოცეკვავეები







უგანდელი სამხედროები



აღლუმი ჰავანაში, კუბა

ტი გაუნათლებელი მდაბიო იყო, იგი მხოლოდ ტოტალიტარული ქვეყნისთვის დამახასიათებელმა ისტორიულმა გარემოებებმა, უფრო კი შემთხვევითობამ ამოატივტივა პოლიტიკურ ასპარეზზე. სწორედ მან აალორძინა მივიწყებული ტრადიციული რუსული ანდაზა „Сила есть, ума не надо“-დან გამომდინარე საშინაო და საგარეო პოლიტიკა (კუნძულ კუბაზე, აშშ-ის ცხვირწინ, ბალისტიკური რაკეტები განათავსა, რამაც ლამის მესამე მსოფლიო ომი გამოიწვია, დედა აგინა ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედის. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ასამბლეის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას ცივილიზებულ სამყაროს გადაბუგვით დაემუქრა, ხოლო როცა ობსტრუქცია მოუწყვეს, ფეხსაცმელი გაიხადა და კათედრაზე მისი ბრახუნით ცდილობდა აღშფოთებული დარბაზის დაშოშმინებას. მფარველობდა და ახალისებდა აფხაზ სეპარატისტებს. სძულდა ქართველები და ციმბირში დედაბუდიანად გადასახლებით გვემუქრებოდა. „ძვირფასი და საყვარელი გენსეკი“ ერთი ტან და კიდურებმოკლე, ჩაგოდრებული, თავპირმოსვლეპილი, ვარდისფერი და ყურებდაცქვეტილი „მუჟიკი“ იყო, რითაც ძლიერ ჰგავდა რიაზანული ჯიშის ნასუქ ღრუტუნიას). ამ აღლუმმა მართლაც რომ შიშის ძრწოლა გამოიწვია მთელ მსოფლიოში, რადგან მასში ჯერ არნახული უახლესი სამხედრო ტექნიკა, საიდუმლო იარაღი გამოაშზეურეს ბოლშევიკებმა.

დასავლეთის სახელმწიფოთა მესვეურები ჯერ კი შეშფოთდნენ, მაგრამ მალე შიშმა გაუარათ, გონსაც მოვიდნენ და თავდაცვის ხარჯები ადეკვატურად გაზარდეს, ხრუშჩოვს კი დიდი მადლობა შეუთვალეს, იმ ცნობების შესაგროვებლად, რომლებიც თქვენ თვითონ მოგვაწოდეთ თქვენი უახლესი იარაღისა და საიდუმლო სამხედრო-სამეცნიერო მუშაობის მიმართულებების შესახებ, ჩვენს საიდუმლო სამსახურებს ოცი წლის მუშაობა დასჭირდებოდათო (იმ დროს კოსმოსური დაზვერვა თანამედროვე სახით რა თქმა უნდა, არ არსებობდა).

1991 წლიდან მოსკოვში სამხედრო აღლუმები აღარ ტარდებოდა. ტრადიცია 1995 წლის 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50-ე წლისთავზე აღადგინეს. ამ დღეს წითელ მოედანზე ოთხი ათასმა ვეტერანმა და ორი ათასმა სამხედრომ ჩაიარა. მას შემდეგ წითელ მოედანზე აღლუმი ყოველწლიურად იმართებოდა, ოღონდ საბრძოლო ტექნიკის გარეშე, რადგან ივერიის ისტორიული კარიბჭის აღდგენის შემდეგ მძიმე ტექნიკა მოედანზე ვერ შედიოდა.

2008 წლიდან სამხედრო ტექნიკა კვლავ გამოჩნდა წითელ მოედანზე. სპეციალისტების აზრით, ეს შეიძლება საქართველოზე თავდასხმისათვის მზადების ნაწილიც იყო.

დღეს სამხედრო აღლუმები მთელ მსოფლიოში ეროვნულ დღესასწაულებზე ტარდება. საფრანგეთში 14 ივლისს, ბასტილიის

ჩრდილო კორეა აღლუმებს ძალიან დიდ ყურადღებას და სახსრებს უთმობს





ელექტრონული ბიბლიოთეკა



ჩინელებმა 2009 წლის შემოდგომით ყველა დროის უდიდესი აღლუმი გამართეს

რესპუბლიკის შექმნის დღეს და მისი ხელმძღვანელის, კიმ ჩენ ირის დაბადების დღეს, 16 თებერვალს ტარდება. აღლუმში ყველა სახეობის ჯართან ერთად, ქალთა რამდენიმე ბატალიონიც მონაწილეობს.

კუბელები დიდი შემართებით ზეიმობენ პირველ იანვარს, დიქტატორ ბატისტას კუნძულიდან გაქცევისა და რევოლუციის გამარჯვების დღეს. ჰავანაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა დეკემბერში 35 გრადუსია. მსვლელობაში მონაწილეობს მოძველებული ტიპის საბჭოთა სამხედრო ტექნიკა: ძველი ჯავშანტრანსპორტიორები, ტანკები, თვითმფრინავები და სამოციანი წლების სარაკეტო დანადგარები.

ვენესუელელები 1811 წელს გამოცხადებულ დამოუკიდებლობას ყოველი წლის 5 ივლისს სამხედრო აღლუმებით ზეიმობენ. აღლუმში დაახლოებით 20 ათასი ჯარისკა-

ციხესიმაგრის აღების, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დაწყების დღეს იმართება გრანდიოზული სამხედრო აღლუმი, რომელსაც ძველი გვარდია ხსნის. აღლუმს პრეზიდენტი იბარებს. ეს დღე საფრანგეთის საყოველთაო ზეიმადაა აღიარებული.

29 ოქტომბერს თურქები აწყობენ რესპუბლიკის დღისადმი მიძღვნილი სამხედრო აღლუმს. ამავე დასახელების ღონისძიება ტარდება 26 იანვარს ინდოეთშიც. წელს ის უკვე მესამოცედ გაიმართა. ამ დღესასწაულებში მოსახლეობის თითქმის ყველა ფენა მონაწილეობს. დედაქალაქის გარნიზონის ჯართან ერთად, რომელიც თანამედროვე იარაღის დემონსტრირებას ახდენს. აღლუმში ასევე მონაწილეობენ სპილოებსა და აქლემებზე ამხედრებული ჯარისკაცები, სამოქალაქო ორკესტრები, მოსწავლეთა კოლონები და მოცეკვავეები, მათ თავს ზემოთ კი ინდოეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მოიერიშეები დაფრინავენ. ინდოელებს უყვართ ზეიმები და აღლუმის დამთავრების შემდეგაც არ იშლებიან, უფრო მეტიც, სახალხო მსვლელობები რამდენიმე დღეს გრძელდება. ფესტივალად ქცეული ზეიმის მესამე დღეს, ცენტრალურ მოედანზე,



აღლუმში ტაივანის სპეცრაზმი ყოველთვის ორიგინალურად მონაწილეობს

ხალხური ცეკვის ანსამბლების ჩავლის შემდეგ, აღლუმს აგვირგვინებენ პრეზიდენტის დაცვის გვარდიელები, რომლებსაც ორი საუკუნის წინანდელი მუნდირები აცვიათ.

ჩრდილო კორეაში აღლუმები 9 სექტემბერს კორეის სახალხო დემოკრატიული



აღლუმი ბელგიურად

ცი მონაწილეობს. ცაში რუსული Су-30-ები დაფრინავენ, კარაკასის ცენტრალურ მოედანზე კი ასევე რუსული წარმოების ტანკები გამოჰყავთ.

ინგლისელები დედოფლის დაბადების დღის აღსანიშნავ სამხედრო აღლუმს, ლონდონში 21 აპრილს მართავენ, მაგრამ უფრო ფართო მასშტაბით ბრიტანეთში ეს დღე ივნისში აღინიშნება. ამ ყოველწლიური ზეიმის მთავარი შემადგენელი ნაწილია სამეფო ცხენოსანი გვარდიის ყაზარმის შენობის წინ მდებარე მოედანზე სამეფო დროშების ჩატარება. ეს ტრადიცია 1748 წლიდან დამკვიდრდა, როცა დროშების გამოტანა ზეიმის განუყოფელ ნაწილად დააწესეს. აღლუმში მონაწილეობს ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე, მაგრამ ყველაზე თვალში საცემი სამეფო ცხენოსან-გვარდიული პოლკის მსვლელობაა. საზეიმო აღლუმში მონაწილეობენ სამეფო კავალერიის რაზმები, არტილერიის ქვედანაყოფები და სამხედრო-საჰაერო ძალებიც.







ბრიტანელები დედოფლის, ელისაბედ II-ის დაბადების დღეს განსაკუთრებულად აღნიშნავენ

ჩინელები, როგორც ბევრ სხვა სფეროში, აღლუმებშიც განსაკუთრებულები არიან. „არსენალი“ უკვე წერდა ამ ქვეყანაში გამართული აღლუმის შესახებ, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ხალხ და ტექნიკამრავალ გრანდიოზულ ღონისძიებად არის მიჩნეული.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სამხედრო აღლუმები საკმაოდ ხშირად იმართება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს ჩრდილოეთ ამერიკაში საალლუმო აქტივობა ოდნავ შემცირდა, რაც ასეულათასობით ამერიკელი ჯარისკაცის საზღვარგარეთ ყოფნით არის გამოწვეული, თითქმის ყველა იმ შტატის ხელისუფალი, რომელშიც დიდი სამხედრო ბაზებია განთავსებული, რეგულარულად სთხოვენ სამხედროებს ქალაქში საზეიმო მარშით გავლას და არა მარტო ოფიციალურ საზეიმო დღეებში. აღლუმები ქვეყანაში ერთდროულად, ეროვნულ დღესასწაულზე, 11 ნოემბერს იმართება, როცა ამერიკელები ვეტერანთა დღეს აღნიშნავენ. პირველად ეს ზეიმი 1919 წელს, პრეზიდენტ ვილსონის განკარგულებით ჩატარდა და მან პირველი მსოფლიო ომის დამთავრების გამო ცეცხლის შეწყვეტა ამცნო ამერიკელებს. საერთო-ეროვნული ეს დღე 1926 წელს გახდა, ხოლო 1954 წელს ყველა ომში დაღუპული ამერიკელი ჯარისკაცების პატივსაცემად მას „ვეტერანთა დღე“ უწოდეს.

11 ნოემბრის ზეიმის ჩასატარებელი მთავარი ადგილია ვაშინგტონის გარეუბანში მდებარე არლინგტონის სასაფლაოს მემორიალური ამფითეატრი, რომელიც უცნობი ჯარისკაცის საფლავის გარშემოა აგებული; ზეიმის დროს აქ დგას ყველა სახეობის ჯარების წარმომადგენელთაგან შედგენილი საპატიო ყარაული, რომელიც პატივს მიაგებს სამხედრო ფიცის ღირსეულად აღსრულებისას დაღუპულებს. ამერიკული სამხედრო აღლუმები განსხვავდება ევროპულისა და ჩვენთვის ჩვეული ვარიანტებისგან. აქ თქვენ ვერ ნახავთ მკაცრად მოწყობილ სწორ კოლონებს, ვერც მწყობრი ნაბიჯის ხმას გაიგონებთ, სამხედროთა ჯგუფები (კოლონები) არეული, ჩვეულებრივი ნაბიჯით ჩაივლიან ხოლმე ქუჩებში, უფრო ხშირად — ბალახისსაფარიან მოედნებზე. აღლუმის მონაწილეებს მაყურებლებისთვის ხელის დაქნევაც შეუძლიათ. ხშირად გამოჰყავთ ტექნიკა, ძირითადად, ავტომობილები, რომლებითაც დროშების ფრიალით ჩაივლიან ხოლმე მაყურებელთა წინ. ამერიკული სამხედრო აღლუმის განუყოფელი ნაწილია თოფებით ვარჯიში, რომელსაც აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსის სამწყობრო ილეთები ასრულებენ.

**ამერიკელები სამხედრო აღლუმებით არავის აშინებენ და არც ემუქრებიან. ეს მათთვის გასართობი ღონისძიებაა.**





# „ღია ცა“




## ანუ მეზობელი სახელმწიფოს დაზვერვის ოფიციალური მეთოდი

ამერიკული სადამკვირვებლო თვითმფრინავი OC-135B

გასული საუკუნის 50-იან წლებში განსხვავებული შეხედულებებისა და პოლიტიკური მოსაზრებების მქონე საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა. ორივე ქვეყანა მასშტაბური ატომური ომისთვის ემზადებოდა და შესაბამისად, თავდაცვაზე დიდი თანხები იხარჯებოდა. მკვეთრად იზრდებოდა სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის ოდენობა. ამ ვითარებაში პოტენციური მოწინააღმდეგის განკარგულებაში არსებული სამხედრო ძალების გაკონტროლება საკმაოდ რთული იყო, მაგრამ ეს საკითხი ორივე მხარეს აწუხებდა და ამიტომაც აშშ-ც და საბჭოთა კავშირიც ჯაშუშების, სადაზვერვო ფრენებისა და სხვა ხერხების საშუალებით ყველანაირად ცდილობდნენ ამ საკითხებზე ინფორმაციის მოპოვებას.

პირველად „ღია ცის“ კონცეფცია საბჭოთა პრემიერ-მინისტრ ბულგანინთან შეხვედრისას აშშ-ის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა წამოაყენა 1955 წლის 21 ივლისს, ჟენევაში, სადაც საბჭოთა კავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის ხელმძღვანელების შეხვედრა იმართებოდა. „ღია ცის“ მთავარი იდეა მზარდი შეიარაღებული ძალების მონიტორინგს გულისხმობდა. ანუ ის ქვეყნები, რომლებიც გაერთიანდებოდნენ ამ ხელშეკრულებაში, დაუბრკოლებლად და რაც მთავარია, ოფიციალურად შეძლებდნენ ხელშეკრულებაში შემავალი სხვა ქვეყნების თავზე სადაზვერვო ფრენასა და ფოტოგადაღებას. მაშინ ხრუშჩოვმა ამერიკის პრეზიდენტის ამ წინადადებას კატეგორიული უარით უპასუხა, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალზე აინტერესებდა ამერიკული სამხედრო ობიექტების თავზე გადაფრენა და მათი გადაღება, საბჭოთა კავშირშიც მრავლად იყო ამერიკული თვალებისგან დასამალი ობიექტები.

1989 წელს ამერიკელებმა ბედი მეორედ სცადეს და ამჯერად იგივე წინადადება პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ-უფროსისგან მოდიოდა. იმ პერიოდში, „გლასნოსტისა“ და დემოკრატიის ეპოქაში, საბჭოთა კავშირის დამოკიდებულება დასავლეთისადმი საკმაოდ ლოიალური გახდა. ამიერიდან ისინი მტრები აღარ იყვნენ და საბჭოეთმა იმავე წელს ხელშეკრულების ჩამოყალიბებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. „ღია ცის“ ხელშეკრულებას ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის 27-მა წევრმა ქვეყანამ ჰელსინკში 1992 წლის 24 მარტს მოაწერა ხელი.




გერმანული Ту-154M-OH, რომელიც 1997 წელს ამერიკულ სატრანსპორტო თვითმფრინავთან შეჯახებისას განადგურდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხედრო სპეციალისტების აზრით, ხელშეკრულება თანამშრომლობასა და ნდობის პრინციპებზეა დაფუძნებული. სხვადასხვა სამხედრო კომისიისგან განსხვავებით, რომლებიც რომელიმე ქვეყნის ტერიტორიაზე ამ უკანასკნელის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას აკონტროლებენ, „ღია ცის“ პროექტი არ მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც შეიარაღების გავრცელებას აკონტროლებენ. თუმცა სადამკვირვებლო ფრენების წყალობით შესაძლებელია ჯარების გადაადგილებისა და სამხედრო დანიშნულების ობიექტების გაკონტროლება.

„ღია ცის“ ხელშეკრულების პუნქტების პრაქტიკული რეალიზაციისთვის მისმა მონაწილეებმა ჩამოაყალიბეს საკონსულტაციო კომისია, რომლის შტაბბინაც ვენაში მდებარეობს. აქ ხელშეკრულების მონაწილე ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენელი მუშაობს და წელიწადში ოთხჯერ სესიებს მართავენ, სადაც პროგრამის მსვლელობასა და სადამკვირვებლო ფრენებს ადევნებენ თვალყურს.





OC-135B-ის ბორტზე ოპერატორების სამუშაო ადგილი და მის კუდში არსებული ფოტოაპარატები

სტრუქტურულად ხელშეკრულება, რომელსაც „ღია ცის“ პროექტში მონაწილე ყველა სახელმწიფო აწერს ხელს, შედგება 19 სტატიის, 16 დანართისა და 4 დანამატისგან, რომლებიც ხელშეკრულების ძირითად კრიტერიუმებს განსაზღვრავს. მათი მიხედვით არჩევენ მზვერავ თვითმფრინავებს, სადამკვირვებლო აპარატურის ტიპებსა და მათ შესაძლებლობებს, ტარდება სადამკვირვებლო ფრენების შესრულებისთვის მოსამზადებელი სამუშაოები და ა. შ. ხელშეკრულების მთავარი კრიტერიუმის თანახმად, მის მონაწილე ყოველ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს შეასრულოს სადამკვირვებლო ფრენა სხვა წევრი სახელმწიფოს საჰაერო სივრცეში. ამავე კრიტერიუმითვე ეკისრება საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე სადაზვერვო ფრენების მიღების ვალდებულება, რა თქმა უნდა, გარკვეული კანონზომიერებით. ყოველი ქვეყნისთვის ყალიბდება სადაზვერვო ფრენების ინდივიდუალური კვოტები, რომლებიც ხელშეკრულების თანახმად ორი სახისაა: აქტიური და პასიური. პირველი ითვალისწინებს სადამკვირვებლო ფრენას სხვა სახელმწიფოს თავზე, მეორე, პასიური კი — ფრენებს საკუთარ საჰაერო სივრცეში. თანაფარდობის შენარჩუნების მიზნით, კვოტები ყოველწლიურად იცვლება. არსებული კანონმდებლობით, პასიური კვოტების საფუძველზე შედგენილი აქტიური კვოტები ისე არის გადანაწილებული, რომ ხელშეკრულების მონაწილე ქვეყანა ვალდებულია თავის ტერიტორიაზე მიიღოს სადამკვირვებლო ფრენების ის რაოდენობა, რომ ჯამში მათი რიცხვი პასიური კვოტების 75%-ზე ნაკლები არ იყოს.

ამის საფუძველზე იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებმაც „ღია ცის“ პირველ საერთაშორისო კონფერენციაში მიიღეს მონაწილეობა, გადანაწილდა პასიური კვოტები, რაც ძალაში შემდგომი წლის 31 დეკემბრამდე იყო. ვადის ამოწურვის შემდეგ კი გადანაწილება ხელახლა იწყება. ასე რომ, ყოველ წელს ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებისთვის ორივე სახის კვოტების რაოდენობა სხვადასხვაა.

კვოტების გარდა, „ღია ცის“ ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ყოველ თვითმფრინავზე სადამკვირვებლო აპარატურის ტიპები, მათი შესაძლებლობები და რაოდენობა. ესენია: ოპტიკური და პანორამული ფოტოაპარატები, ვიდეოკამერები, რომლებიც გამოსახულებას რეალურ დროში თვითმფრინავში არსებულ მონიტორებს გადასცემენ, წრფივი სკანირების ინფრაწითელი სისტემები და გვერდითი ხედვის რადიოლოკაციური სადგურები. სადამკვირვებლო აპარატურის მრავალფეროვნების მიუხედავად, ყველა მათგანის შესაძლებლობებზე ხელშეკრულების პირობებით შეზღუდვებია დაწესებული. თვითმფრინავისთვის დასაშვებ მინიმალურ სიმაღლეზე ფრენისას, ფოტოაპარატების გარჩევისუნარიანობა 30 სმ-ზე მეტი არ უნდა იყოს, რაოდენობა კი 4 ცალს არ უნდა აღემატებოდეს: ერთი პანორამული, ერთი ვერტიკალურად დაყენებული კადრული და ორი პერსპექტიული, თითო ცალი თითო ბორტის მხარეს. ვიდეოკამერების გარჩევისუნარიანობა 30 სმ-ით, წრფივი სკანირების ინფრაწითელი

**ჩვენი დოსიე:**

მოდიფიკაცია — **OC-135B**

თვითმფრინავის: სიგრძე – 41,1მ

სიმაღლე – 12,8მ

ფრთის გაქანი – 39,9მ

წონა: ცარიელის – 46500კგ

მაქსიმალური ასაფრენი – 134700კგ

ძრავას ტიპი: ოთხი ტურბორეაქტიული – **Pratt Whitney TF33-P-5**

წევა – 4□7223კგძალა

მაქსიმალური სიჩქარე – 910კმ/სთ

კრეისერული სიჩქარე — 805 კმ/სთ

პრაქტიკული ჭერი – 11050მ

ფრენის მანძილი — 6500 კმ

ეკიპაჟი – 38 კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამ Ту-154М-ЛК-1-ს რუსეთი სადამკვირვებლო ფრენების შესასრულებლად მხოლოდ აშშ-ის საჰაერო სივრცეში იყენებს

სისტემებისთვის კი 50 სმ-ით შემოიფარგლება. რაც შეეხება რადიოლოკაციურ სადგურებს, დაზვერვის ამ საშუალების გამოყენება ნებისმიერი თვითმფრინავის ბორტიდან შეიძლება, თუმცა დაკვირვება მხოლოდ ერთი ბორტიდან შეიძლება, დისტანცია 25 კმ-ს არ უნდა აღემატებოდეს.

სადამკვირვებლო ფრენის დასრულების შემდეგ, მოპოვებული მონაცემების მიღება „ღია ცის" ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია. ამასთან, შემსრულებელი მხარე ორიგინალებს იტოვებს, მომთხოვნ მხარეს კი პირველი პირის ასლები გადაეცემა. ფოტოგადაღება ნებადართულია შავ-თეთრ ფირზე, ხოლო ვიდეოკამერების მიერ დაფიქსირებული გამოსახულება მაგნიტურ ლენტზე იწერება, ისევე როგორც რადიოლოკაციური სადგურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია. წრფივი სკანირების ინფრაწითელი სისტემები კი თავიანთ მონაცემებს შავ-თეთრ ფირზე ან მაგნიტურ ლენტზე წერენ.

რა თქმა უნდა, რომელიმე სახელმწიფომდე მისაფრენად სადამკვირვებლო თვითმფრინავს ტრანზიტული ფრენა უწევს. ასეთ შემთხვევაში უკანონო საჰაერო დაკვირვების თავიდან ასაცილებლად ყველა ზემოაღნიშნული სადამკვირვებლო საშუალება გამორთული უნდა იყოს. ის ნაწილები კი, რომლებიც თვითმფრინავის ფიუზელაჟის გარეთ გამოდის (ფოტოაპარატებისა და ვიდეოკამერების ობიექტივები) ხუფებით უნდა იხურებოდეს. ტრანზიტული რეისის დაწყების წინ სპეციალური კომისია ამოწმებს ხუფებს, მათ შორის — დაფრენის შემდეგაც, აეროდრომზე. ხუფებსა და სადამკვირვებლო აპარატურის გამართულობას უშუალოდ გაფრენის წინ სპეციალური კომისია ამოწმებს. კანონის თანახმად, სადამკვირვებლო ფრენის ჩამტარებელი ქვეყანა ვალდებულია 72 სთ-ით ადრე გააფრთხილოს ის სახელმწიფო, რომლის თავზეც ფრენას აპირებს.

სადამკვირვებლო ფრენა განსაზღვრული მარშრუტით ხდება, თვითმფრინავს მხოლოდ გარკვეულ ზონაში ფრენის უფლება აქვს. ფრენის მარშრუტის შერჩევისა და შეთანხმების შემდეგ, საბოლოო ოქმს ხელს ორივე მხარე აწერს: ის, რომელიც დაკვირვებას ახდენს და ისიც, რომელსაც აკვირდებიან. განსაკუთრებული სიტუაციების დროს თვითმფრინავის ეკიპაჟს აქვს შეთანხმებული კურსიდან გადახვევის უფლება. მაგალითად, ეკიპაჟის რომელიმე წევრისთვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების გაწევის საჭიროების, ფრენის მარშრუტზე ცუდი მეტეოროლოგიური პირობების ან თვითმფრინავის ბორტზე არასამტატო ვითარების დროს. მხარე, რომლის საჰაერო სივრცეშიც ტარდება სადამკვირვებლო ფრენა, უფლებამოსილია გამოიყენოს ყველა სახის სადამკვირვებლო აპარატურის აკრძალვის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ თვითმფრინავი ამა თუ იმ მიზეზით ფრენის მარშრუტს 50-ზე მეტი კილომეტრით ასცდა. ამ ნიუანსების გარდა, ხელშეკრულებაში გაწერილია მასში მონაწილე ყველა სახელმწიფოს ის სამხედრო აეროდრომი, რომლიდანაც აფრენის შემთხვევაში თვითმფრინავს აქვს სადამკვირვებლო ფრენის უფლება. ამასთან, თითოეული აეროდრომისთვის დადგენილია ის მაქსიმალური მანძილი, რომლიდანაც აფრენილ თვითმფრინავს უცხო ქვეყნის საჰაერო სივრცის დაზვერვის უფლება აქვს.

„ღია ცის" ხელშეკრულებაში მონაწილეობის უფლება ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს. ის ხელშეკრულების სრულფასოვანი წევრი მხოლოდ რამდენიმე ეტაპის გავლის შემდეგ გახდება. პირველ ეტაპზე აგვარებენ ფინანსურ საკითხებს, უნდა კეთილმოეწყოს ის აეროდრომიც, საიდანაც უნდა აფრინდეს თვითმფრინავი სადამკვირვებლო ფრენისთვის. სრულყოფილი უნდა იყოს სადამკვირვებლო აპარატურა, პერსონალის მომზადება. „ღია ცის" პროგრამის რეალიზაციის მეორე ეტაპი ამ უკანასკნელის ძალაში შესვლიდან სამი-ოთხი წლის განმავლობაში გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში სახელმწიფო ვალდებულია წარმოადგინოს სადამკვირვებლო ფრენისთვის განკუთვნილი თვითმფრინავი, რომელიც აღჭურვილი იქნება მხოლოდ ერთი პანორამული და ან ორი კადრული ფოტოაპარატით. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს არა აქვს ამ ამოცანების შესასრულებლად საჭირო თვითმფრინავი, მაგალითად, როგორც ჩვენს ქვეყანას (საქართველომ „ღია ცის" რატიფიცირება 1998 წლის 12 ივლისს მოახდინა), მას აქვს უფლება, ხელშეკრულების მონაწილე ნებისმიერი ქვეყნის მიერ გამოყოფილი სადამკვირვებლო თვითმფრინავით ისარგებლოს, მაგრამ 90 დღით ადრე უნდა იყოს ეს ცნობილი. ანალოგიურად ხდება პერსონალისა და ეკიპაჟის გამოყოფაც.

რაც შეეხება ხელშეკრულების მესამე ეტაპს, სადამკვირვებლო თვითმფრინავზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სახის სადამკვირვებლო საშუალების განთავსება შეიძლება.

უსახსრობისა და მზვერავი თვითმფრინავების უქონლობის გამო, რომელთა გამოყენებაც „ღია ცის" პროგრამაში შეიძლებოდა, სადამკვირვებლო ფრენებისა და აღებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, ხელშეკრულების მონაწილე ბელგიამ, საბერძნეთმა, ესპანეთმა, იტალიამ, კანადამ, ლუქსემბურგმა, ჰოლანდიამ, ნორვეგიამ, პორტუგალიამ და საფრანგეთმა ჩამოაყალიბეს კონსორციუმი, რომელმაც შექმნა სპეციალური კონტეინერი, სადაც ოთხივე სახის სადამკვირვებლო აღჭურვილობას განათავსებენ. კონტეინერს აყენებენ C-130H-ის ტიპის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავზე, რომელიც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქვეყნის განკარგულებაშია. კონტეინერში მოთავსებულია KS 116-ის ტიპის ერთი პანორამული და KS87B-ის ტიპის სამი კადრული ფოტოაპარატი, ასევე ორი ვიდეოკამერა.

აშშ იყენებს თვითმფრინავ OC-135B-ს, რომელიც სპეციალურად „ღია ცის" ხელშეკრულების ფარგლებში შეიქმნა. აშშ-ის შეიარაღებაში არსებული C-135-ის სერიის სხვა მზვერავებისგან განსხვავებით, კუდში ოთხი ფოტოაპარატია განთავსებული. ერთი ფოტოაპარატი ვერტიკალურად, ხოლო KS-87-ის ტიპის ორი კადრული — კი კუთხითაა დაყენებული და 914 მ სიმაღლეზე ფრენისას გამოიყენება, მეოთხე კი KS-91-ის ტიპის ფოტოაპარა-

ტი 10670 მ ფრენაზეა გათვლილი.

პირველი გადაკეთებული თვითმფრინავი მწყობრში 1993 წლის ოქტომბერში ჩადგა. სამი წლის შემდეგ, 1996 წელს კი მას კიდევ ორი OC-135B შეუერთდა. სულ ამ ვარიანტში მხოლოდ სამი თვითმფრინავი გადაკეთდა (სარეგისტრაციო ნომრები 61-2670, 61-2671, 61-2672), სამივე მათგანი აშშ-ის 24-ე სადაზვერვო ესკადრილიის შეიარაღებაშია.

გერმანია სადამკვირვებლო თვითმფრინავად ერთხანს იყენებდა Ту-154М-ს, რომლითაც მანამდე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დაფრინავდა. ახალი ამოცანის შესაბამისად, 1995 წელს ქალაქ დრეზდენში თვითმფრინავი ოდნავ გადააკეთეს, მის ბორტზე სამი LKM 2000-ის ტიპის კადრული და LKM 2009-ის ტიპის ერთი პანორამული ფოტოაპარატი და სამი ვიდეოკამერა (ორი დახრილად და ერთი ვერტიკალურად) განათავსეს. თვითმფრინავის სალონს სრული დემონტაჟი ჩაუტარდა და იქ ოპერატორების სამუშაო ადგილები განთავსდა. შეიცვალა ნიშნული და Ту-154М-ОН მიანიჭეს. ამ თვითმფირინავს (საბორტო ნომერი 11+2) დიდი ხნის სიცოცხლე არ ეწერა და 24 სადამკვირვებლო ფრენის შემდეგ კატასტროფა განიცადა. 1997 წლის 13 სექტემბერს ეს თვითმფრინავი ნამიბიის მახლობლად აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავ C-141-ს დაეჯახა. ორივე თვითმფრინავი განადგურდა და 33 კაცი დაიღუპა. აქედან 24 — სადამკვირვებლო და 9 კი სატრანსპორტო თვითმფრინავში იმყოფებოდა.

ანალოგიური ტიპის თვითმფრინავს, ოღონდ Ту-154М-ЛК1-ის მოდიფიკაციას, „ღია ცის“ პროგრამის ფარგლებში რუსეთიც იყენებს, თუმცა ის სადამკვირვებლო ფრენის შესასრულებლად მხოლოდ აშშ-ის ტერიტორიაზე გამოიყენება. ევროპის ქვეყნების თავზე საფრენად კი რუსეთი ტურბოხრახნულ Ан-30-ს იყენებს. მასზე მუშაობა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, 1964 წელს დაიწყო. ანტონოვის საკონსტრუქტორო ბიუროს სამოქალაქო Ан-24-ის ბაზაზე აეროფოტოგადაღებისთვის განკუთვნილი თვითმფრინავის შექმნა დაევალა. თვითმფრინავი ერთდროულად A და Б ვარიანტებში იქმნებოდა. აქედან პირველი სამოქალაქო ავიაციისთვის იყო განკუთვნილი, მეორე კი — სამხედრო-საჰაერო ძალებისთვის, თუმცა განსხვავება მათ შორის მხოლოდ ფოტოაღჭურვილობის შემადგენლობაში იყო. საბაზო სამგზავრო ვარიანტისგან ახალი მოდელი შეცვლილი ფიუზელაჟის ცხვირა ნაწილით განსხვავდებოდა, სადაც შტურმანი განათავსეს.

თვითმფრინავი პირველად 1967 წლის 21 აგვისტოს აფრინდა და 1971 წელს ის კიევის საავიაციო ქარხანაში სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. ეს პროცესი 1980 წლამდე გაგრძელდა და 115 ცალის გამოშვებით დასრულდა. აქედან 66 ერთეული Ан-30А, 26 — Ан-30Б და 23 საექსპორტო იყო, (იგზავნებოდა ავღანეთში, ბულგარეთში, ვიეტნამში, ჩინეთში, კუბაზე, რუმინეთში, მონღოლეთსა და ჩეხოსლოვაკიაში). 1981 წლიდან თვითმფრინავების გამოყენება ავღანეთში დაიწყეს, სადაც მათ მოწინააღმდეგის პოზიციების აღმოსაჩენად, ჩამოგდებული საფრენი აპარატების მოსაძებნად, ადგილმდებარეობის დასაზვერად იყენებდნენ. თუმცა მათი რიცხვი 2-3-ს არ აღემატებოდა. 1985 წლის 11 მარტს, ბაგრამთან ერთ-ერთი თვითმფრინავი გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსიდან ჩამოაგდეს. ბორტზე მყოფი ეკიპაჟის 6 წევრიდან 2 დაიღუპა. ამ ინციდენტის შემდეგ, Ан-30-ებზე სითბური ხაფანგების გამშვები კონტეინერების დაყენება დაიწყეს.

„ღია ცის“ პროგრამაში ამ თვითმფრინავის გამოყენება რუსეთმა 1992 წლიდან დაიწყო. ამავე პროგრამის ფარგლებში ამ თვითმფრინავს ბულგარეთი, რუმინეთი და უკრაინა იყენებენ.

„ღია ცის“ ხელშეკრულება უვადოა და მისი დატოვება ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია, თუმცა ამის შესახებ სხვა წევრი სახელმწიფოები 6 თვით ადრე უნდა გააფრთხილოს. დღეს ამ ხელშეკრულებაში 34 სახელმწიფოა გაერთიანებული. ესენია: ბელორუსია, ბელგია, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, კანადა, ხორვატია, ჩეხეთი, დანია, ესტონეთი, ფინეთი, საფრანგეთი, საქართველო, გერმანია, საბერძნეთი, უნგრეთი, ისლანდია, იტალია, ლატვია, ლიტვა, ლუქსემბურგი, ჰოლანდია, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, რუსეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, ესპანეთი, შვედეთი, თურქეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი და აშშ.

საინტერესოა ერთი ნიუანსიც: ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნები ჩვენს საჰაერო სივრცეში სადამკვირვებლო ფრენისას ერიდებიან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის თავზე გამოჩენას იმ მოტივით, რომ რუსეთმა საქართველოს ეს ნაწილი ფრენისთვის დახურულ ზონებად გამოაცხადა. სამაგიეროდ, თავისუფლად დაფრინავენ სენაკის, ვაზიანის, მარნეულის, გორის სამხედრო ბაზების თავზე, რის შემდეგაც რუსეთს, როგორც ხელშეკრულების მონაწილე წევრს, ჩვენი სამხედრო ინფრასტრუქტურის მდგომარეობაზე ხელი თავისუფლად მიუწვდება.

*თემურ პულუზაშვილი*

**ჩვენი დოსიე:**

მოდიფიკაცია — **Ан-30Б**
თვითმფრინავის: სიგრძე — 24,26მ
სიმაღლე — 8,32მ
ფრთის გაქანი — 29,2მ
წონა: ცარიელის — 15590კგ
ნორმალური ასაფრენი — 20300კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 23000კგ
ძრავის ტიპი: ორი ტურბოხრახნული — **АИ-24ВТ**
სიმძლავრე — 2[illegible]2817ც.ხ.ძ
მაქსიმალური სიჩქარე — 540კმ/სთ
კრეისერული სიჩქარე — 476კმ/სთ
პრაქტიკული ჭერი — 8000მ
ფრენის მანძილი — 2600კმ
ფრენის ხანგრძლივობა — 6.6სთ
ეკიპაჟი — 7 კაცი



რუსეთის გარდა Ан-30-ებს „ღია ცის“ პროგრამაში კიდევ სამი სახელმწიფო იყენებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Euronaval 2010



ელექტრო ხომალდი Advansea

2010 წლის 25-29 ოქტომბერს პარიზის გარეუბან ლე-ბურჟეს საგამოფენო პავილიონებმა სამხედრო-საზღვაო შეიარაღების 22-ე საერთაშორისო გამოფენა Euronaval-2010-ს უმასპინძლა.

გამოფენაში 34 ქვეყნის იარაღის მწარმოებელი 400-მდე კომპანია მონაწილეობდა.

წარმოდგენილი იყო ათეულობით ხომალდისა და კატარღის მოდელი, სარაკეტო შეიარაღების ნიმუშები, საფრენი აპარატები, სხვადასხვა კალიბრის საარტილერიო სისტემები, საფრენი აპარატები და სხვ.

კვლავინდებურად შენარჩუნებულია პატარა და საშუალო წყალწყვის სწრაფსვლიანი, კომპაქტური სისტემებით შეიარაღებული კორვეტებისა და ფრეგატების მშენებლობის ტენდენცია.

ამ სფეროში ლიდერები კვლავ ამერიკელები არიან. სანაპირო ზონის საბრძოლო ხომალდები: LCS-1 Freedom-ი და LCS-2 Independence ახლა საფუძვლიან შემოწმებას გადის.

გამოფენაზე ცნობილი გახდა, რომ Locheed Martin-ისგან საუდის არაბეთი LCS-2 პროექტის 8 ხომალდის შეძენას აპირებს და მოლაპარაკება უკვე დაწყებულია.

ევროპის ქვეყნებში ახალი თაობის ხომალდების პროაქტირებაზე საფრანგეთი ლიდერობს. კონცერნმა DCNS-მა მომავლის საბრძოლო ხომალდის კონცეპტუალური მოდელი წარმოადგინა.

ფრანგები თავიანთი სახელგანთქმული თანამემამულის, ჟიულ ვერნის ერთ-ერთ იდეას მიუბრუნდნენ და ელექტროწყალზედა ხომალდ Advansea-ს პროექტი შექმნეს.

ჟიულ ვერნის „ნაუტილუსის“ მსგავსად მომავლის „ედვანსეა“ ელექტროძალოვანი დანადგარებითა და ელექტროშეიარაღებით აღიჭურვება.

ელექტროენერგია ეკოლოგიურად სუფთაა და მავნე გამონაბოლქვ აირებს თითქმის არ გამოყოფს. შესაბამისად, ატმოსფეროზე ზემოქმედებაც ბევრად ნაკლებია.

120 მ სიგრძის ხომალდის წყალწყვა დაახლოებით 4 ათასი ტონაა. 20 მეგავატი სიმძლავრის გენერატორებით „ედვანსეა“ 28 კვანძით ცურვას შეძლებს.

კორპუსის ელემენტებში გამოყენებულია „სტელსის“ ტექნოლოგია, კომპოზიტური მასალები, რითაც ხომალდის შემჩნევადობა შემცირდება.

გათვალისწინებულია შვეულმფრენისა და უპილოტო საფრენი აპარატის ასაფრენ-დასაფრენი მოედნების გაკეთებაც.

ხომალდის შეიარაღებაში მთავარ ადგილს დაიკავებს ცვლადი ინტენსივობის იმპულსური ლაზერული დანადგარი, რომელმაც ელექტრომაგნიტური იმპულსებით ჭურვები უნდა ააჩქაროს.

ასეთ ჭურვებს დენთი აღარ დასჭირდება, ზომა შეუმცირდება და ამის ხარჯზე საბრძოლო მარაგის რაოდენობა გაიზრდება.

„ედვანსეა“ ახალი მრავალფუნქციური რადიოელექტრონული სადგურით, რადიოელექტრონული ბრძოლისა და კავშირის უახლესი საშუალებებით აღიჭურვება.

ფრანგი სპეციალისტების შეფასებით პროექტის რეალიზაცია დაახლოებით 15 წლის შემდეგ დაიწყება და ამისათვის ტექნოლოგიური ხასიათის სამი მიღწევა არის საჭირო: I — ზეგამტარობის საფუძველზე დამზადებული ელექტროძრავა, რომელიც სიმძლავრეს 50%-ით გაზრდის და გაბარიტებს შეამცირებს; II – გამომუშავებული ენერგიის დასაგროვებელი აკუმულატორების შექმნა; III – დროის რეალურ რეჟიმში ელექტროენერგიის ნაკადის სამართავი სისტემა;

არანაკლებ საინტერესოა ფრანგული კონცერნის მეორე პროექტი — წყალზედა-წყალქვეშა ნავი, რომლის დანიშნულება იქნება წყალზედა-წყალქვეშა თუ სახმელეთო სამიზნეების სწრაფად და ფარულად განადგურება.

SMX-25-ის ტექნიკურ მახასიათებლებში განსაკუთრებული არაფერია: მისი სიგრძეა 109 მეტრი, წყალწყვა 2850



წყალზედა-წყალქვეშა ნავი SMX-25

ტონა, წყალზედა სიჩქარე — 38 კვანძი, წყალქვეშა — 10 კვანძი, ჩაყვინთვის მაქსიმალური სიღრმე — 100 მეტრი, ავტონომიურობა – 30 დღე.

აირტურბინა და სამი წყალმტყორცნი ამძრავი ხომალდის წყალზევით ცურვას უზრუნველყოფს, ხოლო წყალქვეშა ცურვისათვის დიზელები და ელექტროძრავებია გამოყენებული.

შეიარაღებულია 16 რაკეტით (ფრთოსანი ხომალდსაწინააღმდეგო და საზენიტო), 4 სატორპედო აპარატით, შვეულმფრენით ან უპილოტო საფრენი აპარატებით. ავტომატიზაციის მაღალი დონის ხარჯზე ეკიპაჟი 27 კაცს არ აღემატება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია ათკაციანი დივერსიული ჯგუფის მიღება.

ფრანგებმა წყალქვეშა ნავების მშენებლობის გარიჟრაჟი გაიხსენეს, როცა სუბმარინა ცურვისას მეტ დროს წყალზევით ატარებდა, ჩვეულებრივი საბრძოლო ხომალდივით მოქმედებდა და წყალქვეშ საფრთხის დროს ჩადიოდა.

SMX-25 დიდ მანძილზე, წყალზევით დაცურავს და წყალქვეშ ცურვას სამოქმედო რაიონთან მიახლოების შემდეგ იწყებს.

კორპუსის ფორმა ისეა შერჩეული, რომ საბრძოლო პირობებში მანევრირება გაუმჯობესდეს და ჩაყვინთვა გაადვილდეს.

სპეციალისტთა აზრით, SMX-25 უფრო ანტიტერორისტული და დივერსიული ოპერაციებისათვის გამოდგება.

პროექტი რევოლუციურ ტექნოლოგიებს არ მოითხოვს და თუ კონტრაქტი გაფორმდება, DCNS მშენებლობისათვის მზად არის.

რუსებმა ევროპაში პირველად წარმოადგინეს ცნობილი კომპლექსი Клаб-ის ბოლო Клаб-К მოდიფიკაცია.

კომპლექსი ინდოეთის, ჩინეთის, ალჟირისა და ვიეტნამის სამხედრო-საზღვაო ფლოტების შეიარაღებაში შედის.

ლე-ბურჟეში ნაჩვენები Клаб-К უნივერსალური გამშვები მოდულია და ჩვეულებრივი საზღვაო სტანდარტული კონტეინერისაგან არ განსხვავდება.

კონტეინერის საბრძოლო დანიშნულებით გამოყენება შესაძლებელია სატვირთო გემის ბორტიდან, რკინიგზის პლატფორმიდან თუ ავტოტრაილერიდან.

არადა კონტეინერში მოთავსებულია 4 ფრთოსანი რაკეტა და მოდიფიკაციის მიხედვით 12,5-დან 300 კმ-მდე მანძილზე დაფრინავს, ხოლო საბრძოლო ქობინი 200-450 კგ იწონის.

გამოფენის მთავარი ინტრიგა კი მაინც ფრანგული „მისტრალი" იყო. DCNS რუსების მოსახიბლავად ყველაფერს აკეთებს. კონცერნის ერთ-ერთი დირექტორის თქმით, გემთმშენებლები „მისტრალის" პროექტის რუსეთის სამხედრო-


კონტეინერში დამალული რაკეტები

საზღვაო ფლოტის მოთხოვნათა შესაბამისად გადაკეთებისა და აგებისათვის აუცილებელ ტექნოლოგიათა გადაცემისათვის მზად არიან. მშენებლობის დრო პროექტში შეტანილ ცვლილებათა მოცულობაზე იქნება დამოკიდებული.

DCNS-ის გენდირექტორი პიერ ლეგარი დარწმუნებულია, რომ 2012 წლის ბოლომდე ხელშეკრულებას ხელი მოეწერება და ორი ხომალდი საფრანგეთში აშენდება, ხოლო გადაცემული ტექნოლოგიებით 2 თუ 4 ხომალდი — ამას თავად რუსეთი გადაწყვეტს.

სავარაუდოდ, პირველი ხომალდის მშენებლობა შესაძლებელია 2013 წლის ბოლოს ან 2014 დასაწყისში დასრულდეს.

გამოფენაზე ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი ადმირალი ვლადიმირ ვისოცკი, რომელიც ერთი შეკითხვის გამო მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

გამოფენის გახსნის შემდეგ საფრანგეთის თავდაცვის მინისტრი ერვე მორანი სტენდებს ნელ-ნელა ათვალიერებდა და ექსპოზიციის ცენტრალური ნაწილისაკენ მიემართებოდა, სადაც ფრანგული კომპანიები იყო წარმოდგენილი.

მაგრამ ფრანგ მინისტრს ენერგიულმა რუსმა ადმირალმა დაასწრო.

ადგილობრივი პრესის შეფასებით, დარბაზებში ვისოცკი „სატორპედო კატარღის" სიჩქარით მოძრაობდა და თანმხლები პირები თუ რუსი ჟურნალისტები დაწევას ძლივს ახერხებდნენ.

DCNS-ის სტენდთან ადმირალი ფრანგული ავიამზიდების მოდელებთან შეჩერდა და სტენდისტს შეეკითხა: „რას ფიქრობს საფრანგეთი რუსეთთან თანამშრომლობაზე რუსეთის ფლოტისათვის მომდევნო თაობის ატომური ავიამზიდის შექმნაზე?".

გაცილებით მაღალი რანგის პირებზე გათვლილმა კითხვამ სტენდისტი დააბნია. საქმეს ვერც ფირმის უფრო წონიანმა წარმომადგენელმა უშველა.

პასუხი მხოლოდ Thales-ის (DCNS მისი შვილობილი კომპანიაა) პრეზიდენტს ჰქონდა, რომელმაც რუს ადმირალს განუმარტა, რომ ასეთი საკითხები სახელმწიფოთა დონეზე წყდება.

*თემურ ჩაჩანიძე*

რუსეთ-საფრანგეთის სამხედრო თანამშრომლობის კიდევ ერთი შესაძლო პროექტია მომავალი თაობის ატომური ავიამზიდი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჰეზბოლა“ ალაჰის რჩეული შიიტი შაჰიდები




პლაკატი ორგანიზაციის ლიდერთა გამოსახულებით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ №22

„ჰეზბოლას“ შეიარაღებულ დაჯგუფებათა საბრძოლო ტაქტიკა დღეს წმინდა პარტიზანულად ვერ ჩაითვლება, რადგან ორგანიზაციას საკმაოდ აქვს მძიმე ტექნიკაც და უახლესი სარაკეტო სისტემებიც, რომელსაც პარტიზანები, როგორც წესი, არ იყენებენ. თუმცაღა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ჰეზბოლას“ აქტივისტები ქალაქში პარტიზანული ომის დიდოსტატები არიან. 2006 წელს, როცა ისრაელის არმიასა და ხსენებულ ორგანიზაციას შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, ებრაელ ჯარისკაცებს ძალიან გაუჭირდათ ლიბანის დასახლებულ პუნქტთა გაკონტროლება — თვით დაბომბილ და მიწასთან გასწორებულ ნანგრევებშიც კი ერთი პარტიზანი მაინც ამოჩნდებოდა ხოლმე და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ისრაელის თავდაცვის ძალებს. რაც შეეხება ტერორს, „ჰეზბოლას“ ამ საქმეშიც დიდი გამოცდილება აქვს. ხშირად შაჰიდებად უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს არჩევენ. „ჰეზბოლას“ ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში (რაღა თქმა უნდა, ისრაელის გარდა) აქვს ონკოლოგიური საავადმყოფოები, რომელთა პაციენტები პოტენციურ შაჰიდებად ითვლებიან.

შეიხი ჰუსეინ ფადლალა ისრაელსა და დასავლეთის ქვეყნებთან საბრძოლველად იდეალურ საშუალებად თვლიდა „ინტიფადას“, ანუ ბრძოლის წარმოების ასიმეტრიულ მეთოდს, როდესაც ოკუპირებული რეგიონის თითქმის ყველა მშვიდობიანი მცხოვრები, სქესისა და ასაკის მიუხედავად, პოტენციურ მეომრად შეიძლება იქცეს: „ისრაელს ამჟამად ნამდვილად აქვს იმის ფუფუნება, რომ ომში ზეთანამედროვე იარაღი, ტექნიკა და აღჭურვილობა გამოიყენოს; ამიტომაც ჩვენ სხვა გზა აღარ დაგვრჩენია, გარდა იმისა, რომ შევეგუოთ პერმანენტულ საბრძოლო მოქმედებებს. დაე, ყოველი ჩვენგანი ემზადოს შაჰიდობისათვის; დაე, თითოეული ჩვენგანის სიკვდილმა სერიოზულად დააზარალოს მტერი!“ — წერდა შეიხი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში.



„ჰეზბოლას“ მომხრეთა დემონსტრაცია ბეირუთში

„ჰეზბოლას“ იდეოლოგიას წარმოადგენს რადიკალური შიიზმი და ე.წ. „ისლამური სოციალიზმი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციის ძირითადი მიზანია იმგვარი ისლამურ-შიიტური საზოგადოების შექმნა, სადაც კლასობრივი დაპირისპირება, ანდა უთანასწორობა აღარ იარსებებს. ლიბანის შიიტურ რაიონებში, რომელიც „ჰეზბოლას“ კონტროლქვეშაა, მდიდრებსა და ღარიბებს შორის განსხვავება არ იგრძნობა — თუკი ვინმე „ზედმეტად“ გამდიდრდება, ვალდებულია, ქონების ნაწილი სხვას გაუნაწილოს, რათა ალაჰის წინაშე პირნათელი იყოს. სხვათა შორის, სწორედ ამ პრინციპის გამოა „ჰეზბოლა“ დღეს ლიბანელთა შორის პოპულარული. აქვე დავძენთ იმასაც, რომ ახლო აღმოსავლეთში ისლამური სოციალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი თეორეტიკოსი და მედროშე იასირ არაფატი იყო, რომლის ხსოვნასაც



კარიკატურა ისრაელ-ლიბანის ურთიერთობაზე „ჰეზბოლას“ ჟურნალ-გაზეთებიდან

„ჰეზბოლას“ აქტივისტები უდიდეს პატივს მიაგებენ, მიუხედავად იმისა, რომ პალესტინელთა ლეგენდარული ლიდერი სუნიტი იყო და არა შიიტი.

სხვათა შორის, „ჰეზბოლას“ სუნიტებთან ჯერჯერობით მშვენიერი ურთიერთობა აქვს. მისი მესვეურები შიდამუსლიმანურ უთანხმოებებს თავს არიდებენ, თუმცაღა შიიზმის დოგმებს განუხრელად იცავენ და აქტიურად ეწევიან პროზელიტიზმს, რაც ზოგჯერ სუნიტების გაღიზიანებასაც იწვევს. ამიტომაც ბოლო დროს „ჰეზბოლა“ ყურადღებას უფრო სოციალურ საკითხებზე ამახვილებს და ასე იძენს მომხრეებს. რამდენიმე ხნის წინ ფრანგული გაზეთი „ფიგარო“ წერდა, რომ „ჰეზბოლას“ ისლამური ჯანმრთელობის დაცვის გაერთიანებამ ბეირუთის უბან ალმაზრააში საბავშვო პოლიკლინიკა გახსნა და იქ სამუშაოდ გამოცდილი ექიმები მიიწვია. სულ მალე მათი მეშვეობით პოლიკლინიკამ მთელ ლიბანში გაითქვა სახელი და, სწორედ ამის შემდეგ გაიხსნა იქ მეჩეთი. დაიწყო შიიზმის ქადაგება და ორიოდე თვეში უკვე ექიმებიცა და პაციენტებიც შიიტებად მოექცნენ.

ამის წყალობით „ჰეზბოლამ“ ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში მოახერხა ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში მყარად დამკვიდრება და ვიცე-პრემიერის პოსტის ხელში ჩაგდება — ლიბანის 1943 წლის კონსტიტუციის თანახმად, ქვეყნის პრეზიდენტი აუცილებლად ქრისტიანი-მარონიტი უნდა იყოს, პრემიერ-მინისტრი კი მუსლიმანი-სუნიტი. 1993 წლამდე ვიცე-პრემიერის პოსტი დრუზების პროისრაელურ სექტას ეკუთვნოდა, მაგრამ „ჰეზბოლამ“ პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენისთანავე დიდად შეავიწროვა ისინი. დასავლელ ექსპერტთა აზრით, თუკი უახლოესი ათიოდე წლის განმავლობაში ორგანიზაციამ კვლავაც შეინარჩუნა პოპულარობა, ლიბანში ირანზე უფრო რადიკალურ შიიტურ რეჟიმს მივიღებთ, რაც დიდად შეარყევს ისრაელის პოზიციებს ახლო აღმოსავლეთში. იგივე ექსპერტები დღეს ლიბანს მიიჩნევენ შიიტურ ქვეყნად, სადაც ხელისუფლება ჯერ ისევ ქრისტიანი უმცირესობის ხელშია.

## „ჰეზბოლას“ არსენალი

„ღვთის პარტიის“ შეიარაღებული ქვედანაყოფები აღჭურვილობა-ეკიპირების მხრივ რეგიონის ზოგიერთი ქვეყნის არმიაზე ნაკლებ ძალას არ წარმოადგენს.

ორგანიზაციის მომხრეები ერაყში ამერიკული არმიის ყოფნას აპროტესტებენ




ისრაელის სადაზვერვო სამსახურის „მოსადის“ მონაცემებით 2006 წელს „ჰეზბოლას“ განკარგულებაში იყო: ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების რუსული, ირანული, სირიული და საკუთარი წარმოების რამდენიმე ათეული ათასი 122 მმ-იანი, 220 მმ-იანი და 330 მმ-იანი ჭურვი, ირანული წარმოების ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსები Zelzal-2 და სხვ. გავრცელდა ინფორმაცია, რომ სირიაში ორგანიზაციის საიდუმლო საწყობებში „მიწა-მიწა“ კლასის სირიული წარმოების M-600 და ირანული Scud-ის ტიპის რამდენიმე ათეული ბალისტიკური რაკეტა ინახება.

ორგანიზაციის შეიარაღებაში დიდი ადგილი რუსეთში, ირანსა თუ სხვა ქვეყნებში წარმოებულმა კომპაქტურმა ტანკსაწინააღმდეგო და საჰაერო თავდაცვის სისტემებმა დაიკავა.

თეირანისა და დამასკოს დახმარებით ფორმირებათა აღჭურვილობაში უპილოტო საფრენი აპარატები (ირანული Ababil-ი და Mohajer-4), თვითმფრინავები და შვეულმფრენები გამოჩნდა.

„ჰეზბოლას“ მცირე წყალწყვის კატარღების საკუთარი მთელი ფლოტილიაც კი ჰყავს.

## საგარეო ურთიერთობები

„ჰეზბოლას“ მთავარი უცხოელი მოკავშირე, როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, ირანია. მეტიც — შიიტების



„ჰეზბოლა“-ისრაელის 2006 წლის ომის შედეგი

უმაღლესი სასულიერო ლიდერი (აიათოლა) და შარიათის კანონების მცოდნე იმამი (ვალი ალ-ფაკიჰი), რომლებიც „ღვთის პარტიის“ მიწიერ ხელმძღვანელებად ითვლებიან, როგორც წესი, ირანელები არიან. ამიტომაც ცხადია, რომ „ჰეზბოლას“ კარგი ურთიერთობა აქვს ყველა იმ პარტიასთან, რეჟიმთან თუ შეიარაღებულ დაჯგუფებასთან, რომელთაც მხარს უჭერს ოფიციალური თეირანი. დასავლელ ექსპერტთა მტკიცებით, მთელ რიგ რადიკალურ ისლამურ-ფუნდამენტალისტურ ორგანიზაციებთან ირანი ახლო კონტაქტს სწორედ „ჰეზბოლას“ მეშვეობით ამყარებს ხოლმე.

„ჰეზბოლას“, როგორც ლიბანის პარლამენტსა და მთავრობაში წარმოდგენილ პოლიტიკურ ძალას, პრობლემები აქვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან — გაერომ ლიბანის სამოქალაქო ომში მონაწილე მხარეებს რამდენჯერმე ოფიციალურად მოუწოდა განიარაღებისაკენ. ქვეყანაში საგანგებო კომისიებიც კი მიავლინა იმის შესამოწმებლად, თუ როგორ სრულდებოდა მისი რეკომენდაციები. ყოველი კომისია დასკვნით ანგარიშებში აღნიშნავდა, რომ კონფლიქტის მხარეთაგან განიარაღებაზე მხოლოდ „ჰეზბოლა“ აცხადებდა უარს, „ღვთის პარტიის“ მესვეურები კი განმარტავდნენ, რომ მათი ორგანიზაცია იყო არა შეიარაღებული დაჯგუფება, არამედ წინააღმდეგობის მოძრაობა და „ჰეზბოლას“ ხელი არც კი მოუწერია 1989 წლის ტაიფის შეთანხმებაზე (რომელმაც ბოლო მოუღო ლიბანში სამოქალაქო დაპირისპირებას).

გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ, ბრიტანელმა მარკ მალოჩ ბრაუნმა 2006 წელს განაცხადა, რომ „ჰეზბოლასა“ და დასავლეთს შორის ურთიერთობაში პრობლემებს ქმნიდა ის, რომ ორგანიზაცია თავს არ არიდებდა ტერორისტულ ქმედებებს. ამასთან, მალოჩ ბრაუნმა გაეროსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწოდა, „ჰეზბოლა“ ნაწილობრივ მაინც ელიარებინათ ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად. მით უმეტეს, რომ „ნაწილობრივად ცნობის“ პრეცედენტი უკვე არსებობს — დიდმა ბრიტანეთმა ლეგიტიმურ პოლიტიკურ ძალად მხოლოდ „ჰეზბოლას“ საპარლამენტო ფრაქცია აღიარა. მიუხედავად ამისა, გაეროსა და ამერიკას პოზიცია არ შეუცვლიათ, რის გამოც გაერთიანებამ, შესაძლოა, ლიბანის პარლამენტის მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა ვეღარ შეძლოს, თუკი გაეროსთან არ მოაწესრიგებს ურთიერთობას.

„ჰეზბოლას“ არცთუ მეგობრული ურთიერთობა აქვს საუდის არაბეთთან. ჯერ კიდევ 2005 წელს საუდელმა შეიხმა აბდულაჰ ბინ ჯებრინმა გამოსცა ფეთვა (განაჩენი), რომელშიც „ჰეზბოლას“ ყოველი აქტივისტი მოხსენიებული იყო როგორც „რაფიზი“, ანუ ერეტიკოსი. მომდევნო წელს კი, როდესაც ისრაელი „ჰეზბოლას“ გასანადგურებლად ლიბანში შეიჭრა, ზოგიერთმა სუნიტურმა რადიკალურმა გაერთიანებამ საკუთარ ვებგვერდზე შეიხ ბინ ჯაბრინის ფეთვას ტექსტი გამოაქვეყნა. „მრჩება შთაბეჭდილება, რომ საუდელი ვაჰაბიტები ვერ აცნობიერებენ, რაოდენ საშიშია არაბული და, საერთოდ, ისლამური სამყაროსათვის ისრაელის არსებობა... გლობალურ საფრთხეს ისინი ვერ ჭვრეტენ და ისეთ რამეზე გვემდურიან, რისი გადაწყვეტაც მოლაპარაკების გზით შეიძლება“, — განაცხადა ჰასან ნასრალამ შეიხ ბინ ჯაბრინის ფეთვას კომენტირებისას.

აქედან გამომდინარე, „ჰეზბოლასა“ და „ალ-ქაიდას“ შორის ამჟამად არსებულ ურთიერთობასაც თბილს ვერ ვუწოდებთ. 2002 წელს „ალ-ქაიდას“ ერთ-ერთმა ლიდერმა აბუ მუსაბ აზ-ზარქავიმ „ჰეზბოლას“ სუნიტების მტრობაში დასდო ბრალი. საპასუხოდ ჰასან ნასრალამ განაცხადა, რომ ეს ორი ორგანიზაცია სხვადასხვა მტერს ებრძოდა და სხვადასხვა სფეროში მოქმედებდა, რაც თავისთავად გამორიცხავდა მათ შორის მჭიდრო კავშირსაც და დაპირისპირებასაც. თავის მხრივ, „ალ-ქაიდამ“ 2006 წელს გაავრცელა მსოფლიოს მუსლიმანებისადმი მიმართვა, რომელშიც ყველას ლიბანში წასვლისა და ისრაელის აგრესიასთან ბრძოლებისკენ მოუწოდებდა. ამ დროის-



ორგანიზაციის მომხრეთა მსვლელობა


„ისლამური ჯიჰადის“ აქტივისტები

ათვის, „ჰეზბოლასა“ და „ალ-ქაიდას“ შორის ურთიერთობების თაობაზე სანდო მონაცემები არ არსებობს.

2009 წლის აპრილიდან „ჰეზბოლა“ ტერორისტულ გაერთიანებად გამოცხადდა ეგვიპტეში. ამას წინ უძღოდა ორგანიზაციის ეგვიპტური ფილიალის 49 აქტივისტის დაკავება. ეგვიპტელი ძალოვნების განცხადებით, ისინი ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას „გარეშე მხარდაჭერით“ გეგმავდნენ. საპასუხოდ, ჰასან ნასრალამ კაიროს მესვეურებს „ებრაელი მასონების მონები“ უწოდა და დასძინა, რომ მათ სულ მალე თვიანთივე ხალხი გამოუტანს განაჩენს.

„ჰეზბოლას“, ტრადიციულად, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა აქვს ისეთ ქვეყნებთან, როგორიცაა: რუსეთი, კუბა, ვენესუელა, ნიკარაგუა, ბრაზილია, ბოლივია, არგენტინა, ალბანეთი, ჩრდილო კორეა და ასე გასინჯეთ — ბოსნია და სლოვაკიაც. ამ ქვეყნებში „ჰეზბოლას“ წარმომადგენლობები და ფილიალები ოფიციალურად არსებობს. გარდა ამისა, არაოფიციალურ დონეზე, „ჰეზბოლა“ მოქმედებს საფრანგეთისა და გერმანიის ტერიტორიებზეც, თუმცა ამა წლის დასაწყისიდან ამ ქვეყნების მესვეურები ცდილობენ, ორგანიზაციას შეზღუდვები დაუწესონ.

### „ჰეზბოლას“ ერთ-ერთი სამხედრო ფრთის – „ისლამური ჯიჰადის“ ცნობილი აქციები

1982 წლის 24 მარტი — ბეირუთში, საფრანგეთის საელჩოს ეზოში დანაღმული ავტომანქანა აფეთქდა. დაიჭრა 27, დაიღუპა 17 კაცი; ტერაქტზე პასუხისმგებლობის აღებისას, „ისლამურმა ჯიჰადმა“ განაცხადა, რომ საფრანგეთი ირან-ერაყის ომში ერაყს უჭერდა მხარს და ამიტომაც დაისაჯა. ეს იყო პირველი ტერაქტი, რომელიც მოაწყო ხსენებულმა დაჯგუფებამ.

1983 წლის 18 აპრილი — ბეირუთში, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს შენობის ვესტიბიულში, შაჰიდმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 63 კაცი, მათ შორის — 17-მდე ამერიკელი. „ისლამურმა ჯიჰადმა“ პასუხისმგებლობის აღებისას განაცხადა, რომ აშშ მთელი კაცობრიობის მტერი იყო და მისი განადგურება მათი უპირველესი ამოცანა გახლდათ.

1983 წლის 23 ოქტომბერი — ბეირუთში, მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების ბანაკში ორმა შაჰიდმა თავი აიფეთქა. დაიღუპა 241 ამერიკელი და 58 ფრანგი სამხედრო მოსამსახურე. პასუხისმგებლობის აღებისას, „ისლამურმა ჯიჰადმა“ განაცხადა, რომ აფეთქებლები ალაჰის ნებას ასრულებდნენ.

1984 წლის 18 იანვარი — ორგანიზაციის აქტივისტებმა მოკლეს ცნობილი ამერიკელი ექსპერტი ახლო აღმოსავლეთის საკითხებში მალკოლმ კერი, რომელიც იმხანად ბეირუთის ამერიკული უნივერსიტეტის რექტორი იყო. მკვლელობის მიზეზად კერის ანტიშიიტური განწყობა იქცა.

1984 წლის 20 სექტემბერი — ბეირუთში ამერიკის საელჩოს შენობას ორგანიზაციის აქტივისტებმა ხანძარი გაუჩინეს. დაშავდნენ ელჩი რეჯინალდ ბართლომიუ და მისი ბრიტანელი კოლეგა დევიდ მაიერსი, რომელიც ამერიკის საელჩოში სტუმრად იმყოფებოდა. ორივემ მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო.

1992 წლის 17 მარტი — „ისლამური ჯიჰადის“ აქტივისტებმა არგენტინის დედაქალაქ ბუენოს-აირესში, ისრაელის საელჩოს წინ აფეთქება მოაწყვეს. დაიღუპა 29, დაიჭრა 246 კაცი — უმეტესობა შემთხვევითი გამვლელები.

1996 წლის შემოდგომა — ლიბანის ხელისუფლებამ უარი თქვა „ჰეზბოლას“ კონტროლირებად ტელერადიოკომპანია „ალ-მანარისთვის“ გრანტის გადაცემაზე. ამის გამო „ისლამურმა ჯიჰადმა“ ჯერ პიკეტირება მოაწყო, მერე კი ყუმბარასტყორცნებით ცეცხლი გაუხსნა სახელმწიფო ტელევიზიის შენობას. ინციდენტს მსხვერპლი არ მოჰყოლია; დეკემბერში ხელისუფლებამ „ალ-მანარს“ გრანტი გადასცა.

2000-2006 წლები — „შებაას ფერმების ომი“ ისრაელთან დაიწყო იმის გამო, რომ 2000 წლის ოქტომბრის დასაწყისში ისრაელის შეიარაღებულმა ძალებმა ლიბანის სამხრეთ-აღმოსავლეთში, შებაას მაღლობზე, შიიტების რამდენიმე ფერმა დაიკავეს. „ისლამურმა ჯიჰადმა“ საპასუხოდ ღამით დაატყვევა ოთხი ებრაელი ჯარისკაცი და საშინელი წამებით ამოხადა მათ სული. მთელი ექვსი წლის განმავლობაში ისრაელის არმიას არც ერთი მასშტაბური ბრძოლა არ გადაუხდია, მაგრამ დაკარგა 200-ზე მეტი ჯარისკაცი.

2006 წლის 27 მაისი — მას შემდეგ, რაც ისრაელის არმიამ დატოვა ლიბანის ტერიტორია, „ისლამურმა ჯიჰადმა“ რაკეტები დაუშინა ჩრდილო ისრაელის ქალაქებს — ჰაიფას და ნაზარეთს. დაიღუპა 32, დაშავდა 278 კაცი. ეს თარიღი „ჰეზბოლამ“ ე.წ. „შებაას ფერმების ომში“ გამარჯვების დღესასწაულად გამოაცხადა.

მიხეილ ლაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა



# „არწივი ვნახე დაჭრილი...“





მერაბ ხიტურიძე

მონადირეობა ზოგს ცხოველების ხოცვა ჰგონია, ზოგისთვის კი გემრიელ კერძებთან ასოცირდება. სინამდვილეში მონადირეობა ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს სიყვარულია, რომელსაც თან ის სპორტული აზარტი ახლავს, ცხრა მთას რომ გადაგატარებს ნადირისა თუ ფრინველის ძებნაში. ჩვენი რესპონდენტი სწორედ ის ადამიანია, რომლისთვისაც მთავარი ბუნება და მისი სიყვარულია. იგი აფხაზეთის ომის ვეტერანია და სამშობლოს დასაცავად მარჯვენა მკლავიც დათმო. საოცრად თავმდაბალია, ერიდება აფხაზეთზე საუბარს, ეს მისთვის მძიმე მოგონებებსა და ტკივილთან არის დაკავშირებული. აფხაზეთის ომის შემდეგ საბრძოლო დამსახურებისთვის მედლითაც დააჯილდოეს, მაგრამ გვთხოვა, ამაზე არაფერი გვეთქვა, რადგან მიაჩნია, რომ ქართველი მეომრების საუკეთესო ნაწილი ბრძოლის ველზე დარჩა და აქ უნდა დასრულდეს ლაპარაკიც.

...სანამ ომში წავიდოდა, ხშირად დადიოდა სანადიროდ, უყვარდა ბუნება, ტყე-ღრეში ხეტიალი... ომის შემდეგ ისე ხშირად ველარ ახერხებდა ნადირობას, ამიტომ მან და მისმა მეუღლემ სახლი იყიდეს და შინ მოიწყვეს პატარა ოაზისი. ძაღლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მოშინაურებული ჰყავდათ არწივები, მელიები, მიმინო და მგელიც კი.

ყველაზე საინტერესო არწივების ამბავია:

**მერაბ ხიტურიძე:** — ერთხელ გავიგე, რომ გორში ერთ კაცს არწივი ჰყოლია. ვოლიერი კოსტიუმივით ეცვა საცოდავს. მე და ჩემს მეუღლეს შეგვეცოდა და გადავწყვიტეთ, გაგვეთავისუფლებინა. არწივს ფრთა ოდნავ ჰქონდა დაზიანებული. ვიყიდეთ არწივი და კიდევ ორი ისეთი პატარა მელია, მუჭში რომ ჩაგეტეოდა. ერთი აგრესიული იყო, მეორე — წყნარი. და-ძმანი იყვნენ. ერთი მეორეს გადაეფარებოდა ხოლმე, იცავდნენ ერთმანეთს. თავიდან არწივი ვოლიერში იყო. ერთხელაც შევხედე და აღარ არის. დღემდე ვერ გავიგე, იქიდან როგორ გამოვიდა. გავიხედეთ და დადის თავისუფლად. ძალიან უცნაურია, ამხელა არწივი შენ გვერდით რომ დადის. ვიფიქრე, გაფრინდება-მეთქი, მაგრამ არსადაც არ წასულა. შევუყვარდით და ეზოში ცხოვრობდა. უცხო მომსვლელებზე რეაგირებდა, სხვისი ხელიდან არ ჭამდა და ძაღლივით გვდარაჯობდა. ძალიან ერთგული იყო და რაოდენ გასაო-



კოლექციას ძველებური ინკრუსტირებული თოფი ამშვენებს

ცარი უნდა იყოს, ძალიან ჭკვიანიც. ალბათ ამ თვისების გამო წვრთნიან აღმოსავლეთის ქვეყნებში. ერთხელ ერთი კვირით შინიდან წავედით და რომ დავბრუნდით, არწივი აღარ დაგვხვდა, გაფრენილიყო. ეტყობა, იფიქრა, რომ მივატოვეთ და გაგვინაწყენდა. ერთი განსაკუთრებული თვისება ჰქონდა: თუ არ შესთავაზებდი, საჭმელს ახლოს არ გაეკარებოდა. ჩვენმა მეგობრებმა იცოდნენ ჩემი არწივის ამბავი. ერთ დღეს ერთი მირეკავს და მეუბნება, რომ ერთს ნაცემი არწივის მართვე ჰყავსო. საბრალო ისე იყო დაშავებული, შეიძლებოდა დილამდე ვერც გადარჩენილიყო და აღარ წამოვიყვანეთ. მე და ჩემს მეუღლეს იმ ღამეს ძილი არ მოგვკარებია. დილით წავედით და მაინც წამოვიყვანეთ არწივის მართვე. ერთიანად დალეწილი იყო. სიარულიც კი არ შეეძლო, მაგრამ გავიდა ხანი და ამ ჩვენმა „დაჭრილმა არწივმა" მოიკეთა. თავიდან ჭამის თავი არ ჰქონდა და კოვზით ვაჭმევდით. ექიმმა გვითხრა, თუ თავისით არ დაიწყო ჭამა, არაფერი ეშველება, ფრენითაც ისე ვერ იფრენსო. ცოტა მომჯობინდა და წყლის სმაც დაიწყო. ერთხელ აივნიდან ვუყურებდი. ვხედავ, კუნძზე უნდოდა აფრენა და არ გამოსდიოდა. დგას და დაჟინებით უმზერს კუნძს. ცოტა ხნის შემდეგ დავკარგეთ, მოგვიანებით კი გუბეში დამხრჩვალი ვიპოვეთ, სავარაუდოდ, თავი მოიკლა — იმდენად დაბალი წყალი იყო, ფეხებამდე ძლივს მისწვდებოდა, ფეხზე რომც დამდგარიყო, ვერ დაიფარებოდა. გარდა ამისა,



არწივს შესანიშნავი მხედველობა აქვს და გუბეს აუცილებლად დაინახავდა. ეტყობა, ფრინველთა მეფემ იუკადრისა, რომ ფრენა არ შეეძლო...

...გვყავდა მელიებიც, რომლებიც ჩვენს შოტლანდიურ ნაგაზთან მეგობრობდნენ. როგორც ვიცი, შოტლანდიურ ნაგაზს მელიის გენებიც ურევია და, ალბათ, ამიტომაც დაუმეგობრდა მელიებს. მელიებმა საოცრად იციან თავის მომკვდარუნება. ერთხელ მკვდარი მეგონა და დაჭერილი მელია გამექცა ტყეში. ძალიან ეშმაკი ცხოველია. მახსოვს, ერთხელ მელია გაგვეპარა ვოლიერიდან, მაგრამ არსად წასულა, ჩვენთან დარჩა. ღამით მეზობლის ქათმებს იპარავდა, დილით კი შინ ბრუნდებოდა. აზიური ნაგაზი მთელი ღამე ყეფდა და მელას დასდევდა, შოტლანდიური კი იცავდა და აპარებდა ხოლმე მელას. ერთ უბედურებად გადაიქცა მათი ჩვენთან ცხოვრება...

მერაბ ხიტურიძეს თავისი არსენალიდან ოთხი თოფი შემორჩა: **ИЖ-5** — ერთლულიანი გარეჩახმახიანი, 28-კალიბრიანი თოფი. ლულის სიგრძე — 680მმ. ის ძველი ამერიკული „აივერ-ჯონსონის" მოდიფიკაციაა და იჟევსკის ქარხანა უშვებდა 1941-1949 წლებში.

**ИЖ-18 М** — ერთლულიანი სანადირო თოფია, რომელიც გამოიყენება როგორც ნადირობისას, ასევე სპორტში. ამ მოდელის თოფისთვის გამოიყენება როგორც მეტალის, ასევე მუყაოსა და პლასტმასის ვაზნები. ლულის სიგრძე 725 მმ.-ა.

**СКС** — სიმონოვის თვითდამტენი კარაბინი. შეიარაღებაში 1949 წელს მიიღეს. მისი დამიზნების სიშორე 1500 მეტრია და ნადირზე სანადიროდ გამოიყენება.

გარდა ამისა, ბატონ მერაბს აქვს ტულის საიარაღო ქარხნის 16-კალიბრიანი სანადირო თოფი, რომელიც ყველაზე პრაქტიკულად მიაჩნია ფრინველებზე სანადიროდ. საგულდაგულოდ ინახავს ძველისძველ ხანჯალს, რომელიც მეგობარმა უსახსოვრა.



b 82/42
ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაყუჩიანი „მაკაროვი“ ГРУ-სთვის



## 43 წელია კრემლის სამხედრო დივერსანტები ამ უხმაურო პისტოლეტებით დადიან სპეცდავალებებზე, მათ შორის — საქართველოშიც...

ამ პისტოლეტს საკუთარი სახელი არ ღირსებია, უბრალოდ ПБ (პისტოლეტი უხმაურო)-ს უწოდებდნენ, თუმცა ჰქონდა უფრო საიდუმლო დასახელებაც — 6П9. მიუხედავად ამისა, სამხედროები მას უფრო მარტივად მოიხსენიებენ — „მაკაროვის“ მაყუჩიანი პისტოლეტი.

ერთი შეხედვით ПБ-ს მართლაც ბევრი საერთო აქვს საქვეყნოდ ცნობილ „მაკაროვთან“, მაგრამ იგი მხოლოდ ПМ-ის მაყუჩიან ვარიანტად რომ მივიჩნიოთ, არასწორი იქნება.

არსებობს ძალიან ბევრი პისტოლეტი, რომლებსაც ლულა წაგრძელებული აქვთ. ლულა პისტოლეტის გაბარიტებიდან წინ არის გამოსული და მასზე უბრალოდ იხრახნება მაყუჩი. მაგალითისთვის კმარა რუსული АПБ-ც, რომელიც წაგრძელებულლულიან АПС Стечкин-ზე ჩამოცმული მაყუჩიანი ვარიანტია, ან გერმანული Heckleer-Koch-ის UCP-ი.

მათგან განსხვავებით ПБ-ზე აყენებენ ინტეგრალურ მაყუჩს, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი თავად პისტოლეტშია ჩამონტაჟებული, მეორე კი იხსნება. ამ მაყუჩის მოხსნილი ნაწილის გარეშე ПБ უფრო კომპაქტურია და მფლობელს მისი ამ

**სტატიის ავტორმა ПБ პირველად ცამეტი წლის წინ გამოცადა და თავად დარწმუნდა, რომ გასროლის ხმა ჩვეულებრივ „მაკაროვთან“ შედარებით არცთუ ისე მცირდება...**



**ჩვენი დოსიე:** უხმაურო პისტოლეტი ПБ 8 ცალი 9X18 მმ კალიბრის ვაზნითა და მჭიდით 1,02 კგ-ს იწონის, მჭიდისა და ვაზნების გარეშე კი 970 გ-ს. მისი სიგრძე მაყუჩიანად 31 სმ-ია, მაყუჩის ერთი ნაწილის მოხსნის შემდეგ კი 17 სმ

**ჩვენი დოსიე:** ინტეგრალური მაყუჩი ორი ნაწილისგან შედგება. მაყუჩის პირველი ნაწილი ლულის გარშემოა დამონტაჟებული და იგი გარსაცმის გარდა გამაფართოებელი კამერის ფუნქციასაც ითავსებს. გასროლისას წარმოქმნილი მაღალი წნევის აირები ლულაზე დატანებული ნახვრეტებიდან გადის მაყუჩის გარსაცმში და ფართოვდება, რაც ამცირებს დენთის აირების წნევას და თავად ტყვიის სიჩქარეს 290 მ/წმ-მდე, ანუ უმაყუჩოდ, ჩვეულებრივი „მაკაროვის“ გასროლასთან შედარებით, 25 მ/წმ-ით ამცირებს. შეიძლება მკითხველს ეს ძალიან უმნიშვნელო შემცირებად მოეჩვენოს, მაგრამ მთავარია ტყვიის საწყისი სიჩქარე ბგერისაზე (310 მ/წმ-მდე) ნაკლები იყოს, რათა შემცირდეს გასროლის ხმა.

ПБ-ს არასრული დაშლა







სახით გამოყენებაც შეუძლია. მართალია, ამ შემთხვევაში ПБ-ის გასროლის ხმა „მაკაროვისას“ ჰგავს, მაგრამ მაინც დაბალია, რადგან მაყუჩის ნახევარი ოდნავ ამცირებს გასროლილი ტყვიის სიჩქარეს.

სრულად დამონტაჟებული მაყუჩით ПБ-ის გასროლა აბსოლუტურად უხმაუროდ შეუძლებელია, თუმცა ბევრად დაბალი ხმა აქვს, ვიდრე „მაკაროვს“, რადგან ტყვიის სიჩქარე გასროლის მომენტში 290 მ/წმ-მდე მცირდება („მაკაროვის“ გასროლისას ტყვიის საწყისი სიჩქარე 315 მ/წმ-ია). აღსანიშნავია, რომ ПБ-ის სასროლად სპეციალური კი არა, არამედ საშტატო 9X18 ПМ ტიპის ვაზნები გამოიყენება, რაც აიაფებს ПБ-ს მოხმარებას.

მოდერნიზებული „მაკაროვისთვის“ — ПММ-ისთვის შექმნილი ახალი ძლიერი ვაზნის გამოყენება ПБ-ის სასროლად აკრძალულია, რადგან ПММ-ის ტყვიის საწყისი სიჩქარე 410 მ/წმ-ია, ხოლო საწყისი ენერგია კი 462 ჯოული. ასეთი ტყვიის გასროლა აფუჭებს ПБ-ს ჩარჩოს და მწყობრიდან გამოჰყავს ინტეგრალური მაყუჩი.

მაყუჩის ერთი ნაწილის პისტოლეტის ლულის წინა მხარეს განთავსების გამო, საკეტის სიგრძე შემცირდა და ამის გამო შეუძლებელი გახდა უკანდამაბრუნებელი ზამბარის განთავსება ლულის გარშემო, როგორც ეს „მაკაროვსა“ და გერმანულ „ვალტერი“ PPK-შია.

კონსტრუქტორებმა უკანდამაბრუნებელი ზამბარა პისტოლეტის ტარში, მარჯვენა მხარეს განათავსეს. გასროლით წარმოქმნილი უკუცემის ძალა გრძელი ბერკეტით გადაეცემა ტარში ჩამონტაჟებულ ზამბარას და კუმშავს მას. ზამბარის გახსნის შედეგად იგივე ბერკეტი მოქმედებს საკეტზე, რის შემდეგაც სრულდება გადატენის პროცესი — ხდება გასროლილი ვაზნის მასრის ექსტრაქცია და მჭიდიდან სავაზნეში ახალი ვაზნა გადადის.

მიუხედავად იმისა, რომ პირველი უხმაურო ПБ-ები შეიარაღებაში საბჭოთა არმიის სამხედრო დაზვერვის ГРУ-ს დანაყოფებმა ჯერ კიდევ 1967 წელს მიიღეს, ეს სპეცდანიშნულების იარაღი კვლავ არის რუსეთის საარმიო დაზვერვის დანაყოფების, ФСБ-სა და შინაგანი ჯარების სპეცრაზმების შეიარაღებაში. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომში რუსი მედესანტეების სადაზვერვო ჯგუფების ოფიცრები ПБ-ებითა და АПБ-ით იყვნენ შეიარაღებული.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ПБ-ის პარტიები მოკავშირე რესპუბლიკების სპეცსამსახურებსაც დარჩათ, მათ შორის — საქართველოშიც.

*ირაკლი ალადაშვილი*



ISSN 1987 - 5061